

კანონისმიერი და დელიქტური ვალდებულებები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი საზიარო უფლებები

საზიარო უფლებების გაუქმება ნატურით გაყოფისას	4; 14; 32
შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე	57
ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები	66
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები	78; 90

2. დელიქტური ვალდებულებანი

სარჩოს გადაანგარიშება	103
დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება	114
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის	127
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება	137; 147
ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამონეული ზიანი	158
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	166; 184

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

საზიარო უფლებები

საზიარო უფლებების გაუმჯობესება ნატურით გაყოფისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-48-2024

25 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ჩ-ძე (შემდეგში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) და გ. ჩ-ძე (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი) 2009 წლის 21 თებერვალს გარდაცვლილი ქ. ჩ-ძის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები არიან, რომლის საკუთრებაში არსებული ქონება სამკვიდრო მონუმენტის საფუძველზე 1/2 წილობრივი კუთვნილებით მათ საკუთრებაში გადავიდა.

აღნიშნულის შედეგად, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე უძრავ ნივთებზე: საკადასტრო კოდით №... (შემდეგში – პირველი უძრავი ნივთი ან პირველი უძრავი ქონება), №... (შემდეგში – მეორე უძრავი ნივთი ან მეორე უძრავი ქონება), №... (შემდეგში – მესამე უძრავი ნივთი ან მესამე უძრავი ქონება), №.... (მეოთხე უძრავი ნივთი ან მეოთხე უძრავი ქონება) – მხარეთა საზიარო უფლებები წარმოიშვა.

2. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეები უძრავი ნივთების თანამესაკუთრეები არიან, თითოეულის სახელზე უძრავი ქონების 1/2 ნაწილია დარეგისტრირებული.

3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნით, უძრავი ნივთების ღირებულება ჯამურად 65 970 ლარს შეადგენს.

4. ექსპერტიზის ზემომითითებული დასკვნის შესაბამისად:

– მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული პირველი უძრავი ქონების გამიჯვნა წილების შესაბამისად ისე არის შესაძლებელი, როგორც № 1

დანართზე არის მოცემული, რა დროსაც, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს 1 200 კვ.მ-დან მისი წილის შესაბამისი 600 კვ.მ ფართობი შეიძლება გამოეყოს, ხოლო, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს – მისი წილის შესაბამისი 600 კვ.მ მიწის ფართობი.

– მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მეორე უძრავი ქონების გამოიჯვნა წილების შესაბამისად ისე არის შესაძლებელი, როგორც №2 დანართზე არის მოცემული, რა დროსაც, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს 1 300 კვ.მ-დან მისი წილის შესაბამისი 650 კვ.მ ფართობი შეიძლება გამოეყოს, ხოლო, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს – მისი წილის შესაბამისი 650 კვ.მ მიწის ფართობი.

– მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მესამე უძრავი ქონების გამოიჯვნა წილების შესაბამისად ისე არის შესაძლებელი, როგორც №3 დანართზე არის მოცემული, რა დროსაც, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს 500 კვ.მ-დან მისი წილის შესაბამისი 250 კვ.მ ფართობი შეიძლება გამოეყოს, ხოლო, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს – მისი წილის შესაბამისი 250 კვ.მ მიწის ფართობი.

– მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მეოთხე უძრავი ქონების გამოიჯვნა წილების შესაბამისად ისე არის შესაძლებელი, როგორც №4, №5, №6, №7 და №8 დანართებზე არის მოცემული, რა დროსაც, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს 174.17 კვ.მ-დან მისი წილის შესაბამისი 70.06 კვ.მ ფართობი შეიძლება გამოეყოს, რაც მის კუთვნილ 87.08 კვ.მ ფართობზე 17.05 კვ.მ-ით ნაკლებია. ამასთან, $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს, საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის 174.17 კვ.მ ფართობიდან შეიძლება გამოეყოს 104.11 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 87.085 კვ.მ ფართობზე 17.05 კვ.მ-ით მეტია.

– ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს სახლის სარდაფის სართულის 132.60 კვ.მ-დან შეიძლება გამოეყოს 58.8 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 66.3 კვ.მ ფართობზე 7.5 კვ.მ-ით ნაკლებია. $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს მოსარჩელეს სახლის სარდაფის სართულის 132.60 კვ.მ-დან შეიძლება გამოეყოს 73.8 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 66.3 კვ.მ ფართობზე 7.5 კვ.მ-ით მეტია.

– დამხმარე ნაგებობის, კერძოდ მარნის 42.62 კვ.მ ფართობიდან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს შეიძლება გამოეყოს 21.31 კვ.მ. ფართობი, რაც მის კუთვნილ 21.31 კვ.მ ფართობს შეესაბამება. დამხმარე ნაგებობის, კერძოდ მარნის 42.62 კვ.მ-დან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს შეიძლება გამოეყოს 21.31 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 21.31 კვ.მ ფართობს შეესაბამება. დამხმარე ნაგებობის, კერძოდ საფუტკრის 5.74 კვ.მ-დან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს მოპასუხეს შეიძლება გამოეყოს 2.87 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 2.87 კვ.მ ფართობს შეესაბამება. დამხმარე ნაგებობის, კერძოდ საფუტკრის 5.74 კვ.მ ფართობი-

დან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს შეიძლება გამოეყოს 2.87 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 2.87 კვ.მ ფართობს შეესაბამება.

– დამხმარე ნაგებობის, კერძოდ სათონის 17.14 კვ.მ ფართობიდან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს შეიძლება გამოეყოს 8.57 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 8.57 კვ.მ ფართობს შეესაბამება; $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს კი, დამხმარე ნაგებობის, კერძოდ სათონის 17.14 კვ.მ ფართობიდან შეიძლება გამოეყოს 8.57 კვ.მ. ფართობი, რაც მის კუთვნილ 8.57 კვ.მ ფართობს შეესაბამება.

– დამხმარე ნაგებობის, კერძოდ, ბოსელის 89.71 კვ.მ ფართობიდან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს შეიძლება გამოეყოს 44.855 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 44.855 კვ.მ ფართობს შეესაბამება. ამავე ბოსელის 89.71 კვ.მ ფართობიდან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს შეიძლება გამოეყოს 44.855 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 44.855 კვ.მ ფართობს შეესაბამება.

– მიწის ნაკვეთის განაშენიანების თავისუფალი 5 709.23 კვ.მ ფართობიდან $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს შეიძლება გამოეყოს 2 854.615 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 2 854.615 კვ.მ ფართობს შეესაბამება. $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს, მიწის ნაკვეთის განაშენიანების თავისუფალი ფართობი 5 709.23 კვ.მ ფართობიდან შეიძლება გამოეყოს 2 854.615 კვ.მ ფართობი, რაც მის კუთვნილ 2 854.615 კვ.მ ფართობს შეესაბამება.

მომზადებული ვარიანტით შენობა-ნაგებობის გამიჯვნის შემთხვევაში ტერიტორიის ნაწილი, რაზეც შენობა-ნაგებობაა აღმართული, საერთო საკუთრებაში რჩება.

4. მოპასუხის წინააღმდეგ მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, შემდეგი მოთხოვნებით:

4.1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნის შესაბამისად პირველ უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის საზიარო უფლება გაუქმდეს, უძრავი ნივთი ნატურით გაიყოს, ხოლო გაყოფილ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება იქნეს ცნობილი;

4.2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნის შესაბამისად მეორე უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის საზიარო უფლება გაუქმდეს, უძრავი ნივთი ნატურით გაიყოს, ხოლო გაყოფილ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება იქნეს ცნობილი;

4.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნის შესაბამისად მესამე უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის საზიარო უფლება გაუქმდეს, უძრავი ნივთი ნატურით გაიყოს, ხოლო გაყოფილ ქონებაზე მოსარჩელ-

ლის საკუთრების უფლება იქნეს ცნობილი;

4.4. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნის შესაბამისად, მეოთხე უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის საზიარო უფლება გაუქმდეს, უძრავი ნივთი ნატურით გაიყოს, ხოლო გაყოფილ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება იქნეს ცნობილი.

5. ადიგენის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის 2022 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით: უძრავ ქონებებზე მხარეთა შორის საზიარო უფლება გაუქმდა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნის მიხედვით აღნიშნული ქონებები ნატურით გაიყოს, ხოლო გაყოფილ ქონებებზე მოსარჩელის საკუთრების უფლება იქნა ცნობილი.

5.1. საქმეში არსებული საექსპერტო გამოკვლევის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე საზიარო საგნის გაყოფასთან მიმართებით მასში მითითებული დასკვნა სასამართლომ გაიზიარა. ამასთან, სასამართლომ ყურადღება იმ გარემოებაზეც მიაქცია, რომ ხსენებული ექსპერტიზის დასკვნა მოპასუხეს არსებითად სადავოდ არ გაუხდია და არც მითითებული მტკიცებულების საპირისპირო რაიმე წონადი მტკიცებულება არ წარუდგენია.

5.2. სასამართლოს მოსაზრებით, საზიარო საგნის გაუქმებაზე უარის თქმის საფუძვლად ვერ გამოდგებოდა მითითება იმის თაობაზე, რომ საცხოვრებელ სახლზე მოსარჩელემ უკანონო მშენებლობა აწარმოა, რაზეც ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა, ასევე, საცხოვრებელი სახლის პირველი სართულისა და სარდაფის სართულის ფართობები, მის კუთვნილ ფართობზე ნაკლები იყო, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სახლზე უკანონო მშენებლობის წარმოების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნა მოპასუხე მხარეს არ წარუდგენია.

5.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 953-ე, 954-ე, 963-ე, 964-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მოპასუხემ გაასაჩივრა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

– სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, გაიზიარა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-

სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მაისის დასკვნა და დადსტურებულად მიიჩნია, რომ მესაკუთრეთა წილების შესაბამისად მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნა შესაძლებელი იყო, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას განაპირობებდა.

8. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარმოადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა. გარდა ამისა, საკასაციო საჩივრით კასატორი მტკიცებულებათა საქმეზე დართვის შესახებ განჩინებისა და სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ნოემბრის დამატებითი განჩინების გაუქმებას მოითხოვს.

– საკასაციო საჩივრის საფუძველი ისაა, რომ ნატურით გაუქმების გზით საზიარო საგნის გაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი საგანი ღირებულების შემცირების გარეშე იყოფა, რასაც მეოთხე უძრავ ქონებასთან მიმართებით არ აქვს ადგილი; მტკიცებულებათა საქმეზე დართვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ურის თქმის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება უსაფუძვლოა; გაუქმებას ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ნოემბრის დამატებითი განჩინებაც.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 19 თებერვლის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შემთხვევაში.

2024 წლის 18 აპრილის განჩინებით გ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად და მიღებულია არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

10. ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 961.1 და 963-ე მუხლები. ამ ნორმების თანახმად, თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება; საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

თავდაპირველად მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ სამოქალაქო

კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას: საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყიდვით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნივთის ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაშია განმარტებული.

ასეთი წესით საზიარო ქონების გაყოფისთვის გარკვეული წინაპირობების არსებობაა საჭირო, კერძოდ: საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სსკ-ის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა (იხ. სუსგ №ას-67-65-2014, 31.07.2014; №ას-1653-1550-2012, 15.04.2013; №ას-1089-1020-2012, 8.10.2012; №ას-932-875-2012, 17.09.2012; №ას-1665-1562-2012, 4.02.2013).

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, როგორც საკასაციო პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში განმარტა, ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ე.ი. დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება (იხ. სუსგ: №ას-39-39-2016, 1.03.2016).

11. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველ, მეორე და მესამე უძრავ ქონებასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა მოცემული საქმის გადაწყვეტისთვის უმთავრესი გარემოება: ხსენებულ უძრავ ქონებებზე საზიარო უფლების ნატურით გაუქმების ყველა წინაპირობების არსებობა.

ზემოაღნიშნული გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ საქმეზე წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 8 მაისის დასკვნიდან.

ხსენებულ მტკიცებულებაში ცალსახადაა მითითებული, რომ პირველი, მეორე და მესამე უძრავი ნივთის გამიჯვნა მოდავე მხარეთა წილების შესაბამისად ისე არის შესაძლებელი, რომ თითოეულ მათგან თავისი წილის შესაბამისი ქონება მიეკუთვნოს. ამდენად, ეს გარემოება გვაუწყებს დასახელებულ სამივე ნივთზე ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობას, რაც მოცემულ ნაწილში სარჩელის წარმატების საფუძველს ქმნის.

12. რაც შეეხება მეოთხე უძრავ ქონებას, ექსპერტიზის დასკვნა მასთან დაკავშირებით არ შეიცავს მითითებას უმთავრეს გარემოებაზე, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ნატურით გაყოფისას მოდავე მხარეებს თავიანთი წილის შესაბამისი ქონება მიეკუთვნებათ. უფრო მეტიც, დასახელებული დასკვნის მიხედვით, მეოთხე უძრავი ქონების გამიჯვნა შესაძლებელია ისე, რომ $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოპასუხეს, საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის 174.17 კვ.მ.-დან ფართობიდან შეიძლება 70.06 კვ.მ ფართობი გამოეყოს, რაც მის კუთვნილ 87.085 კვ.მ ფართობზე 17.05 კვ.მ-ით ნაკლებია, ხოლო $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრე მოსარჩელეს, საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის 174.17 კვ.მ ფართობიდან შეიძლება 104.1 კვ.მ ფართობი გამოეყოს, რაც მის კუთვნილ 87.085 კვ.მ ფართობზე 17.05 კვ.მ-ით მეტია.

ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს მოპასუხეს, სახლის სარდაფის სართულის 132.60 კვ.მ-დან შეიძლება 58.8 კვ.მ ფართობი გამოეყოს, რაც მის კუთვნილ 66.3 კვ.მ ფართობზე 7.5 კვ.მ ნაკლებია, ხოლო $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს მოსარჩელეს, სახლის სარდაფის სართულის 132.60 კვ.მ-დან შეიძლება 73.8 კვ.მ ფართობი გამოეყოს, რაც მის კუთვნილ 66.3 კვ.მ ფართობზე 7.5 კვ.მ-ით მეტია.

დასკვნაში საუბარია მეოთხე უძრავ ქონებაში შემავალ მიწის ნაკვეთზეც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მომზადებული ვარიანტით შენობა-ნაგებობის გამიჯვნის შემთხვევაში ტერიტორიის ფართობი, რაზეც შენობა-ნაგებობაა აღმართული, საერთო საკუთრებაში რჩება.

ექსპერტიზის დასკვნის ზემოთ მოყვანილი ნაწილიდან ნათლად ჩანს, რომ მეოთხე უძრავი ქონების მხარეთა იდეალური წილების შესაბამისად გაყოფა ვერ ხერხდება, უფრო მეტიც, გამიჯვნის შემთხვევაშიც, უძრავი ნივთის ნაწილზე, სახელდობრ, მიწის ნაკვეთის ნაწილი, საერთო საკუთრებად რჩება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით კი, საზიარო საგნის ამგვარად გაყოფა დაუშვებელია და აღნიშნული ხასიათის გამიჯვნა თანასაკუთრებაზე საზიარო უფლების გაუქმების არსს ეწინააღმდეგება (იხ. სუსგ: №ას-1538-

2022, 31.03.2023; №ას-1444-2019, 10.06.2021).

აქვე კიდევ ერთი გარემოებაა საყურადღებო, დასკვნის დასახელებული ნაწილი არ შეიცავს განმარტებას ერთ-ერთ საკვანძო საკითხზე, კერძოდ, გაყოფის შედეგად მეოთხე უძრავი ქონება (განსაკუთრებით მინის ნაკვეთი) ხომ არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას, რასაც გაყოფამდე ასრულებდა;

ეს საკითხი საკასაციო პალატას მნიშვნელოვნად მიაჩნია ექსპერტიზის დასკვნას თანდართული (დანართი №8) №... საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მინის ნაკვეთის გამიჯვნის თვალშისაცემად არასტანდარტული კონფიგურაციის შემოთავაზების პირობებში.

როგორც ზემოთ განიმარტა, სსკის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა.

ამრიგად, საქმეზე გამოკვლეული გარემოებები ცხადყოფს, რომ №... საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული უძრავი ნივთის ნატურით გამიჯვნა სსკ-ის 963-ე მუხლის პირობების დაცვით შეუძლებელია და არსებითად ეწინააღმდეგება თანასაკუთრების ინდივიდუალურ საკუთრებად გარდაქმნის მომწესრიგებელ მართლწესრიგს.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, მეოთხე უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია გაზიარებული ვერ იქნება, რაც მითითებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელის უარყოფას განაპირობებს.

13. საკასაციო საჩივრით კასატორი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ნოემბრის საოქმო განჩინების გაუქმებასაც მოითხოვს, რომლითაც მას მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი 700 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. აღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით საქმეზე უცვლელად დარჩა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სამ უძრავ ნივთთან მიმართებით საკასაციო ინსტანციაშიც არ შეცვლილა; ეს გარემოება კი, იმის მაუწყებელია, რომ საბო-

ლოო პროცესუალური შედეგის გათვალისწინებით სამ უძრავ ქონებასთან მიმართებით მონინალმდეგე მხარისათვის სასარგებლო შედეგია ჩამოყალიბებული, რაც არც წინამდებარე გადანყვეტილებით შეცვლილა. ამდენად, სსსკ-ის 53.1 მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგების მხედველობაში მიღებით, მონინალმდეგე მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი 700 ლარის კასატორისთვის დაკისრების შესახებ თბილისის სააპელაციო სამართლოს დამატებითი განჩინება კანონშესაბამისია.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ვერც იმ განჩინების გაუქმების მოთხოვნას გაიზიარებს, რომლითაც ახალი მტკიცებულებების საქმეზე დართვის შესახებ კასატორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. კერძოდ, საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილებით ჩამოყალიბებულია ახალი პროცესუალური შედეგი, გადანყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მეოთხე უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის საზიარო უფლების გაუქმების შესახებ ადიგენის მაგისტრატი სამართლოს 2022 წლის 26 ივლისის გადანყვეტილება უცვლელად დარჩა სახეცვლილია და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული გარემოება მხარის შუამდგომლობას უკარგავს შინაარსობრივ და პროცესუალურ საფუძველს.

14. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება საქმეზე.

სსსკ-ის 53.1 მუხლის პირველი და მეორე წინადადების შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, კასატორის სასარგებლო გადანყვეტილება იქნა მიღებული. აღნიშნუ-

ლის გათვალისწინებით, მოწინააღმდეგე მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 230 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 53-ე, 55-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. გ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ნოემბრის განჩინება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომელითაც უცვლელად დარჩა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ... №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე თ. ჩ-სა და გ. ჩ-ძეს შორის საზიარო უფლების გაუქმების შესახებ ადიგენის მაგისტრატის სასამართლოს 2022 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ნოემბრის განჩინება უცვლელად დარჩეს;
4. თ. ჩ-ძეს გ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, 230 ლარი;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზიარო უფლებების გაუქმება ნატურით გაყოფისას

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-481-2023

28 მარტი 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: **ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ა. ძაბუნაძე,
თ. ძიმისტარაშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის და ჩუქების ხელშეკრულების
ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა, საზიარო უფლების ნატურით გა-
უქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 1-ელ აპრილს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სარ-
ჩელთ მიმართა მოსარჩელე ნ. ჯ-დემ მოპასუხე – ა. გ-ის მიმართ, ქ.
ბოლნისში, ... (ს/კ ...) მდებარე უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გა-
უქმებისა და ქონების ნატურით გაყოფის შესახებ.

2. მოპასუხე ა. გ-მა სარჩელი არ ცნო.

**3. 2019 წლის 17 მაისს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სარ-
ჩელთ მიმართა მოსარჩელე ნ. ჯ-დემ მოპასუხეების: ნ. ჯ-ძისა და ა.
ჯ-ძის მიმართ და მოითხოვა:**

3.1. ნოტარიუს ხ. ბ-ის მიერ 2017 წლის 26 აგვისტოს ა. ჯ-ძის სასარ-
გებლოდ გაცემული №... სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა;

3.2. ნ. ჯ-ძესა და ა. ჯ-ძეს შორის 2017 წლის 29 სექტემბერს დადებუ-
ლი ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

3.3. უძრავი ქონების (ს/კ ...) $\frac{1}{2}$ ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთ-
რედ მოსარჩელე ნ. ჯ-ძის ცნობა.

4. ნ. და ა. ჯ-ძეებმა წარმოდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს.

5. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 17 ივლისის განჩი-
ნებით ზემოაღნიშნული საქმეები ერთ წარმოებად გაერთიანდა.

6. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწ-
ვეტილებით – სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

7. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასა-
ჩივრა ორივე მხარემ. ნ. ჯ-დემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სადავო უძრავ-

ვინივთის ნატურით გაყოფის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ზ. ჯ-ძემ – სამკვიდრო მონუმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ასევე, სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით – ზ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ნ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება ნ. ჯ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; ნ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ნ. ჯ-ძისა და ა. გ-ის საზიარო უფლება უძრავ ნივთზე, რომლის მისამართია: ქ. ბოლნისი, ... (ს/კ...) ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 ივნისის №004018019 დასკვნისა და მისი №2 და №3 დანართების შესაბამისად. ნ. ჯ-ძეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის 506 კვ.მ. ფართიდან, როგორც $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს, გამოეყო კუთვნილი წილის შესაბამისი 253 კვ.მ. ფართი (№3 დანართზე ყვითლად ნაჩვენები); ა. გ-ს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის 506 კვ.მ. ფართიდან, როგორც $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს, გამოეყო კუთვნილი წილის შესაბამისი 253 კვ.მ. (№3 დანართზე ლურჯად ნაჩვენები); ნ. ჯ-ძეს №1 შენობის საერთო 74,8 კვ.მ. ფართიდან, როგორც $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს, გამოეყო კუთვნილი წილის შესაბამისი 36,47 კვ.მ, რომელიც 0,93 კვ.მ.-ით ნაკლებია მისი იდეალური $\frac{1}{2}$ წილის შესაბამისი ფართისგან (№2 დანართზე ყვითლად აღნიშნული); ა. გ-ს №1 შენობის საერთო 74,8 კვ.მ. ფართიდან, როგორც $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს, გამოეყო კუთვნილი წილის შესაბამისი 38,33 კვ.მ, რომელიც 0,93 კვ.მ.-ით მეტია მისი იდეალური $\frac{1}{2}$ წილის შესაბამისი ფართისგან (№2 დანართზე ლურჯად აღნიშნული). დაევა ნ. ჯ-ძეს ზემოთ მითითებული წესით უძრავი ნივთის (ს/კ №...) გაყოფისათვის საჭირო ექსპერტიზის დასკვნაში №004018019 მითითებული კარის ღიობისა და ტიხრის მოწყობა-ამოშენება (როგორც ეს №2 დანართზეა ნაჩვენები) და, ასევე, ყვითლად გამიჯნულ ფართ(ებ)თან დამოუკიდებელი ასასვლელი კიბის მოწყობა. ს.ს.ი.პ. „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2019 წლის 12 ივნისის №004018019 დასკვნა ამ გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილად განისაზღვრა. გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ ფაქტობრივსამართლებრივ დასაბუთებას:

8.1. 2018 წლის 31 აგვისტოს ნოტარიუსმა ლ. გ-მა მოსარჩელე, ზ. ჯ-ძის სასარგებლოდ გასცა №... სამკვიდრო მონუმობა, რომლის საფუძველზე იგი აღირიცხა ქ. ბოლნისში, ... მდებარე სადავო ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის თანამესაკუთრედ. დანარჩენი წილის მესაკუთრე იყო ა. ჯ-ძე. თავდა-

პირველად, აღნიშნული ქონება (იმჟამინდელი მისამართი: ... (№12)) ეკუთვნოდა მოსარჩელის ბებიას (დედის დედას), რომელიც იყო მოპასუხე ა. ჯ-ძის ბებია (დედის დედა) და მოპასუხე ნ. ჯ-ძის დიდი ბებია (მამის ა. ჯ-ძის დედის დედა).

8.2. ზემოხსენებული უძრავი ქონების კუთვნილი წილი მოსარჩელე ზ. ჯ-ძემ 2019 წლის 06 მარტს აჩუქა შვილს, ა. გ-ს, ხოლო 2017 წლის 29 სექტემბერს ა. ჯ-ძემაც კუთვნილი წილი აჩუქა შვილს – ნ. ჯ-ძეს.

8.3. ა. ჯ-ძემ კუთვნილ წილზე საკუთრების უფლება შეიძინა 2017 წლის 26 აგვისტოს №... სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე (მონუმობის გამცემი ნოტარიუსი ხ. ბ-ი).

8.4. ზ. ჯ-ძე და ა. ჯ-ძე არიან დეიდაშვილები (მათი დედები: ვ. ჯ-ძე და ო. ჯ-ძე იყვნენ დები).

8.5. ქ. ბოლნისში, ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) თანამესაკუთრეები არიან ნ. ჯ-ძე (მის საკუთრებაში არსებული წილი შეადგენს $\frac{1}{2}$ იდეალურ ნაწილს) და მოპასუხე ა. გ-ი (მის საკუთრებაში არსებული წილიც შეადგენს $\frac{1}{2}$ იდეალურ ნაწილს).

8.6. ზ. ჯ-ძის სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ა. ჯ-ძეს და მის დედას, ო. ჯ-ძეს, არ მიუღიათ ფაქტობრივი ფლობით ა. ჯ-ძის სამკვიდრო ქონება. ა. ჯ-ძის მემკვიდრეები არიან ვ. ჯ-ძე, ს. ჯ-ძე და ზ. ჯ-ძე. ა. ჯ-ძემ დოკუმენტების გაყალბების გზით, მოატყუა ნოტარიუსი და მიიღო სამკვიდრო მონუმობა, ხოლო შემდეგ შვილს, ნ. ჯ-ძეს გადაუფორმა ქონება, რათა თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისგან.

8.7. მოპასუხე ა. ჯ-ძე არის ო. ჯ-ძის შვილი, ხოლო ო. ჯ-ძე იყო ა. ჯ-ძის შვილი, რომელიც სადავო ქონებაზე თავდაპირველი მამკვიდრებელი იყო. შესაბამისად, ო. ჯ-ძე იყო ა. ჯ-ძის, ხოლო ა. ჯ-ძე არის ო. ჯ-ძის პირველი რიგის მემკვიდრე.

8.8. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, ო. ჯ-ძეს, დედის – ა. ჯ-ძის ან ა. ჯ-ძეს დედის – ო. ჯ-ძის სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა.

8.9. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების ერთობლივად შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე ზ. ჯ-ძის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია. პალატამ აღნიშნა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 07 აგვისტოს პასუხით №11/4461, დასტურდებოდა, რომ ო. ჯ-ძე გარდაცვალებამდე – 2008 წლის 28 ოქტომბრამდე ფლობდა და სარგებლობდა 1987 წლის 10 აგვისტოს გარდაცვლილი დედის – ა. ჯ-ძის დანატოვარი ქონებით, მისი გარდაცვალების დღიდან. საქმეში წარმოდგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 05.12.2019 წლის განჩინებით ბოლნისის რაიონის პროკურატურიდან გამოთხოვილი საქმის მასალები, სადაც განთავსებულია ე. ნ-ის, მ. შ-ძის, ლ. ტ-ძის, დ. მ-ძისა

და ე. ფ-ის გამოკითხვის ოქმები. გარდა ამისა, 23.12.2020 წლის სხდომაზე დაიკითხა მონმე ე. ნ-ი, 28.01.2021 წლის სხდომაზე – მონმეები: ლ. ტ-ძე, მ. შ-ძე, ი. გ-ი, ხოლო 19.02.2021 წლის სხდომაზე – მონმეები: ნ. ბ-ძე, დ. მ-ძე, ე. ფ-ი. მონმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა, რომ ო. ჯ-ძე სამკვიდრო ქონებით სარგებლობდა გარდაცვალებამდე. ამდენად, ცალსახა იყო ფაქტი, რომ ო. ჯ-ძეს დედის დანაშთ ქონებაზე სწორედ ფაქტობრივი ფლობით ჰქონდა მემკვიდრეობა მიღებული.

8.10. ა. ჯ-ძის 2017 წლის 26 აგვისტოს ნოტარიუსის სახელზე სამკვიდრო მონმობის მიღების თაობაზე დაწერილი განცხადებით, დასტურდებოდა, რომ მას 2016 წლის 13 აპრილს მიღებული აქვს დედის – ო. ჯ-ძის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე №... სამკვიდრო მონმობა. ის, რომ ა. ჯ-ძეს, დედის – ო. ჯ-ძის სამკვიდრო მიღებული ჰქონდა, დასტურდება შემდგომში ნოტარიუს ხ. ბ-ის გამოკითხვის ოქმით და, ასევე, მისივე გაცემული სადავო სამკვიდრო მონმობით.

8.11. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე ზ. ჯ-ძე ა. ჯ-ძის მიერ ... მდებარე ო. ჯ-ძის სამკვიდროს (მთელი ქონების 1/2 იდეალური წილის) მიღების ფაქტს ხდიდა სადავოდ, თუმცა შედავებული არ ყოფილა 2016 წლის 13 აპრილის №... სამკვიდრო მონმობა, რომლითაც ა. ჯ-ძეს, დედის – ო. ჯ-ძის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეობა მიღებული აქვს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ ა. ჯ-ძემ მიიღო დედის, ო. ჯ-ძის დანაშთი ქონება.

8.12. რაც შეეხება, დოკუმენტების სიყალბის თაობაზე აპელანტის მიერ მითითებულ არგუმენტს, პალატის მითითებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით აღნიშნული არ დასტურდებოდა. აპელანტმა მხოლოდ ზოგადად მიუთითა დოკუმენტების გაყალბებაზე, თუმცა არც კონკრეტული დოკუმენტი არ დაუსახელებია და არც სათანადო მტკიცებულება არ წარმოუდგენია აღნიშნულის დასადასტურებლად. დოკუმენტების სიყალბეზე მითითებული არგუმენტი საქმისთვის არარელევანტურია იმის გამოც, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადანაყვეტილებით სასამართლომ მოპასუხე ა. ჯ-ძის მიერ დედის, ო. ჯ-ძის, სამკვიდროს მიღების ფაქტი დაადგინა ფაქტობრივი ფლობით, სამკვიდრო თავად ო. ჯ-ძესაც ფაქტობრივი ფლობითვე ჰქონდა მიღებული დედის – ა. ჯ-ძისგან. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ო. ჯ-ძეს, როგორც თანამემკვიდრეს (დასთან – ვ. ჯ-ძესთან ერთად) მიღებული აქვს დედის მემკვიდრეობა (1/2 იდეალური წილი) ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ბოლნისში, ... (ს/კ...); იმავე მასალებით დასტურდებოდა, რომ, თავის მხრივ, ა. ჯ-ძესაც მიღებული ჰქონდა დედის სამკვიდრო, მათ შორის, იყო 1/2 იდეალური წილი ზემოაღნიშნული ქონებიდან.

8.13. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ნოტარიუს ხ. ბ-ის მიერ 2017 წლის 28 აგვისტოს გაცემული სადავო სამკვიდრო მონუმბა №... იყო ერთგვარი გაგრძელება მანამდე – 2016 წლის 13 აპრილს იმავე ნოტარიუსის მიერ გაცემული №... სამკვიდრო მონუმბისა. სადავო მონუმბით უბრალოდ დადგინდა, რომ ო. ჯ-ძეს მიღებული ჰქონდა დედის, ა. ჯ-ძის, დანაშთი ქონების წილი; ამდენად, ორივე სამკვიდრო მონუმბა ადასტურებდა ა. ჯ-ძის მემკვიდრეობის უფლებას და წარმოადგენს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საკმარის დოკუმენტებს.

8.14. ს. ჯ-ძის საკითხთან დაკავშირებით, პალატამ მიიჩნია, რომ იმ ფაქტის დადგენა, რომ ო. ჯ-ძემ მიიღო დედის, ა. ჯ-ძის, სამკვიდროს $\frac{1}{2}$ წილი, როგორც მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ, დასთან, ვ. ჯ-ძესთან, ერთად ფაქტობრივი ფლობით, თავისთავად გამორიცხავდა იმ ფაქტს, რომ ა. ჯ-ძის მემკვიდრეები არიან ვ. ჯ-ძე, ს. ჯ-ძე და ზ. ჯ-ძე და არა – ო. ჯ-ძე.

2018 წლის 31 აგვისტოს ნოტარიუსმა ლ. გ-მა მოსარჩელე ზ. ჯ-ძის სასარგებლოდ გასცა სამკვიდრო მონუმბა №..., რითაც ის აღირიცხა ქ. ბოლნისში, ... მდებარე სადავო ქონების თანამესაკუთრედ $\frac{1}{2}$ ნაწილზე. აღნიშნული სამკვიდრო მონუმბით დგინდებოდა, რომ ზ. ჯ-ძემ მიიღო ძმის – ს. ჯ-ძის სამკვიდრო, რომელსაც, თავის მხრივ, ფაქტობრივი ფლობით ჰქონდა მიღებული დედის, ვ. ჯ-ძის, სამკვიდრო ქონება, ანუ ქ. ბოლნისში, ... მდებარე სადავო ქონების $\frac{1}{2}$ წილი. ამავე სამკვიდრო მონუმბით დგინდებოდა, რომ ვ. ჯ-ძეს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ფაქტობრივი დაუფლებით ჰქონდა დედის, ა. ჯ-ძის სამკვიდროს $\frac{1}{2}$ წილი მიღებული.

8.15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განსჯით, არ არსებობდა ზ. ჯ-ძის პირველი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონისმიერი წინაპირობა, რაც თავისთავად გამორიცხავდა მომდევნო სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამდენად, ზ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარს არ ჰქონდა რა – წარმატების პერსპექტივა, მის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩნილიყო.

8.16. სააპელაციო პალატის დასკვნით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უსაფუძვლო იყო ნ. ჯ-ძის სარჩელის უარყოფის ნაწილში. პალატამ ყურადღება მიაქცია ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს დაკვნებს, რომლებიც თანამესაკუთრეთა კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისად, საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნას შესაძლებლად მიიჩნევს.

8.17. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, როდესაც მოსარჩელე საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესაძლებ-

ლობის თაობაზე მიუთითებს, მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, რომ რეალურად სადავო უძრავი ქონების ნატურით გაყოფის შესაძლებლობა არსებობს. მოცემულ საქმეზე, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 ივნისის დასკვნის №004018019 თანახმად: „ქ. ბოლნისში, ... №16-ში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა ორ თანაბარ ნაწილად ($\frac{1}{2}$ და $\frac{1}{2}$ ნილების შესაბამისად) ტექნიკური თავსებადობის, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ისე რომ არ შემცირდეს უძრავი ქონების ფუნქციური დანიშნულება შესაძლებელია ისე, როგორც ეს №2 და №3 დანართებზეა ნაჩვენები; ასეთი გაყოფის შემთხვევაში, განაშენიანებისაგან თავისუფალ მიწის ნაკვეთის 506 კვ.მ. ფართიდან (№1 შენობის განაშენიანების ფართი დარჩება საერთო საკუთრებაში) $\frac{1}{2}$ ნილის მესაკუთრეს შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 253 კვ.მ. ფართი (იხ. №3 დანართზე ყვითლად ნაჩვენები), ხოლო მეორე $\frac{1}{2}$ ნილის მესაკუთრეს ასევე შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 253 კვ.მ. №1 შენობის საერთო 74.8 კვ.მ. ფართიდან $\frac{1}{2}$ ნილის მფლობელს შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 36.47 კვ.მ. ფართი, რომელიც 0.93 კვ.მ.-ით ნაკლებია მისი იდეალური $\frac{1}{2}$ ნილის შესაბამისი ფართისგან, ხოლო მეორე $\frac{1}{2}$ ნილის მფლობელს შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 38.33 კვ.მ. ფართი, რომელიც 0.93 კვ.მ.-ი მეტია მისი იდეალური $\frac{1}{2}$ ნილის შესაბამისი ფართისგან. ასეთი გაყოფის შემთხვევაში, საჭირო იქნება კარის ღიობისა და ტიხრის მოწყობა ამოშენება, როგორც ეს №2 დანართზეა ნაჩვენები და ასევე საჭირო იქნება ყვითლად გამიჯნულ ფართ(ებ)თან დამოუკიდებელი ასასვლელი კიბის მოწყობა“. სააპელაციო სასამართლოს მიითითებთ, დგინდებოდა, რომ უძრავი ქონების ამ დასკვნის შესაბამისად გაყოფის შემთხვევაში, ქონების ფუნქციური დანიშნულება არ იცვლება.

8.18. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც შესაძლებელია ქონების ერთგვაროვან (და არა ზუსტ) ნაწილებად გაყოფა, თითოეული ნაწილის ღირებულების შემცირების გარეშე, თუნდაც, გარკვეული მოდიფიცირების გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხული არ არის საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის შესაძლებლობა, რაც ნიშნავს იმას, რომ არ არის სახეზე ის ერთადერთი წინაპირობა (ნატურით გაყოფის შეუძლებლობა), რომელიც ქონების რეალიზაციის გზით თანასაკუთრების უფლების გაუქმებისთვისაა დადგენილი (საზიარო უფლების გაუქმება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის

გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობო უფლებას. აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას).

8.19. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ განახორციელა თავის მტკიცების ტვირთში შემავალი ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, ხოლო, მოპასუხემ კუთვნილ მტკიცების ტვირთს წარმატებით ვერ გაართვა თავი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ არსებობს სადავო უძრავ ქონებაზე, ღირებულების შემცირების გარეშე, საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესაძლებლობა.

8.20. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის ნების (რომელიც მან პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზეც გამოხატა და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც მიუთითა) გამოკვლევის შედეგად დადგენილი იყო, რომ მისთვის მისაღებია, მიეკუთვნოს 2019 წლის 12 ივნისის ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული უძრავი ქონების ის ნაწილი, რომელიც ნაკლებია მის იდეალურ წილთან შედარებით და, ასევე, საჭიროებს გარკვეულ მოდიფიცირებას (იგი გამოხატავს ასევე მზაობას ამ მოდიფიცირების თაობაზე) სამშენებლო წესების დაცვით. მოსარჩელემ მზაობა განაცხადა თავად უზრუნველყოს ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული შესაბამისი ასასვლელი კიბის მოწყობა და ტიხრის ამოშენება. გარდა იმისა, რომ მოპასუხისთვის მისი უძრავი ქონების კუთვნილი წილის ღირებულება/საგნობრივ-ფუნქციური დაწინაშელება არც იცვლება და არც მცირდება, პირიქით მიეკუთვნება მის იდეალურ წილზე მეტი ფართი. ასევე, უნარჩუნდება ასასვლელი კიბეც. რაც შეეხება სველ წერტილს, მხარეთა განმარტებების შესაბამისად, დგინდებოდა, რომ უძრავ ნივთს ცალკე იზოლირებულად, ეზოში ისედაც ჰქონდა სველი წერტილი, რისი მოწყობაც, საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ მხარეს დამოუკიდებლად კუთვნილ მიწის ნაკვეთებში შეუძლიათ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვლინდებოდა ნ. ჯ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი.

9. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ჯ-ძემ და ა. გ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, მათი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ნ. ჯ-ძის სარჩელის უარყოფა. საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიები დაეფუძნა შემდეგს:

9.1. სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საზიარო უფლების ნაწილში და ერთ-ერთ მესაკუთრეს, ა. გ-ს საქმეში არსებული ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის საექსპერტო ბიუროს საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის 2019

წლის 12 ივნისის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, ისე მიაკუთვნა ქონების ნაწილი, რომ სათანადოდ არ შეისწავლა თავად აღნიშნული ექსპერტიზის გამცემი პირის, ლ. კ-ის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის სხდომაზე გაკეთებული განმარტებები, რომელიც აშკარად ადასტურებს ამგვარი გაყოფის შეუძლებლობას, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე.

9.2. ექსპერტმა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ ლურჯად მონიშნულ ნაწილში შესაყვანია საკომუნიკაციო სისტემები, კერძოდ, ბუნებრივი აირი და წყალი. შესაბამისად, გასარკვევია პრაქტიკულად შესაძლებელია თუ არა წყლისა და ბუნებრივი აირის სისტემების შეყვანა ლურჯად მონიშნულ ნაწილში. ექსპერტმა ასევე დაადასტურა, რომ ლურჯად დაფარულ ნაკვეთზე შემოსასვლელი გზა არის მოუწესრიგებელი ტრანსპორტისათვის, რაც ცხადია, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ნაკვეთის როგორც ფუნქციური დანიშნულების შესწავლა, ასევე დადგინდეს თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ გზის ფუნქციური დანიშნულებით რეგისტრაცია. უნდა გაირკვეს ისიც, არსებობს თუ არა ლურჯად მონიშნული გზის კეთილმოწყობის ტექნიკური შესაძლებლობა და დადგინდეს საჭიროა თუ არა დამატებითი ნებართვები, პროექტი და რა ხარჯებთანაა ყოველივე ეს დაკავშირებული.

9.3. კასატორთა მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იქნა დეტალური წერილობითი სახის მითითება საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით, სადაც ასახულია ექსპერტის განმარტებები, თუმცა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული არ შეუფასებია.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო არ უგულებელყოფდა დასკვნის გამცემი პირის, ლ. კ-ის, განმარტებას 2021 წლის 16 აპრილის სხდომაზე და მიიჩნევდა, რომ წარმოდგენილი დასკვნა თავად გამცემი პირის, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ექსპერტის განმარტებიდან გამომდინარე, საჭიროებდა შევსებას სპეციალური ცოდნის მქონე პირების მიერ, მას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება და დაენიშნა დამატებითი კვლევა, რაც შეავსებდა არსებულ დასკვნას და მის ირგვლივ არსებულ კითხვებს.

9.5. სააპელაციო სასამართლომ მშრალად იხელმძღვანელა არსებული დასკვნის წერილობითი შინაარსით და უსაფუძვლოდ მიუთითა მონინალმდევე მხარის განცხადებაზე, რომ იგი მზად იყო, მიეღო 0.93 კვ.მ. ფართობი ნაკლები. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ წილების ამგვარი გაყოფის შემთხვევაში, ლურჯად განსაზღვრული ფართობის მიმღები, ა. გ-ი ფორმალურად იღებდა, მართალია, 0.93 კვ.მ.-ით მეტ ფართს, თუმცა ამ ფართის ფუნქციური ღირებულება იმდენად მცირედობდა,

რომ ზედმეტობა ნაკლს ვერ დააკომპენსირებდა. შესაბამისად, თუკი სააპელაციო სასამართლო ობიექტურად გამოიკვლევდა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ექსპერტის განმარტებებს, იგი ამგვარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პირდაპირი და აშკარა საფუძველია.

9.6. რაც შეეხება საკასაციო საჩივარს ზ. ჯ-ძის მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლო მიღებული გადაწყვეტილება ამ შემთხვევაშიც დააფუძნა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ ა. ჯ-ძის შვილი, ო. ჯ-ძე, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა დედის დანაშთ ქონებას, მაშინ, როდესაც, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში კასატორებმა წარმოადგინეს კონკრეტული მითითებები, რაც საქმის სათანადოდ შესწავლის შემთხვევაში, სრულად გამორიცხავდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

9.7. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, განსაკუთრებით კი, საზიარო უფლების გაუქმების ნაწილში ქმნის არასასურველ პრეცედენტს, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია, ისე შელახოს მესაკუთრის უფლება, რომ არ შეინახვლოს საქმის დეტალები და მიაკუთვნოს მას ისეთი ქონება, რომელიც ფუნქციური ღირებულებით მნიშვნელოვანი ნაკლის მქონეა. სააპელაციო სასამართლო თავად აფუძნებს გადაწყვეტილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე, 963-ე და 964-ე მუხლებს, სადაც მიუთითებს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ერთადერთი წინაპირობა, რომელიც ქონების რეალიზაციის გზით თანასაკუთრების უფლების გაუქმებისათვის არის დადგენილი, მისი ნატურით გაყოფის შეუძლებლობაა და ამავდროულად არ ისმენს, არ განმარტავს და არ იკვლევს ექსპერტის შემავსებელ განმარტებებს ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით.

9.8. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლებას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 31.1 გარანტირებულ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასაც.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ზ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზიარო უფლების ნატურით გა-

უქმების ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მხარეებს სურთ, სახელდობრ: სამკვიდრო მონუმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ასევე, სადავო უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ ზ. ჯ-ძის მოთხოვნები შესაძლოა დაეფუძნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421.2 (მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო) 1421.3 (თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი), 524-ე (ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით), 525.1 (მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან) 170.1 (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას) და 54-ე (ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს) მუხლებს. საზიარო უფლების ნატურით გაუქმების შესახებ ზ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961.1. (თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება) და 963-ე (საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებუ-

ლების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილე-თა შორის ხდება კენჭისყრით) მუხლებიდან გამომდინარეობს.

14. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებში პალატის შეფასების საგანია: ზ. ჯ-ძის სარჩელთან მიმართებით, მიღებული აქვს თუ არა ო. ჯ-ძეს ფაქტობრივი ფლობით დედის – ა. ჯ-ძის სამკვიდრო და ამ საფუძვლით ვლინდება თუ არა სამკვიდრო მონაწილისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადავო ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ზ. ჯ-ძის ცნობის ფაქტობრივსამართლებრივი წინამძღვრები; ნ. ჯ-ძის სარჩელზე კი, შესაფასებელია, უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების ნატურით გაუქმების წინაპირობების არსებობა.

15. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ. ჯ-ძის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი და არ ვლინდება მისი გაუქმების ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

15.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1424-ე მუხლებით, გარდაცვლილი პირის დანაშთ ქონებაზე საკუთრების წარმოშობისათვის სავალდებულოა, მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნიდან (სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლი) 6-თვიან ვადაში განახორციელოს ერთ-ერთი იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება: დაეუფლოს სამკვიდროს ან მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდრო მონაწილის გაცემის თხოვნით. სამკვიდროს მიღება მემკვიდრის ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება. იგი მიმართულია მემკვიდრეობის მისაღებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრის მოქმედებები უნდა მიუთითებდეს მის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და უნდა დგინდებოდეს სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობა-

სა და მართვას (ს.უ.ს.გ. №ას-1092-2020, 22.01.2021წ., პუნ.95). ამასთან, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი (სამოქალაქო კოდექსის 1421 (3) მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის საფუძველზე, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

15.2. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის გზით დაუფლებისათვის მემკვიდრის ნებელობითი მოქმედება უნდა იყოს იმგვარი, რომ ცალსახად დგინდებოდეს მისი გადანაწილება, თავისად მიიჩნიოს მამკვიდრებლის დანაშთი ქონება და დაეპატრონოს მას, როგორც საკუთარს. სამკვიდროს უფლების განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორც ნების პირდაპირი გამოვლენის საფუძველზე, როდესაც მემკვიდრე სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ, ისე კონკლუდენტური მოქმედებით, რაც ადასტურებს მემკვიდრის სურვილს სამკვიდროს მიღების თაობაზე (ს.უ.ს.გ. №ას-1198-2019, 25.06.2021წ.). ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა) (ს.უ.ს.გ. №ას-600-600-2018, 26.07.2019წ; №ას-1756-2018, 12.02.2019წ; №ას-207-2019, 24.12.2020წ.).

15.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით, რომელიც ამტკიცებს სამკვიდროს მიღების ფაქტს, გულისხმობს მემკვიდრის მიერ ნებისმიერ მოქმედებებს ამ ქონების მართვის, განკარგვისა და სარგებლობის შესახებ, მის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებას ან გადასახადების გადახდას, ბინის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სამემკვიდრეო სახლში მცხოვრები დამქირავებლისაგან ქირის ამოღებას, სამემკვიდრეო ქონების ხარჯზე სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის საჭირო ხარჯების გადახდას ან მამკვიდრებლის ვალების დაფარვას და ა.შ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მითითებული მოქმედებები შეიძლება შეასრულოს როგორც მემკვიდრემ, ასევე, მისი დავალებით, სხვა პირმა, სამკვიდროს მიღების კანონით განსაზღვრულ ვადაში. სამკვიდრო ქონების მართვა შეიძლება ასევე გამოიხატოს ამ ქონებასთან დაკავშირებით მემკვიდრის მიერ ფაქტობრივი და იურიდიული ხასიათის მოქ-

მედებების განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული ობიექტების (სახლის, აგარაკის თუ საბაღე ნაკვეთის, სამშენებლო ობიექტების და სხვა) ნორმალურ ფუნქციონირებას და ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე მოქმედებებში, რომლებიც მიმართულია მთლიანი სამკვიდროს მდგომარეობის მონესრიგებისთვის (მამკვიდრებლის კუთვნილი ქონებრივი ფასეულობების გამოკვლევა, მოვალეების დადგენა და მათ მიერ ვალების დაფარვის პირობები და ა.შ.). სამკვიდრო ქონების მართვა თავისი შინაარსით, საკუთრების უფლების განხორციელების მოქმედებების ანალოგიურად განიხილება (ს.უ.ს.გ. №ას-1493-2020, 15.04.2021წ., პუნ. 58; №ას-186-2019, 24.02.2021წ., პუნ. 20; №ას-1182-2019, 19.10.2021წ., პუნ. 90).

16. განსახილველ შემთხვევაში, ზ. ჯ-დის სარჩელთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და არც საკასაციო საჩივრით არის სადავოდ გამხდარი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

16.1. ქ. ბოლნისში, ... ქ. №16-ში მდებარე სადავო ქონების თავდაპირველ მესაკუთრეს და მამკვიდრებელს წარმოადგენდა ა. ჯ-ძე, რომელიც გარდაიცვალა 1987 წლის 10 აგვისტოს. ა. ჯ-ძეს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები: ვ. ჯ-ძე და ო. ჯ-ძე.

16.2. ზ. ჯ-ძე და ს. ჯ-ძე არიან ვ. ჯ-დის შვილები, ხოლო ა. ჯ-ძე – ო. ჯ-დის შვილი.

16.3. 2018 წლის 31 აგვისტოს ნოტარიუსის მიერ გაცემული №... სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ზ. ჯ-ძე აღირიცხა ქ. ბოლნისში, ... ქ. №16-ში მდებარე სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ.

16.4. ზ. ჯ-ძემ მის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი 2019 წლის 06 მარტს აჩუქა შვილს – ა. გ-ს.

16.5. 2016 წლის 13 აპრილს ნოტარიუსის მიერ გაცემული №... სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ა. ჯ-ძემ ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო დედის – ო. ჯ-დის დანაშთი სამკვიდრო ქონება.

16.6. ა. ჯ-დის სახელზე ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 26 აგვისტოს გაცემული სადავო №... სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ა. ჯ-ძეს ფაქტობრივი დაუფლებით მიღებული აქვს დედის – ო. ჯ-დის დანაშთი სამკვიდრო ქონება; ა. ჯ-დის დედამ – ო. ჯ-ძემ კი, ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო გარდაცვლილი დედის – ა. ჯ-დის სამკვიდრო, შესაბამისად, ა. ჯ-ძემ სრულად მიიღო ო. ჯ-დის სამკვიდრო, მათ შორის – ა. ჯ-დის სამკვიდრო მასაში შემავალი სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი.

16.7. ა. ჯ-ძემ სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტში აღირიცხა 2017 წლის 26 აგვისტოს №... სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. 2017 წლის 29 სექტემბერს ა. ჯ-ძემ სადავო უძრავი ქონების კუთვნილი წილი აჩუქა შვილს – ნ. ჯ-ძეს.

16.8. ამჟამად, ქ. ბოლნისში, ... ქ. №16-ში მდებარე უძრავი ქონების

(ს/კ...) თანამესაკუთრეები არიან ნ. ჯ-ძე (მის საკუთრებაში არსებული წილი შეადგენს $\frac{1}{2}$ იდეალურ ნაწილს) და მოპასუხე ა. გ-ი (მის საკუთრებაში არსებული წილიც შეადგენს $\frac{1}{2}$ იდეალურ ნაწილს).

17. საკასაციო პალატა, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 07 აგვისტოს № 11/4461 წერილზე (პასუხი), ე. ნ-ის, მ. შ-ძის, ლ. ტ-ძის, დ. მ-ძის და ე. ფ-ის გამოკითხვის ოქმებზე (სისხლის სამართლის საქმეზე), ასევე, სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა: ე. ნ-ის, ლ. ტ-ძის, მ. შ-ძის, ი. გ-ის, ნ. ბ-ძის, დ. მ-ძის, ე. ფ-ის ჩვენებებზე დაყრდნობით, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ო. ჯ-ძე, დედის – ა. ჯ-ძის გარდაცვალების დღიდან – 1987 წლის 10 აგვისტოდან, გარდაცვალებამდე – 2008 წლის 28 ოქტომბრამდე ფლობდა და სარგებლობდა სადავო უძრავი ქონებით, შესაბამისად, ან გარდაცვლილმა ო. ჯ-ძემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის – ა. ჯ-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონება.

18. იმ პირობებში, როდესაც, ზ. ჯ-ძეს სარჩელით სადავოდ არ გაუხდია 2016 წლის 13 აპრილის №... სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც ა. ჯ-ძემ ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო დედის – ო. ჯ-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონება, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ ქვემოთმოთხატის სასამართლოებმა მართებულად დაადგინეს ფაქტობრივი გარემოება, რომ ა. ჯ-ძემ მიიღო დედის, ო. ჯ-ძის დანაშთი სამკვიდრო.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ მსჯელობასაც, რომ ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 28 აგვისტოს გაცემული სადავო სამკვიდრო მოწმობა ერთგვარი გაგრძელება იყო 2016 წლის 13 აპრილს იმავე ნოტარიუსის მიერ ა. ჯ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობისა, რომლითაც დამატებით განისაზღვრა, რომ ა. ჯ-ძის მამკვიდრებელს – ო. ჯ-ძეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა დედის ა. ჯ-ძის სამკვიდრო და შესაბამისად, მის სამკვიდროში შედიოდა ა. ჯ-ძის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი, რაც ასევე მიიღო ა. ჯ-ძემ.

19. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ო. ჯ-ძემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის – ა. ჯ-ძის სამკვიდრო, ხოლო ა. ჯ-ძემ თავის მხრივ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის – ო. ჯ-ძის სამკვიდრო, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ასევე, სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობის შესახებ კასატორ ზ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნები.

20. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს ა. გ-ის საკასაციო საჩივრის პრეტენზიებს, შესაბამისად, მიაჩნია, რომ ნ. ჯ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნ-

და დაუბრუნდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს, სახელდობრ:

20.1. საზიარო უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას. სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მოწილეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება. მოცემულ შემთხვევაში, მოდავე მხარეები არიან თანამესაკუთრეები უძრავი ქონებისა, რომელიც საზიარო უფლების ობიექტია და მხარეები ერთმანეთთან კანონისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან (ს.უ.ს.გ. №ას-1148-1094-2014, 19.03.2015წ.).

20.2. მოძრავი ან უძრავი ნივთი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პირის საერთო საკუთრება. საკუთრების წილი თვითონ არის საკუთრება, სამართლებრივი გაგებით. როგორც წესი, წილად თანასაკუთრებაზე გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი საკუთრების წესები. თანასაკუთრება არის სამოქალაქო კოდექსით აღიარებული ერთადერთი შესაძლებლობა, დაყოფილ იქნეს საკუთრების განკარგვის უფლებამოსილება ერთ ნივთზე (ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018წ., მუხ.173, ველი 1).

20.3. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 953-ე-968-ე მუხლები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულ მოწილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

20.4. სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის საფუძველზე, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. ამდენად, საზიარო უფლების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობა არის ის, რომ საგანი უნდა იყოფოდეს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. დასახელებული ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება-

ბა, რასაც ასრულებდა გაყოფამდე (ს.უ.ს.გ. №ას-1217-2018, 13.12.2018წ; №ას-1389-1309-2017, 30.04.2018წ.). ამდენად, საზიარო უფლება შეიძლება გაუქმდეს ნილების შესაბამისად ნატურით გაყოფით, თუ შესაძლებელია მისი გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. ნილთა ერთგვაროვნება გულისხმობს მათ სამეურნეო დანიშნულებას (იხ. Sprau, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, §752, Rn. 1,2,3).

20.5. საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება (ს.უ.ს.გ. №ას-1080-1000-2017, 27.10.2017წ.).

20.6. საზიარო საგნის ღირებულების შემცირების გარეშე ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფის რეალურ შესაძლებლობაზე მსჯელობისას სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უნდა დაასაბუთოს ასეთი წინაპირობის არსებობა და გამოირიცხოს ნივთის ღირებულების შემცირების საეჭვოობა (ს.უ.ს.გ. №ას-1125-1389-09, 26.03.2010წ.).

20.7. ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 ივნისის №004018019 დასკვნის თანახმად, რომელსაც ეფუძნება გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ქ. ბოლნისში, ... №16-ში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა ორ თანაბარ ნაწილად ($\frac{1}{2}$ და $\frac{1}{2}$ ნილების შესაბამისად) ტექნიკური თავლსაზრისით, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ისე რომ არ შემცირდეს უძრავი ქონების ფუნქციური დანიშნულება შესაძლებელია ისე, როგორც ეს №2 და №3 დანართებზეა ნაჩვენები. ასეთი გაყოფის შემთხვევაში, განაშენიანებისაგან თავისუფალ მიწის ნაკვეთის 506 კვ.მ. ფართიდან (№1 შენობის განაშენიანების ფართი დარჩება საერთო საკუთრებაში) $\frac{1}{2}$ ნილის მესაკუთრეს შესაძლებელია გამოეყოს მისი კუთვნილი ნილის შესაბამისი 253 კვ.მ. ფართი, ხოლო მეორე $\frac{1}{2}$ ნილის მესაკუთრეს ასევე შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 253 კვ.მ. №1 შენობის საერთო 74.8 კვ.მ. ფართიდან $\frac{1}{2}$ ნილის მფლობელს შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 36.47 კვ.მ. ფართი, რომელიც 0.93 კვ.მ.-ით ნაკლებია მისი იდეალური $\frac{1}{2}$ ნილის შესაბამისი ფართისგან, ხოლო მეორე $\frac{1}{2}$ ნილის მფლობელს შესაძლებელია გამოეყოს კუთვნილი ნილის შესაბამისი 38.33 კვ.მ. ფართი, რომელიც 0.93 კვ.მ.-ი მეტია მისი იდეალური $\frac{1}{2}$ ნილის შესაბამისი ფართისგან. ასეთი გაყოფის შემთხვევაში, საჭირო იქნება კარის ლიობისა და ტიხრის მოწყობა-ამოშენება, როგორც ეს №2

დანართზეა ნაჩვენები და, ასევე, საჭირო იქნება ყვითელი ფერით გა-
მიჯნულ ფართ(ებ)თან დამოუკიდებელი ასასვლელი კიბის მოწყობა.

20.8. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ
პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიკითხა ზემოხსენებული ექ-
სპერტიზის დასკვნის ავტორი, ექსპერტი – ლ. კ-ი, რომელმაც განმარ-
ტა, რომ მის მიერ შედგენილ დასკვნაში გამიჯნულ ლურჯად მონიშ-
ნულ ნაწილში შესაყვანია საკომუნიკაციო სისტემები, კერძოდ კი, ბუ-
ნებრივი აირი და წყალი. გარდა ამისა, ლურჯად დაფარულ ნაკვეთზე
შესასვლელი სამანქანო გზა არის მოუწესრიგებელი. მისივე განმარტე-
ბით, გამიჯვნის შემდეგ, მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი კვლავ რჩე-
ბა მესაკუთრეთა თანასაკუთრებაში.

20.9. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორ ა. გ-ის პრეტენზიას, რომ
სააპელაციო სასამართლოს, მხარეთა შორის საზიარო უფლების ნატუ-
რით გაუქმებისას ექსპერტის ზეპირი განმარტება არ გამოუკვლევია
და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ შეუფასებია. ამასთან, ქვემ-
დგომი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია ექსპერტიზის დას-
კვნის ჩანაწერზე, რომ გამიჯვნის შემდეგ საზიარო უფლების ნატუ-
რით გაუქმება სრულად არ ხდება და საზიარო უფლების მონაწილეებს
თანასაკუთრებაში რჩებათ №1 შენობის განაშენიანების ფართი.

20.10. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული მტკი-
ცებულებები საჭიროებს დამატებით კვლევას, რაც საკასაციო განხილ-
ვის სტადიაზე შეუძლებელია.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩ-
ნია, რომ კასატორ ა. გ-ის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუ-
თებული საკასაციო პრეტენზია. შესაბამისად, ა. გ-ის საკასაციო საჩივ-
რის ნაწილში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად საქმის ხელახლა გან-
სახილველად დაბრუნების წინაპირობა, რა დროსაც, დამატებით უნდა
იქნეს გამოკვლეული ზემოთ მითითებული მტკიცებულებები. შესაბა-
მისად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო სა-
ჩივარს, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახ-
ლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც საკა-
საციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების
შესაბამისად, თავიდან უნდა შეაფასოს შესაძლებელია თუ არა საზიარო
საგნის ნატურით გაყოფა.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხ-
ლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასა-
ციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგი-
ლი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ
უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-

ლება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ზ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას და გასაჩივრებული გადანყვეტილება მისი მოთხოვნების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

23. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის, ნ. ჯ-ძის შუამდგომლობას საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად (საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადანყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს), საქმის განხილვის ფორმის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. აღნიშნული ემყარება საკასაციო სამართალწარმოების ბუნებას, კერძოდ, საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, არამედ – მისი მსჯელობის საგანი საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებაა. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა არ ზღუდავს ადამიანის სასამართლოში მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას (№2/6/205,232, 03.07.2003წ. გადანყვეტილება) (ს.უ.ს.გ-ები: №ას-807-2020, 12.11.2020წ.; №ას-1150-2020, 29.11.2021წ.; №ას-1558-2022 1.03.2023წ.; №ას-654-2022, 2.03.2023წ.). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრების საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას საჭიროდ არ მიიჩნევს, რის გამოც, ნ. ჯ-ძის შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

24. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით ა. გ-ის ნაწილში საქმის წარმოება არ დასრულებულა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებისას.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ დაკმაყოფილდა ზ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი არ ანაზღაურდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო

ლათო საპროცესო კოდექსის 411-ე, 412-ე მუხლებით,

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ზ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის №28/4529-21 გადაწყვეტილება ზ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.
3. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის №28/4529-21 გადაწყვეტილება უძრავ ქონებაზე (ს/კ № ...) საზიარო უფლების ნატურით გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
5. ზ. ჯ-ძის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი არ ანაზღაურდება.
6. ნ. ჯ-ძის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა ზ ი ა რ ო უ ფ ლ ე ბ ე ბ ის გ ა უ ქ მ ე ბ ა ნ ა ტ უ რ ი თ გ ა ყ ო ფ ი ს ა ს

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ას-108-2024

23 მაისი, 2024 წელი ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი**

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. გ-იამ (შემდეგში – მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპა-

სუხე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სა-სამართლოში ლ. ჩ-ძის მიმართ (შემდეგში – მოპასუხე, შეგებებული სარ-ჩელის მოსარჩელე, კასატორი) შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. გაუქმდეს საზიარო უფლება ქონების რეალიზაციის გზით უძ-რავ ქონებაზე, რომლის რეკვიზიტებია: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სა-გურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადას-ტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1000 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1 და რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა განა-ნილდეს მოსარჩელე თ. გ-იასა და მოპასუხე ლ. ჩ-ძეს შორის მათი წილე-ბის პროპორციულად;

1.2. გაუქმდეს საზიარო უფლება ქონების რეალიზაციის გზით უძ-რავ ქონებაზე, რომლის რეკვიზიტებია: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სა-გურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; დაზუს-ტებული ფართობი: 1500 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შე-ნობა №2, მშენებარე შენობა №3, საკადასტრო კოდი: ... და რეალიზაცი-ის შედეგად ამონაგები თანხა განაწილდეს მოსარჩელე თ. გ-იასა და მო-პასუხე ლ. ჩ-ძეს შორის მათი წილების პროპორციულად;

1.3. მოპასუხე მხარეს დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სა-ხელმწიფო ბაჟი – 120 ლარი და ექსპერტიზისთვის გაწეული ხარჯი – 129 ლარი (პირველი სასარჩელო მოთხოვნის საპროცესო ხარჯები). მო-პასუხე მხარეს დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწი-ფო ბაჟი – 120 ლარი და ექსპერტიზისთვის გაწეული ხარჯი – 736 ლარი (მეორე სასარჩელო მოთხოვნის საპროცესო ხარჯები).

2. მოპასუხე ლ. ჩ-ძემ ძირითად სარჩელთან დაკავშირებით წარმოდ-გენილი შესაგებლით, სარჩელი არ ცნო.

3. მოპასუხე ლ. ჩ-ძემ თ. გ-იას წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი წარადგინა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

3.1. გაუქმდეს ლ. ჩ-ძის და თ. გ-იას შორის საზიარო უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინის-ტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., ს/კ: ..., სსიპ „ლევან სამხა-რაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356722 საექსპერტო დასკვნის მიხედვით და ლ. ჩ-ძეს მიეკუთვნოს აღნიშნული უძრავი ქონების ლურჯ ფერად მონიშნული ნაწილი კერძოდ, მიწის ნაკვეთიდან 1000 კვ.მ-დან მიეკუთ-ვნოს დანართ 3-ზე ლურჯი ფერით მონიშნული 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობი;

3.2. გაუქმდეს ლ. ჩ-ძეს და თ. გ-იას შორის საზიარო უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინის-ტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., ს/კ: ..., სსიპ „ლევან სამხა-რაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“

2022 წლის 07 მარტის №001356822 საექსპერტო დასკვნის 1-ლი ვარიანტის მიხედვით და ლ. ჩ-ძეს მიეკუთვნოს აღნიშნული უძრავი ქონების ლურჯ ფერად მონიშნული ნაწილი, კერძოდ, შენობა-ნაგებობიდან 513.68 კვ.მ-დან მიეკუთვნოს დანართ 5-ზე და 6-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 256.84 კვ.მ ფართი, ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან მიეკუთვნოს დანართ 7-ზე და 8-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართი.

4. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ – თ. გ-იამ ლ. ჩ-ძის შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

5. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თ. გ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საზიარო უფლება უძრავ ნივთზე, მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1000 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1 – მისი აუქციონის წესით რეალიზაციის გზით და დადგინდა, რომ ამონაგები თანხა მხარეებს შორის განაწილდეს უძრავ ნივთზე მათი წილების პროპორციულად; გაუქმდა საზიარო უფლება უძრავ ნივთზე, მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შენობა №2, მშენებარე შენობა №3, საკადასტრო კოდი: ... – მისი აუქციონის წესით რეალიზაციის გზით და დადგინდა, რომ ამონაგები თანხა მხარეებს შორის განაწილდეს უძრავ ნივთზე მათი წილების პროპორციულად; მოპასუხე ლ. ჩ-ძეს მოსარჩელე თ. გ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 120 ლარი, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ, ასევე 736 ლარი ექსპერტიზის ჩატარებისთვის განუხილავი ხარჯების სანაცვლოდ; მოსარჩელე თ. გ-იას დაუბრუნდა დ. ლ-ძის მიერ, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 120 ლარი; ლ. ჩ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჩ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

7. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, ლ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1.1. მოსარჩელე (მოპასუხე შეგებებულ სარჩელში) თ. გ-იას (პ/ნ...) და მოპასუხე (მოსარჩელე შეგებებულ სარჩელში) ლ. ჩ-ძეს (პ/ნ..) თანასაკუთრებაში გააჩნიათ ორი უძრავი ნივთი (წილობრივი მონაცემებით: თ. გ-იას – 1/2 ნაწილი, ლ. ჩ-ძეს – 1/2 ნაწილი), რომელთა რეკვიზიტებია:

– მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1000 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1;

– მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა №1; შენობა №2; მშენებარე შენობა №3.

8.1.2. თ. გ-იას ინიციატივით ჩატარებული სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356622 დასკვნის თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა თანამესაკუთრეთა შორის, მათ სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული წილების შესაბამისად იზოლირებულად, დანიშნულებრივი ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან საზაფხულო ფართის და ასევე აუზის მდებარეობა არ იძლევა აღნიშნული უძრავი ქონების ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე ერთგვაროვან ნაწილად გამიჯვნის შესაძლებლობას; თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლებელია გაიყოს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (განხილული როგორც გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთი). აღნიშნულის გათვალისწინებით, მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაყოფა შესაძლებელია ისე როგორც ეს დანართ №3-ზეა აღნიშნული, რა შემთხვევაშიც პირველი 1/2 წილის მფლობელს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №3-ზე ყვითელი ფერით აღნიშნული 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება მისი 1/2 წილის შესაბამის 500 კვ.მ. ფართს, ხოლო, მეორე 1/2 წილის მფლობელს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №3-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება 1/2 წილის შესაბამის 500 კვ.მ. ფართს;

იგივე წესს ითვალისწინებს 2022 წლის 07 მარტის №001356722 ექსპერტიზის დასკვნაც.

8.1.3. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356822 დასკვნის თანახმად, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა თანამესაკუთრეთა შორის, მათ სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული წილების შესაბამისად, იზოლირებულად, დანიშნულებრივი ღირებულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია ორ ვარიანტად; ორივე ვარიანტით გაყოფის შემთხვევაში:

– პირველი $\frac{1}{2}$ წილის მფლობელს 513.68 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №5-ზე და №6-ზე ყვითელი ფერით აღნიშნული 256.84 კვ.მ. ფართი, ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან, შესაძლებელია გამოეყოს დანართ №7-ზე და №8-ზე ყვითელი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ. ფართი;

– მეორე $\frac{1}{2}$ წილის მფლობელს კი, 513.68 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №5-ზე და №6-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 56.84 კვ.მ. ფართი; ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №7-ზე და №8-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ. ფართი, რაც შეესაბამება $\frac{1}{2}$ წილის შესაბამის 563 კვ.მ. ფართს.

იგივე წესით გამიჯვნას ითვალისწინებს 2022 წლის 07 მარტის №001356522 ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის კვლევით ნაწილში, აღნიშნულია შემდეგი: ზემოაღნიშნული ვარიანტებით გაყოფის შემთხვევაში საჭირო იქნება მოეწყოს და მოშენდეს დანართ №5-ზე და დანართ №6-ზე წითელი ფერით აღნიშნული ტიხარი, კარისა და ფანჯრის ღიობები. პირველი ვარიანტით გაყოფის შემთხვევაში საჭირო იქნება კიბის უჯრედში, პირველ და მეორე სართულებს შორის დამაკავშირებელი სივრცის იზოლირება ერთმანეთისაგან. ასევე, გამოყოფილ ნაწილში არარსებობის შემთხვევაში უნდა მოეწყოს სამზარეულო.

8.2. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მხარეებს სურდათ (საზიარო უფლების გაუქმება ქონების ნატურით გაყოფის გზით (ძირითად სარჩელში), საზიარო უფლების გაუქმება ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით (შეგებებულ სარჩელში)) მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები სამოქალაქო კოდექსის 961-ე (თითოეულ მონილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება), 963-ე (საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი საგნები შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით) და 964-ე (თუკი ამგვარი დაყოფა გამოირიცხება, უფლება შეიძლება გაუქმდეს ქონების რეალიზაციისა და ამონაგები თანხის თანამესაკუთრეთა წილების პროპორციულად განაწილების გზით) მუხ-

ლებიდან გამომდინარეობდა.

8.3. პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ, საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობაზე: საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყიდვით (964-ე მუხლი) და განმარტა, რომ ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხული იყო.

8.4. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართებულად იქნა დაადგენილი, რომ საზიარო საგნების (მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1000 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1 და მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შენობა №2, მშენებარე შენობა №3, საკადასტრო კოდი: ...) ნატურით გაყოფა შეუძლებელი იყო.

8.5. სადავო საკითხთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საზიარო საგანს წარმოადგენდა ორი მიწის ნაკვეთი, მათზე არსებული შენობა-ნაგებობებით. აღნიშნული უძრავი ნივთები საკუთრებაში აღრიცხული იყო ორ პირზე, რომლებიც განსახილველი დავის მხარეები იყვნენ და თითოეულს ამ საგნების მიმართ თანაზიარი (1/2 – 1/2) საკუთრების უფლება გააჩნდა.

8.6. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის უმთავრესი გარემოება – უძრავ ნივთებზე საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმების წინაპირობების არ არსებობა, რაც გამომდინარეობდა საქმეზე წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საქესპერტო დასკვნებიდან.

8.7. იმავდროულად, პალატამ ყურადღება მიაქცია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნების შემსრულებელი ექსპერტის – ნ. ს-ძის სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებებს, რომლის თანახმადაც: ვინაიდან აღნიშნული შენობა-ნაგებობა წარმოადგენდა ერთი ოჯახისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ სახლს, ნატურით გამიჯვნის შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა განხორციელებულიყო გარკვეული სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ასევე გათვალისწინებული იყო დასკვნაში, მათ შორის დანართ №5-ზე და დანართ №7-ზე ნითელი ფერით აღ-

ნიშნულ ნაწილებში უნდა მოწყობილიყო და ამოშენებულიყო ტიხრები, კარისა და ფანჯრის ლიობები, ამასთან, ვინაიდან სახლში იყო ერთი სამზარეულო, გამიჯვნის ორივე ვარიანტის შემთხვევაში, გამოყოფილ ნაწილში არარსებობის შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა მოწყობილიყო მეორე სამზარეულოც, ამასთან გამიჯვნის პირველი ვარიანტის შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა პირველ და მეორე სართულს შორის კიბის უჯრედში დამაკავშირებელი სივრცის იზოლირება/გადახურვა.

8.8. პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა იმაზე, რომ სადავო უძრავი ქონების ერთგვაროვან ნაწილებად ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი იქნებოდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რაც დაკავშირებული იყო დამატებით ხარჯებთან ამ მშენებლობის სანარმოებლად. მითითებული საზიარო საგნის გაყოფის ფორმა კი, რომელიც ითვალისწინებდა ქონების რეკონსტრუქციასა და დანახარჯების გაღებას, არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის დისპოზიციიდან. ამასთან, საცხოვრებელი სახლის ორ იზოლირებულ ნაწილად გამიჯვნა, ტექნიკურ მოთხოვნათა დაცვით, ისე რომ არ შემცირებულიყო თითოეული გამოყოფილი ნაწილის ფუნქციური (დანიშნულებრივი) ღირებულება, შეუძლებელი იყო, რადგან გამიჯვნის შემთხვევაში, გამოყოფილ ნაწილს არ ექნებოდა სამზარეულო, რაც გათვალისწინებული იყო მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებით. აქედან გამომდინარე, გამოყოფილ ნაწილებს შეუძირდებოდა დანიშნულებრივი (ფუნქციური) ღირებულება. ექსპერტის განმარტებით, საცხოვრებელ სახლს უნდა ჰქონდა შესასვლელი, სამზარეულო, დამხმარე ფართი, საცხოვრებელი ოთახები, დერეფანი, სველი წერტილი. შესაბამისად, გაყოფის შემთხვევაში, რომელიმე თანამესაკუთრე შესაძლებელია აღმოჩენილიყო სამზარეულოს გარეშე. აღნიშნული კი, ფაქტობრივად სპობდა საცხოვრებლის ფუნქციურ დანიშნულებას. პალატამ ყურადღება გაამახვილა ამავე ექსპერტის იმ განმარტებაზეც, რომ მან გამიჯვნა მოახდინა ფაქტობრივად არსებული ფართის, სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი კოეფიციენტისა და პარამეტრების გამოყენებით. მან დასკვნის შედგენისას იხელმძღვანელა „დამყვანი კოეფიციენტით“ და იმსჯელა ნივთის ტექნიკური თვალსაზრისით გაყოფის შესაძლებლობაზე, მას არ გაუთვალისწინებია კომუნიკაციების მოწყობის შესაძლებლობა. ამასთან აღნიშნა, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, აივნის/ვერანდის ნაწილი გათვალისწინებული იყო „დამყვანი კოეფიციენტით“ (0.3) (მაგალითად, თუ ტერასის ფართობი ფაქტობრივად შეადგენდა 100 კვ.მ-ს დამყვანი კოეფიციენტით დაანგარიშებისას ის უტოლდებოდა 30 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს. ე.წ. „დამყვანი კოეფიციენტის“ გამოყენების გარეშე, სახლის, როგორც პირ-

ველი, ისე მეორე ვარიანტით გამიჯვნის შემთხვევაში, ყვითელი ფერით გამოყოფილი ფართის ჯამური მოცულობა აშკარად აღემატებოდა ლურჯი ფერით გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ფართობს. შესაბამისად, მხარეს, რომელსაც შეხვდებოდა ტერასა და აივნები, ექნებოდა გაცილებით დიდი ფართი. გამიჯვნის ორივე შემთავაზებულ ვარიანტში ტერასა, რომელიც ფაქტობრივად იყო 67.85 კვ.მ. და აივნები – ფაქტობრივად 20.74 კვ.მ და 20.11 კვ.მ – აღმოჩნდებოდა ერთი მხარის (ყვითელი ფერით დაშტრიხულ) ნაწილში, ხოლო მეორე მხარის (ლურჯი ფერით დაშტრიხულ) ნაწილში საპირწონედ მსგავსი ფუნქციური ღირებულების სივრცე – აივანი იქნებოდა ფაქტობრივად მხოლოდ 2.10 კვ.მ ფართობის მქონე. ამასთან, №001356522 დასკვნაში მითითებული წესით უძრავი ნივთის გამიჯვნის შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამესაკუთრის ინდივიდუალურ საკუთრებაში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო მყარი კედლებით ნაშენი ნაგებობის ნაწილი, ხოლო მეორე თანამესაკუთრის ინდივიდუალურ საკუთრებაში დარჩებოდა შენობა-ნაგებობის ღია ნაწილი (ე.წ. ვერანდა), რომელსაც ოთხივე მხრიდან კაპიტალურად ნაშენი კედლები არ ექნებოდა. შესაბამისად, წარმოდგენილი სახით გამიჯვნის შემთხვევაში, მხარეები საკუთრებაში მიიღებდნენ აბსოლუტურად სხვადასხვა ხარისხის ნაგებობას. ამასთან, ექსპერტის განმარტებით, მესამე სართულზე თეთრი ფერით დაშტრიხული ფართი, ვინაიდან სამშენებლო ნორმების მიხედვით ვერ აკმაყოფილებდა ფართისთვის გათვალისწინებულ სიმაღლის სტანდარტს, გასამიჯნ ფართში არ იყო გათვალისწინებული. ასევე, შემოთავაზებული პირველი ვარიანტით გამიჯვნის შემთხვევაში ავტოფარეხი მთლიანად ლურჯი ფერით დაშტრიხულ მხარეს რჩებოდა, ხოლო ყვითელი ფერით დაშტრიხულ მხარეს საპირწონედ ასეთი დანიშნულების ფართი არ ხვდებოდა; გამიჯვნის მეორე ვარიანტის შემთხვევაში კი, ავტოფარეხი იყოფოდა ორ ნაწილად, რა დროსაც ლურჯი ფერით დაშტრიხულ მხარეს რჩებოდა ავტოფარეხის დანიშნულების მქონე ფართი, ხოლო მეორე ნაწილი კარგავდა ამ დანიშნულებას და იქცოდა დამხმარე ფართად, ამდენად ყვითელი ფერით დაშტრიხულ მხარეს ავტოფარეხი არ ექნებოდა.

8.9. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით დგინდებოდა, რომ ერთ შემთხვევაში (ს/კ ...) სადავო საზიარო საგნის გაყოფა იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ მოეწყობოდა და ამოშენდებოდა ტიხარი, კარისა და ფანჯრის ლიობები, პირველი ვარიანტით გაყოფის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ასევე კიბის უჯრედში პირველ და მეორე სართულებს შორის დამაკავშირებელი სივრცის იზოლირება ერთმანეთისაგან. ასევე, გამოყოფილ ნაწილში არარსებობის შემთხვევაში უნდა მოწყობილიყო სამზარეულო, ხოლო მეორე შემთხვევაში (ს/კ ...) უძრავი ქონე-

ბის გამიჯვნა თანამესაკუთრეთა შორის მათ სახელზე საჯარო რეეს-ტრში რიცხული წილების შესაბამისად იზოლირებულად, დანიშნულებ-რივი ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელი იყო, ვინაიდან საზაფხულო ფართის და ასევე აუზის მდებარეობა არ იძლეოდა აღნიშ-ნული უძრავი ქონების ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარე-შე ერთგვაროვან ნაწილად გამიჯვნის შესაძლებლობას.

8.10. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ლ. ჩ-ძემ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების საპი-რისპირო მტკიცებულება (გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა და 2022 წლის 07 მარტის 001356722 ექსპერტიზის დასკვნისა, რომლიც იგივე შინაარსის მატარებელი იყო), რაც სასამართლოს სხვაგვარი მსჯელობის შესაძლებლობას მისცემდა, ვერ წარმოადგინა. მას არ ჰქონ-და წარმოდგენილი სამართლებრივად ვარგისი და წონადი მტკიცებუ-ლება, რომელიც კვალიფიციური ექსპერტის დასკვნის გასაბათილებ-ლად გამოდგებოდა.

8.11. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევა-ში უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრეთა იდეალური წილების შესაბამი-სი რეალური წილების გამოყოფა, მათი კუთვნილი წილის შესაბამისი ნივთის ფუნქციური დანიშნულებისა და ღირებულების შემცირების გა-რეშე შეუძლებელი იყო, გამოვლენილი იყო საზიარო ქონების აუქციონ-ზე გაყიდვისა და ამონაგები თანხების თითოეული თანამესაკუთრის წი-ლის შესაბამისად განაწილებით, საზიარო უფლების გაუქმების ფაქტობ-რივი და სამართლებრივი წინაპირობა.

8.12. პალატამ ისიც აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტი-სას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიღო მხედვე-ლობაში ის გარემოებაც, რომ დასკვნაში მითითებული წესით უძრავი ნივთის გამიჯვნის შემთხვევაში მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთ-რებაში გადავიდოდა მყარი კედლებით ნაშენი ნაგებობის პირველი და მეორე სართული, ხოლო მოპასუხის საკუთრებაში რჩებოდა პირველ სართულზე არსებული შენობა-ნაგებობის ღია ნაწილი, ე.წ. ვერანდა, რომელსაც ოთხივე მხრიდან კაპიტალურად ნაშენი კედლები არ ჰქონ-და. ამდენად, წარმოდგენილი სახით გამიჯვნის შემთხვევაში მხარეები საკუთრებაში იღებდნენ აბსოლუტურად სხვადასხვა ხარისხის ნაგე-ბობას. ამასთან, უძრავი ნივთის ნაწილზე გავრცელებოდა ინდივიდუ-ალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება (უძრა-ვი ნივთის განსაზღვრულ ნაწილებზე საერთო საკუთრების რეჟიმი რჩე-ბოდა), რაც თანასაკუთრებაზე საზიარო უფლების გაუქმების არსს და შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მიზანს ეწინააღ-მდეგებოდა.

8.13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნიდა იმ დასკვნისათვის, რომ არსებობდა საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გამომრიცხველი წინაპირობა. შესაბამისად, მოსარჩელე (თ. გ-ია) უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა უძრავი ნივთების რეალიზაცია და ამონაგების განაწილება საზიარო საგნების მესაკუთრეებს შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის შესაბამისად.

9. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება და ასევე, ამავე სასამართლოს 2023 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინება, რომლითაც აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჩ-დემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

10. კასატორის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

10.1. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მასზედ, რომ სადავო უძრავი ქონების ერთგვაროვან ნაწილებად ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან ამ მშენებლობის საწარმოებლად. მითითებული საზიარო საგნის გაყოფის ფორმა კი, რომელიც ითვალისწინებს ქონების რეკონსტრუქციასა და დანახარჯების გაღებას, არ გამომდინარეობს სსკ-ის 963-ე მუხლის დისპოზიციიდან. ამასთან, საცხოვრებელი სახლის ორ იზოლირებულ ნაწილად გამიჯვნა, ტექნიკურ მოთხოვნათა დაცვით, ისე, რომ არ შემცირდეს თითოეული გამოყოფილი ნაწილის ფუნქციური (დანიშნულებრივი) ღირებულება, შეუძლებელია, რადგან გამიჯვნის შემთხვევაში გამოყოფილ ნაწილს არ ექნება სამზარეულო, რაც გათვალისწინებულია მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებით. აღნიშნული დასკვნის საპირისპიროდ, კასატორი განმარტავს, რომ ნატურით გასაყოფი საცხოვრებელი დანიშნულების ფართები, როგორც წესი, არ შენდება მათი შემდგომში ნატურით გაყოფის შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამასთანავე, შეუძლებელია სრული მათემათიკური სიზუსტით განხორციელდეს საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი ფართების გაყოფა. ხშირ შემთხვევაში, ქონების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი ხდება მცირედი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. საცხოვრებლის არსებობა იმდენად მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ასპექტს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებაში, რომ სსკ-ის 964-ე მუხლი აუქციონზე ქონების გაყიდვას ითვალისწინებს, როგორც უკიდურეს ზომას და იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამოირიცხება.

კასატორის მითითებით, არც სსკ-ის 964-ე და არც სსკ-ის 963-ე მუხლი არ ითვალისწინებს ნატურით გასაყოფი ქონების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების აკრძალვას ან დაუშვებლად გამოცხადებას.

10.2. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგოდ მივიდა დასკვნამდე, რომ რადგან გამიჯვნის შემთხვევაში გამოყოფილ ნაწილს არ ექნება სამზარეულო, ამის გამო საზიარო საგნის გაყოფა შეუძლებელია. კასატორის მითითებით, ამ მხრივ, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გამოყოფილ ფართებს, გააჩნია ყველა შესაძლებლობა და ამ ფართებში, არსებობს ყველა კომუნიკაცია სამზარეულოს მოსაწყობად. კასატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქონების ნატურით გაყოფისას, არ არის სავალდებულო, რომ ყველა გაყოფილი ფართი იყოს ერთმანეთის იდენტური (ანუ, ორივე ფართს ჰქონდეს იგივე რაოდენობის საძინებელი, კაბინეტი, ავტოფარეხი და სხვა). კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ გაყოფილ ფართებს გააჩნდეს ფუნქციური დანიშნულება. ექსპერტიზის დასკვნებით კი, ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი, რომ საცხოვრებელი სახლის გაყოფა მისი სამეურნეო დანიშნულების შემცირების გარეშე სრულად შესაძლებელია. კასატორის მითითებით, საქმის მასალებში არ არსებობს სხვა საპირისპირო მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა კვალიფიკაციური ექსპერტის ზემოთ ხსენებულ დასკვნას.

10.3. კასატორის მითითებით, სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ ვერანდას ოთხივე მხრიდან არ გააჩნია მყარი კედლები, არ შეესაბამება რეალობასა და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს. კასატორის მითითებით, ვერანდას გააჩნია ორი მხრიდან მყარად ნაშენები კედლები. ამასთან, კასატორი მიუთითებს სსსკ-ის 162-ე მუხლზე (თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია) და განმარტავს, რომ საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის შესახებ საჭიროა საინჟინრო სამშენებლო მიმართულების ცოდნა, რომელიც მოსამართლეს არ გააჩნია. აღნიშნული ცოდნის მატარებელ სუბიექტს სამშენებლო დარგის სპეციალისტი – ექსპერტი წარმოადგენს, რომელიც საექსპერტო დასკვნის გამოტანისას ეყრდნობა სპეციალურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს. საცხოვრებელი სახლის (კერძო სახლის ან/და ბინის) გაყოფის შესაძლო მეთოდები შემუშავებულია სპეციალიზირებული ინსტიტუტების მიერ, როგორც სამშენებლო, ასევე, იურიდიული დარგის სპეციალისტების მიერ. ე. წ. „დამყვანი კოეფი-

ციენტი“ წარმოადგენს არა ცალკე აღებული ექსპერტის მოგონილ ტერმინს, არამედ ზემოთ ხსენებული სპეციალისტების მიერ შემუშავებულ კოეფიციენტს, რომლის გამოყენების გარეშე შეუძლებელი ხდება ნებისმიერი ფორმის, პარამეტრის და სიმაღლის საცხოვრებელი სახლის ნატურით გაყოფა. კასატორის მითითებით, ამოსავალი წერტილი საცხოვრებელი სახლის ნატურით გაყოფისათვის არის ის, რომ მხარეებმა მიიღონ ერთგვაროვანი ნაწილები და არა იდენტური ნაწილები. ზუსტად სახლის გაყოფისას ერთგვაროვანი ნაწილების (რა თქმა უნდა მათი ფუნქციური დანიშნულების მოსაპოვების გარეშე) მიღების მიზნით შემუშავებული და შემოღებული იქნა „დამყვანი კოეფიციენტის“ ცნება. იმ გარემოებაზე, რომ მხარეები არ და ვერ მიიღებენ სახლის დაყოფისას იდენტურ ნაწილებს, მიუთითებს სსკ-ის 963-ე მუხლის ბოლო წინადადება: „თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით“. კასატორის მოსაზრებით, კანონმდებელმა პირდაპირ მიუთითა, რომ თუ მხარეთა შორის არ ხდება შეთანხმება გაყოფილი სახლის თუ რომელი ნაწილი ვის უნდა მიეკუთვნოს, პრიორიტეტი ენიჭება არა რომელიმე მხარის სურვილს, არამედ კენჭისყრის შედეგებს, რომელიც მხარეებისათვის სავალდებულოა. ექსპერტის მიერ დადგენილი იქნა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი ნამდვილად შეიძლება დაიყოს ორ თანაბარ ნაწილად მათი ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე. ამავე დროს, ლ. ჩ-ძმ თ. გ-იას შესთავაზა ფართის არჩევა, რაზედაც უარი მიიღო. შესაბამისად, ვინაიდან, მხარეთა შორის ვერ მოხდა შეთანხმება თუ ვინ რომელი ფართის ინდივიდუალური მესაკუთრე გახდებოდა, სასამართლოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა უარი კი არ ეთქვა ლ. ჩ-ძის დასაბუთებული შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, არამედ უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 963-ე მუხლით და კენჭისყრით გაენაწილებინა სახლის ფართები მხარეთა შორის. ამავე მოტივით, კასატორი სადავო ქონების ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობის მოტივად, უარყოფს სააპელაციო პალატის შეფასებასაც მასზედ, რომ ნატურით გაყოფის შემთხვევაში, მხარეები გაყოფისას იღებენ სხვადასხვა ხარისხის ნაგებობას.

10.4. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ ლ. ჩ-ძმ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების საპირისპირო მტკიცებულება (გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა და 2022 წლის 07 მარტის №001356722 ექსპერტიზის დასკვნისა, რომელიც იგივე შინაარსის მატარებელია), რაც სასამართლოს სხაგვარი მსჯელობის შესაძლებლობას მისცემდა, ვერ წარმოადგინა. კასატორის მოსაზრებით, საგულისხმო იყო, რომ თ. გ-იამ წარადგინა 2022 წლის 07 მარტის №001356622 ექსპერტის დასკვნა, რომლითაც დადგენილ იქნა საცხოვრებელი სახლის გაყოფის შესაძლებლობა. ლ. ჩ-

ქმ წარადგინა 2022 წლის 07 მარტის ექსპერტიზის №001356822 დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნა საცხოვრებელი სახლის გამიჯვნის შესაძლებლობა. სხვაობაა აღნიშნული დასკვნების ნუმერაციაში (001 356 622 და 001 356 822). ამის გარდა, ლ. ჩ-ქმ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა 06.04.2023 წლის ექსპერტიზის დასკვნა №002324123, რომლითაც დადასტურებულ იქნა საცხოვრებელი სახლის გამიჯვნის ფაქტი ექსპერტიზის დასკვნის „ა“ ვარიანტის შესაბამისად. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ არ მიიღო აღნიშნული დასკვნა. შესაბამისად სრულად გაუგებარია თუ რომელი ექსპერტიზა იგულისხმა სააპელაციო სასამართლომ მაშინ, როცა საქმეში არსებული ორივე ექსპერტიზა ადასტურებს სახლის გამიჯვნის შესაძლებლობას და ამის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ არსებობს.

10.5. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას მასზედ, რომ სახლის გამიჯვნის შემთხვევაში, უძრავი ქონების ნაწილზე გავრცელდება ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება (უძრავი ნივთის განსაზღვრულ ნაწილებზე საერთო საკუთრების რეჟიმი რჩება), რაც თანასაკუთრებაზე საზიარო უფლების გაუქმების არსს და შესაბამისად, სსკ-ის 963-ე მუხლის მიზანს ეწინააღმდეგება. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო არ უთითებს არც მტკიცებულებაზე და არც საცხოვრებელი სახლის იმ ნაწილებზე, რომლებიც საერთო საკუთრებაში რჩება; ამასთან, საქმეში არსებული ორივე ექსპერტიზის დასკვნით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი, რომ საცხოვრებელი სახლის გამიჯვნა ისე, რომ მხარეებს არ დარჩეთ საერთო საკუთრებაში რაიმე ფართი, სრულად შესაძლებელია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 27 თებერვლის განჩინებით, ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე სასამართლოს 2024 წლის 29 აპრილის განჩინებით, ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო პალატამ შეინაწვლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

14. განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავ ქონებებზე (მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1000 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1 და მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შენობა №2, მშენებარე შენობა №3, საკადასტრო კოდი: ...) საზიარო უფლების გაუქმებას ძირითადი სარჩელით მოსარჩელე (თ. გ-ია) ითხოვდა საზიარო საგნების რეალიზაციის გზით, ხოლო, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე (ლ. ჩ-ძე) – საზიარო საგნების ნატურით გაყოფის გზით.

15. დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა ძირითადი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა და დადგინდა საზიარო უფლების გაუქმება სადავო ქონებების აუქციონზე რეალიზაციისა და ამონაგები თანხის მოდავე მხარეთა შორის არსებული წილების შესაბამისად განაწილების გზით. ძირითადი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნის უარსაყოფად, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ სადავო უძრავ ქონებებზე თანამესაკუთრეთა იდეალური წილების შესაბამისი რეალური წილების გამოყოფა, მოდავე მხარეთა კუთვნილი წილის შესაბამისი ნივთის ფუნქციური დანიშნულებისა და ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძ-

ლებელი იყო, რაც სრულად გაიზიარა სააპელაციო პალატამ. აღნიშნული მოტივაციის საპირისპიროდ, კასაციო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (ექსპერტიზის დასკვნები) ადასტურებდა თანამესაკუთრეთა იდეალური წილების შესაბამისი რეალური წილების გამოყოფას მოდავე მხარეთა კუთვნილი წილის შესაბამისი ნივთის ფუნქციური დანიშნულებისა და ღირებულების შემცირების გარეშე, რაც სადავო უძრავ ქონებებზე, ნატურით გაყოფის გზით, საზიარო უფლების გაუქმების წინაპირობას და საზიარო საგნების რეალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა.

16. ამდენად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატამ უნდა იმსჯელოს, შესაძლებელია თუ არა მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნების ნატურით გაყოფის გზით.

17. სადავო საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს საერთო საკუთრების ორ ფორმას: საზიარო და წილადი საკუთრება (სსკ-ის 173-ე მუხლი). წილადი საკუთრების თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში; თანაზიარი საკუთრება არსებობს მაშინ, როცა თითოეული თანამესაკუთრის წილი საერთო ქონებაში არის იდეალური წილის სახით და თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ივარაუდება, რომ თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის თანაბარი წილი (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 2, თბილისი 2018, გვ. 88).

18. საზიარო უფლება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას განეკუთვნება. სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მონილევს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.

19. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო უძრავ ნივთებზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1000 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 და მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ...; საკადასტრო კოდი ...; დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა №1; შენობა №2; მშენებარე შენობა №3) რეგისტრირებულია მოსარჩელე (შეგებებული სარჩელით მოპასუხე) თ. გ-ისა და მოპასუხე (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) ლ. ჩ-ძეს თანასაკუთრების უფლება. მითითებულ უძრავ ნივთებზე, წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად: თ. გ-ია – $\frac{1}{2}$ ნაწილი,

ლ. ჩ-დგ – $\frac{1}{2}$ ნაწილი. ამდენად, მოდავე მხარეები არიან სადავო უძრავი ქონებების თანამესაკუთრეები, რომლებიც წარმოადგენენ საზიარო უფლების ობიექტებს და მხარეები ერთმანეთთან კანონისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, გამოყენებულ უნდა იქნეს საზიარო უფლებების თავის წესები (სსკ-ის 953-ე-968-ე მუხლები), რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად დადგენილია, რომ თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება საზიარო უფლებების თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

20. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

21. სამოქალაქო კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას: საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის რეალიზაციის გზით (964-ე მუხლი). კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. ამავე კოდექსის 964-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ადგენს, რომ თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეებს შორის.

22. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოი-აზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფ-მა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა (მრავალთა შორის იხ. სუსგ.-ები საქმეებზე: №ას-67-65-2014, 31.07.2014წ; №ას-1653-1550-2012, 15.04.2013წ; №ას-1089-1020-2012, 08.10.2012წ; №ას-932-875-2012, 17.09.2012წ; №ას-1665-1562-2012, 04.02.2013წ.)

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თანასაკუთრების რეჟიმში არსებული ნივთის მესაკუთრე, ერთპიროვნულ მესაკუთრესთან შედარებით, ნივთის ფლობის, სარგებლობისა თუ განკარგვის უფლებით სარგებლობისას, ყოველთვის შეზღუდულია სხვა თანამესაკუთრის ნებითა და ინტერესებით, შესაბამისად, იგი ვერ ახორციელებს ნივთზე იმ მასშტაბის ფაქტობრივ თუ სამართლებრივ ბატონობას, როგორც მესაკუთრების ბუნებითი შინაარსიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ, თითოეულ თანამესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების გზით მიაღწიოს თანამესაკუთრის სამართლებრივი ბოჭვიდან გასვლას. გასათვალისწინებელია, რომ თანამესაკუთრის პირად კავშირის ნივთთან კანონმდებელი იმგვარ ანგარიშგასაწევ ფაქტორად განიხილავს, რომელიც საზიარო უფლების გაუქმების მექანიზმებს შორის გარკვეულ იურარქიულ მიმართებას აწესებს, კერძოდ, პირველ რიგში, მონმდება ნივთის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა, ხოლო თუ აღნიშნული ვერ მიიღწევა ღირებულების შეუმცირებლად, მხოლოდ ამის შემდეგ დგება დღის წესრიგში საზიარო საგნის გაყიდვისა და ამონაგების გაყოფის შესაძლებლობა (იხ. სუსგ. №ას-1148-1094-2014 19.03.2015წ).

24. ამდენად, საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება – შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით (იხ. სუსგ საქმეზე №ას-1148-1094-2014, 19.03.2015წ.). საზიარო უფლების გაუქმება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობო უფლებას და აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას. ანუ, კანონმდებელი საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობას ქონების რეალიზაციის გზით იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ქონების ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

25. აქვე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პრო-

ცესში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების პრინციპი არსებობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, საპროცესო ნორმა განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ სრულ და ობიექტურ განხილვას, შედეგად, სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა.

26. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს ითვალისწინებს (მაგ. შრომითსამართლებრივი დავები) მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი წესი მოქმედებს, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ ის გარემოებები უნდა დაამტკიცოს, რომლებზეც იგი თავის მოთხოვნას ამყარებს. არ შეიძლება მხარეს ისეთი გარემოების მტკიცების ტვირთი დაეკისროს, რომლის ზიდვაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელია.

27. განსახილველ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის თანაბრად გადანაწილების საფუძველზე, ვინაიდან ძირითადი სარჩელით მოსარჩელე (თ. გ-ია) საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შეუძლებლობის თაობაზე მიუთითებდა, სწორედ მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ საზიარო საგნების ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელი იყო; ხოლო, რამდენადაც მოპასუხემ (ლ. ჩ-ქემ) თავის დაცვის საპროცესო საშუალებად – შესაგებელთან ერთად (რომლითაც სარჩელი არ ცნო), შეგებებული სარჩელიც გამოიყენა, რომლითაც საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით მოითხოვა, მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოება გახდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოების – სადავო უძრავი ქონებების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის არსებობის დადასტურება.

28. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ ძირითადი

სარჩელით მოსარჩელემ ვერ განახორციელა მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, ხოლო, შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ კუთვნილ მტკიცების ტვირთს წარმატებით გაართვა თავი და საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე, საკასაციო პალატა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისაგან განსხვავებით მიიჩნევს, რომ სადავო უძრავ ქონებების ნატურით გაყოფის ფაქტობრივ-სამართლებრივი შესაძლებლობა გამოირიცხული არ იყო, კერძოდ:

28.1. მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მიმართებით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356622 დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა უძრავი ქონების: საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., დაზუსტებული ფართობი 1000 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, საკადასტრო კოდი ... გაყოფა (დაყოფა) თანამესაკუთრეთა შორის ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე; ხოლო, 2022 წლის 07 მარტის №001356722 დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა გაიყოს თანაბარ ნაწილებად, გაუქმდეს საზიარო უფლება (1/2 და 1/2 ნაწილებად) უძრავი ქონება მდებარე მცხეთის რ-ნი, საგურამო, ს.კ. ... სამეურნეო (ფუნქციური) ღირებულების შემცირების გარეშე; რა რეკონსტრუქცია და გადაკეთებებია ამისთვის საჭირო.

– სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №001356622 და №001356722 ექსპერტიზის დასკვნებით დადგინდა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა თანამესაკუთრეთა შორის მათ სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული წილების შესაბამისად იზოლირებულად, დანიშნულებრივი ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან საზაფხულო ფართის და ასევე აუზის მდებარეობა არ იძლევა აღნიშნული უძრავი ქონების ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე ერთგვაროვან ნაწილად გამიჯვნის შესაძლებლობას. თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია გაიყოს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (განხილული როგორც გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთი). აღნიშნულის გათვალისწინებით, მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაყოფა შესაძლებელია ისე, როგორც ეს დანართ №3-ზეა აღნიშნული. რა შემთხვევაშიც, პირველი 1/2 წილის მფლობელს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს და-

ნართ №3-ზე ყვითელი ფერით აღნიშნული 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება მისი 1/2 წილის შესაბამის 500 კვ.მ. ფართს. ხოლო მეორე 1/2 წილის მფლობელს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №3-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი რაც შეესაბამება 1/2 წილის შესაბამის 500 კვ.მ. ფართს.

28.2. მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მიმართებით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356522 დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა უძრავი ქონების საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., დაზუსტებული ფართობი 1500 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი შენობა №1, შენობა №2, მშენებარე შენობა №3, საკადასტრო კოდი ... გაყოფა (დაყოფა) თანამესაკუთრეთა შორის ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე; ხოლო, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356822 დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა გაიყოს თანაბარ ნაწილებად, გაუქმდეს საზიარო უფლება (1/2 და 1/2 ნაწილებად) უძრავი ქონება მდებარე მცხეთის რ-ნი, საგურამო, ს.კ. ... სამეურნეო (ფუნქციური) ღირებულების შემცირების გარეშე; რა რეკონსტრუქცია და გადაკეთებებია ამისთვის საჭირო.

– სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №001356522 და №001356822 დასკვნებით დადგინდა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა თანამესაკუთრეთა შორის მათ სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული წილების შესაბამისად იზოლირებულად, დანიშნულებრივი ღირებულების შემცირების გარეშე შესაძლებელია ორ ვარიანტად. ორივე ვარიანტით გაყოფის შემთხვევაში:

პირველი 1/2 წილის მფლობელს 513.68 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №5-ზე და №6-ზე ყვითელი ფერით აღნიშნული 256.84 კვ.მ. ფართი, ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №7-ზე და №8-ზე ყვითელი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ. ფართი;

მეორე 1/2 წილის მფლობელს კი 513.68 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №5-ზე და №6-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 256.84 კვ.მ. ფართი. ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაძლებელია გამოეყოს დანართ №7-ზე და №8-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ. ფართი,

რაც შეესაბამება 1/2 წილის შესაბამის 563 კვ.მ. ფართს.

ამავე ექსპერტიზის დასკვნების კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული ვარიანტებით გაყოფის შემთხვევაში საჭირო იქნება მოენწყოს და ამოშენდეს დანართ №5-ზე და დანართ №6-ზე წითელი ფერით აღნიშნული ტიხარი, კარისა და ფანჯრის ლიობები. პირველი ვარიანტით გაყოფის შემთხვევაში საჭირო იქნება კიბის უჯრედში პირველ და მეორე სართულებს შორის დამაკავშირებელი სივრცის იზოლირება ერთმანეთისაგან. ასევე, გამოყოფილ ნაწილში არარსებობის შემთხვევაში უნდა მოენწყოს სამზარეულო.

29. ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი, მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის უმთავრესი ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით, არ დასტურდებოდა მოდავე მხარეების თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობა ნატურით გაყოფის გზით, რამეთუ, მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მიმართებით, საქმეში წარმოდგენილი №001356622 და №001356722 ექსპერტიზის დასკვნები არ გამორიცხავს და ტექნიკური თვალსაზრისით უშვებს შესაძლებლობას, რომ გაიყოს სადავო მიწის ნაკვეთი; ხოლო, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მიმართებით, №001356522 და №001356822 დასკვნები პირდაპირ ადგენს, რომ გარკვეული მოდიფიცირების გათვალისწინებით, სადავო უძრავი ქონების გამიჯვნა თანამესაკუთრეთა შორის, მათ სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული წილების შესაბამისად, იზოლირებულად, დანიშნულებრივი ღირებულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია ორ ვარიანტად. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შედავებას მასზედ, რომ ქონების ნატურით გაყოფისას, არ არის სავალდებულო, რომ გაყოფილი ფართები იყოს ერთმანეთის იდენტური (მაგ., ორივე ფართს ჰქონდეს იგივე რაოდენობის საძინებელი, კაბინეტი, ავტოფარეხი და სხვა), არამედ, კანონმდებლის მოთხოვნაა, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, ქონების ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფა, რისი შესაძლებლობაც, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, ერთმნიშვნელოვნად არსებობს.

30. პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც საპროცესო კანონმდებლობა უპირატესობას საზიარო საგნების ნატურით გამიჯვნას ანიჭებს, ამასთან, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საზიარო საგნების ნატურით გამიჯვნის შესაძლებლობა, თუნდაც გარკვეული მოდიფიცირების გათვალისწინებით შესაძლებელია, არ არსე-

ბოზს აუქციონზე რეალიზაციის გზით, საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე წარმოდგენილი ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები (ანალოგიურ განმარტებას შეიცავს სუსგ საქმეზე ას-125-2022; 13/10/2022 წ.). შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

31. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზეც, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელე უძრავ ქონებაზე, მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., ს/კ: ..., საზიარო უფლების გაუქმებას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356722 საექსპერტო დასკვნის თანახმად ითხოვდა; კერძოდ, ლ. ჩ-ძის მოთხოვნას წარმოადგენდა, რომ მიწის ნაკვეთიდან 1000 კვ.მ-დან მიკუთვნებოდა დანართ 3-ზე ლურჯი ფერით მონიშნული 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობი; ხოლო, უძრავ ქონებაზე, მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., ს/კ:..., საზიარო უფლების გაუქმებას ლ. ჩ-ძე ითხოვდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356822 საექსპერტო დასკვნის 1-ლი ვარიანტის მიხედვით, კერძოდ, შენობა-ნაგებობიდან 513.68 კვ.მ-დან მიკუთვნებოდა დანართ 5-ზე და 6-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 256.84 კვ.მ ფართი, ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან მიკუთვნებოდა დანართ 7-ზე და 8-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართი. აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ შესაგებელში შედავება დააფუძნა მხოლოდ სადავო ქონებების ნატურით გამიჯვნის წინაპირობების არარსებობაზე და შედავება არ წარმოუდგენია იმ გარემოებასთან მიმართებით, თუ რომელი ვარიანტების მიხედვით უნდა გამოიჯნულიყო სადავო ქონებები სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სადავო უძრავი ქონებების ნატურით გამიჯვნის შესაძლებლობა, ხოლო, შეგებებული სარჩელის მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია ქონებების ნატურით გაყოფის შემთხვევაში შეგებებული სარჩელის მოსარჩელის მიერ მითითებული ვარიანტები, საკასაციო პალატა სასარჩელო მოთხოვნას აკმაყოფილებს შეგებებული სარჩელის მოსარჩელის მიერ მითითებული ვარიანტების მიხედვით.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათ-

ვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება საქმეზე.

34. კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება თ. გ-იას ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ლ. ჩ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

35. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინების (რომლითაც აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა) გაუქმების თაობაზე, პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადანყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა, თუმცა, ამ მხრივ, პალატა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საკასაციო საჩივარში არ არის გადმოცემული დასაბუთებული შედავება საოქმო განჩინებასთან მიმართებით და განჩინების გაუქმება მხოლოდ ფორმალურადაა მოთხოვნილი, რის გამოც, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს გასაჩივრებული განჩინებების მართლზომიერება. ამასთან, წინამდებარე გადანყვეტილებაში მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, საოქმო განჩინების მართლზომიერების გამორკვევას სადავო საკითხის გადანყვეტისათვის, არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვე-

ტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

36.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა; ამავე მუხლის ამავე ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა; ამავე მუხლის ამავე ნაწილის „გ“ ქ/პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა. ამავე კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქ/პუნქტის შესაბამისად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4 000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა. ამდენად, განსახილველი დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს 4000 ლარით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს. გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველი დავის საგნის ღირებულება 4000 ლარია, ამავე კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის მხედველობაში მიღებით (თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება) თითოეული მოთხოვნისთვის ცალ-ცალკე, შეადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში 60-60 (ჯამში 120) ლარს, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 80-80 (ჯამში 160) ლარს და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 150-150 (ჯამში 300) ლარს.

36.2. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ლ. ჩ-ძის (მოპასუხის, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის, კასატორის) მიერ, სახელმწიფო ბაჟის სახით შეგებებული სარჩელის განხილვის მიზნით გადახდილია 120 ლარი, სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით – 160 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივრის განხილვის მიზნით – მხოლოდ 150 ლარი. შესაბამისად, ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გამო, თ. გ-იას (ძირითადი სარჩელით მოსარჩელეს, შეგებებული სარჩელით მოპასუხეს, მონინალმდევე მხარეს) ლ. ჩ-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ, სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟების (120+160+150) ანაზღაურება; ამასთან, თ. გ-იას სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრის განხილვის მიზნით, სახელმწიფო ბაჟის სახით დამატებით გადასახდელი 150 ლარის ანაზღაურება, თუმცა, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ თ. გ-იას სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაბრუნებოდა სარჩელზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 120 ლარის ოდენობით და შესაბამისად, საბოლოო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თ. გ-იას მხოლოდ 30 ლარის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. გ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ლ. ჩ-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;
- 4.1. გაუქმდეს ლ. ჩ-ძესა და თ. გ-იას შორის საზიარო უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., ს/კ: ..., სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356722 საექსპერტო დასკვნის მიხედვით და ლ. ჩ-ძეს მიეკუთვნოს აღნიშნული უძრავი ქონების ლურჯ ფერად მონიშნული ნაწილი კერძოდ, მიწის ნაკვეთიდან 1000 კვ.მ-დან მიეკუთვნოს დანართ 3-ზე ლურჯი ფერით მონიშნული 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობი;
- 4.2. გაუქმდეს ლ. ჩ-ძესა და თ. გ-იას შორის საზიარო უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი ..., ნაკვეთი ..., ს/კ:..., სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 07 მარტის №001356822 საექსპერტო დასკვნის მიხედვით და ლ. ჩ-ძეს მიეკუთვნოს აღნიშნული უძრავი ქონების ლურჯ ფერად მონიშნული ნაწილი, კერძოდ, შენობა-ნაგებობიდან 513.68 კვ.მ-დან მიეკუთვნოს დანართ 5-ზე და 6-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 256.84 კვ.მ ფართი, ხოლო განაშენიანებისაგან თავისუფალი 1126 კვ.მ მიწის

ნაკვეთიდან მიეკუთვნოს დანართ 7-ზე და 8-ზე ლურჯი ფერით აღნიშნული 563 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართი;

5. ლ. ჩ-ძის საკასაციო მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;

6. თ. გ-იას (პ/ნ ...) ლ. ჩ-ძის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს ლ. ჩ-ძის მიერ, სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 430 (120+160+150) ლარის ანაზღაურება;

7. თ. გ-იას (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 30 ლარის ანაზღაურება;

8. საკასაციო სასამართლოს გადანყევტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე

გადანყვებითება საქართველოს სახელით

№ას-529-2019

27 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. წ-ძემ (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე“ ან „პირველი კასატორი“) და ე. კ-ვამ (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“ ან „მეორე კასატორი“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში პ. პ-ნის (შემდგომში – „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვეს მისთვის 3500 აშშ დოლარისა და 6485 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელები მათ მშობლებთან, მ. მ-ძესთან და ზ. წ-ძესთან ერთად ცხოვრობდნენ მშობლების საკუთრებაში არსებულ ბინაში ქალაქ ოზურგეთში, ... ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი სახლის პირველ

სართულზე. 1994 წელს მ. მ-ძემ გაყიდა მის საკუთრებაში არსებული ბინა და მოპასუხისგან შეიძინა ბინა იმავე სახლში, მეორე სართულზე. ნასყიდობასთან დაკავშირებით დაიდო სიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმად, ნასყიდობის საფასური განისაზღვრა 2500 აშშ დოლარით, რომელიც მოპასუხეს გადაეცა. მოპასუხემ დამატებით 1000 აშშ დოლარი მოითხოვა, რაც, ასევე გადაეცა, თუმცა ვინაიდან მოპასუხე რუსეთის ფედერაციაში იმყოფებოდა, ბინის გადაფორმება ვერ მოხერხდა;

2.2. მოსარჩელეთა მშობლები აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდნენ და იქვე გარდაიცვალნენ;

2.3. მოპასუხემ ბინა საჯარო რეესტრში მის საკუთრებად დაირეგისტრირა და სარჩელის აღძვრამდე რამდენიმე დღით ადრე მოსარჩელებს დაუკავშირდა და დამატებით 30 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა, რის შემდეგაც ბინას მათ სახელზე გააფორმებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სხვა პირს მიყიდდა;

2.4. მოსარჩელეთა მშობლების მიერ შეძენილი ბინა იყო მთლიანად სარემონტო, შესაბამისად, მ. მ-ძემ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მასზე საკუთრების უფლება შეძენილი ჰქონდა მუდმივად, ბინაში სხვადასხვა სამუშაოები განახორციელა. კერძოდ, გაარემონტა ბინის კედლები, გააკრა შპალერი, დაამონტაჟა კანალიზაცია, მოაწყო და დაამონტაჟა სანიტარული კვანძებისთვის საჭირო მოწყობილობები, მთლიანად გამოცვალა ელექტრო გაყვანილობა, დააგო მეტლახი, შეიყვანა გაზი, შეიძინა და დაამონტაჟა გაზის გამათბობელი, ასევე, წყლის გამაცხელებელი, აივნის იატაკზე დააგო ბეტონის საფარი და განახორციელა სხვა აუცილებელი სამუშაოები. აღნიშნულმა სამუშაოებმა 6485 ლარით გაზარდა უძრავი ქონების ღირებულება.

3. მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია, რის გამოც ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2017 წლის 23 მარტს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა 3500 აშშ დოლარისა და 6485 ლარის გადახდა.

4. მოპასუხემ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარადგინა საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

5. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 ნოემბრის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და მოპასუხეს მიეცა შესაგებლის წარდგენისთვის 10 დღიანი ვადა.

6. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

7. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. მოსარჩელებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და მოპასუხისათვის 6485 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

10.1. უძრავი ქონება, მდებარე ქ. ოზურგეთი, ..., საჯარო რეესტრის მონაცემებით, საკუთრების უფლებით ირიცხება მოპასუხის სახელზე (შემდგომში – „სადავო ბინა“ ან „სადავო ქონება“);

10.2. შპს „ა-ი“-ის მიერ შედგენილ იქნა საშემფასებლო ანგარიში საცხოვრებელი ბინის მშენებლობის ღირებულების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, მოპასუხის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ძველი გარემონტებულია, კერძოდ: 1. დამუშავებულია კედლები და აკრულია კედელზე შპალერი 2008 წელს. რადგან კედლების მოპირკეთება დაზიანებულია, ალაგ-ალაგ მიეცა ცვეთა 25%; 2. დანარჩენი შიდა მოპირკეთება მოწყობილია 1998 წელს. მოპირკეთება მოძველებულია და მიეცა ცვეთა 60%. დანარჩენი სამუშაოები მოწყობილია ბოლო 2 წლის განმავლობაში. საბოლოოდ, დასკვნის მიხედვით, საცხოვრებელი ბინის კაპიტალური შეკეთებისთვის განეული ხარჯი შეადგენს 6485 ლარს.

11. სააპელაციო პალატამ ზემოთ მითითებული დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ბინაზე გარკვეულ წლებში ჩატარებულია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომელთა ღირებულება 6485 ლარით განისაზღვრა.

12. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება, რომ 1994 წელს მოპასუხესა და მოსარჩელეთა მამკვიდრებლებს შორის შედგა ფორმალური ცვლადი გარიგება სადავო ბინის ნასყიდობის შესახებ, ასევე, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის 3500 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი.

13. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 987-ე მუხლებით, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელებს არ წარუდგენიათ გაუმჯობესებული ქონების

მიღების საფუძველზე მოპასუხის გამდიდრების დამადასტურებელი მტკიცებულება.

14. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ სარემონტო სამუშაოების განევა მოპასუხის ქონებაზე სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საკმარის პირობას არ წარმოადგენს. იმისათვის, რომ სარჩელი საფუძვლიანად იქნეს მიჩნეული, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს მოპასუხის გამდიდრების ფაქტი. ამასთან, გამდიდრების არსებობა იმ მომენტისთვის განისაზღვრება, როცა მოვალეს თავისი ნივთი უბრუნდება.

15. სააპელაციო პალატის მითითებით, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ სარემონტო ხარჯები განეულია 10-20 წელზე მეტი ხნის წინ, სასამართლოსთვის ბუნდოვანი და სრულიად გაურკვეველი დარჩა საკითხი იმის შესახებ, ნივთის დაბრუნების მომენტისათვის არის თუ არა სახეზე მოპასუხის გამდიდრების ფაქტი.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელებმა წარადგინეს საკასაციო საჩივარი. კასატორებმა განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

17. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

17.1. სადავო ბინაში მ. მ-ქმ განახორციელა დაახლოებით 15 000 ლარის რემონტი. მან ბოლო სარემონტო სამუშაოები ჩაატარა 2016 წელს. საშემფასებლო დასკვნის მიხედვით, შესრულდა 6485 ლარის სამუშაოები;

17.2. სამუშაოების განხორციელება დადასტურეს მოწმეებმა. კერძოდ, დ. ბ-ქმ, ვინც უშუალოდ ჩაატარა სამუშაოები, დეტალურად აღწერა რა გააკეთა; ასევე, ლ. გ-ქმ და მ. დ-ქმ. გარდა ამისა, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით წარადგინა საშემფასებლო დასკვნა, სადაც დეტალურად არის მოცემული შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

17.3. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ 1994 წელს მოსარჩელეთა მამკვიდრებლებსა და მოპასუხეს შორის შედგა ფორმალური გარიგება. ამ გარემოებაზე მსჯელობისას სასამართლომ არ გაითვალისწინა მოწმე მ. დ-ძის ჩვენება, რომელმაც განმარტა, რომ მოსარჩელეთა მამამ, რუსეთში მოპასუხეს თანხა მისი თანდასწრებით გადასცა. ამასთან, თანხის გადაცემის დროს შედგა საუბარი, რომლის თანახმად, მოპასუხეს ბინა მოსარჩელეთა მამისთვის უნდა გადაეფორმებინა;

17.4. საქმის გარემოებებიდან დგინდება, რომ მოსარჩელების ოჯახი ცხოვრობდა სადავო ბინაში 1994 წლიდან, ისინი რეგისტრირებულები იყვნენ კომუნალური (დენის, წყალის და გაზის) მომსახურების აბონენ-

ტებად. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად გაურკვეველია მოპასუხის პოზიცია, რომელიც ვერ განმარტავს თუ რა საფუძვლით ცხოვრობდა/სარგებლობდა მოსარჩელეთა ოჯახი საცხოვრებელი ბინით;

17.5. მოსარჩელეთა ოჯახი დარწმუნებული იყო, რომ სადავო ბინაზე საკუთრების უფლება შეძენილი ჰქონდათ. ამასთან, დადასტურდა, რომ მოპასუხე ბინით მოსარჩელეთა მშობლების გარდაცვალების შემდგომ დაინტერესდა და ის საკუთრებაში აღირიცხა;

17.6. ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებენ სადავო ბინაზე ფორმალური გარიგების არსებობის ფაქტს;

17.7. კასატორი მისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლს.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

20. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სადავო ქონებაზე განეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის მართლზომიერება.

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ საქმე №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი

პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი, §187).

24. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ საქმე №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი; №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი).

21. განსახილველ შემთხვევაში სადავო ქონებაზე გაწეული სარემონტო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის შესაძლო სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი [არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება] და 987-ე მუხლის პირველი ნაწილი [პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა].

22. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ფარგლებში სარჩელის წარმატებას განაპირობებს შემდეგი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა:

- არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა ქონებაზე უნდა გასწიოს ხარჯები (შეგნებულად ან შეცდომით);

- ქონების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების მომენტში კვლავ უნდა არსებობდეს გაუმჯობესებანი;

- ამ გაუმჯობესების შედეგად ქონების მიმღები უნდა გამდიდრდეს.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება სუბიექტურ კრიტერიუმებზე მიუთითებს, რაც განისაზღვრება პირის დამოკიდებულებით ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლების მიმართ, განსხვავებით მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობისაგან, რომლებიც ობიექტურად არ-

სებულ ფაქტორებზე მიგვიითებს და მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში ვლინდება (იხ. სუსგ საქმე №ას-524-493-2012, 04 ოქტომბერი, 2012 წელი).

24. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლის მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ანუ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს. ამასთან, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადგინონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად იმავე მხარისთვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი მოჰყვება.

25. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავ ქონებაზე ხარჯების გაწევის, აგრეთვე, მისი ოდენობისა და აღნიშნულით მოპასუხის გამდიდრების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა.

26. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ სადავო ქონება წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას. ამასთან, სადავო არ არის, რომ აღნიშნულ ბინას 1994 წლიდან ფლობენ მოსარჩელები (მშობლების გარდაცვალებამდე აღნიშნულ ბინაში მოსარჩელები მათთან ერთად ცხოვრობდნენ), რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მათი მფლობელობის მართლზომიერი საფუძვლის დასაბუთება. კასატორები მიუთითებენ, რომ მათ მშობლებსა და მოპასუხეს შორის 1994 წელს დაიდო ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებებით ეს გარემოება ვერ იქნა სათანადოდ დადასტურებული. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება და მოწმეთა ჩვენება არ წარმოადგენს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას, თუმცა ამ გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც, ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება ვერ იქნება მოსარჩელეთა მართლზომიერ მფლობელებად მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე და 323-ე მუხლებიდან გამომდინარე, ფორმის დაუცველად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შესაბამის სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

27. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ქონების არაკეთილსინდისიერ მფლობელებს წარმოადგენენ, ვინაიდან არ დგინდება მათი მფლობელობის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წინაპირობის არსებობა. უფრო მეტიც, ვინაიდან საქმე უძრავ ქონებას შეეხება, პირის სუბიექტური დამოკიდებულება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების თაობაზე არ შეიძლება კეთილსინდისიერად შეფასდეს, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრება რეგისტრაციულ წინაპირობას (სსკ-ის 311.1. მუხლი).

28. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებულ შპს „ა-ი“-ის მიერ შედგენილ საშემფასებლო ანგარიშზე დაყრდნობით, დადგენილად მიიჩნია სადავო ბინაზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტი, რომელთა ღირებულებამ 6485 ლარი შეადგინა. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ძველი გარემონტებულია, კერძოდ: 1. დამუშავებულია კედლები და აკრულია კედელზე შპალერი 2008 წელს, რადგან კედლების მოპირკეთება დაზიანებულია. ალაგ-ალაგ მიეცა ცვეთა 25%; 2. დანარჩენი შიდა მოპირკეთება მოწყობილია 1998 წელს. მოპირკეთება მოძველებულია და მიეცა ცვეთა 60%. დანარჩენი სამუშაოები მოწყობილია ბოლო 2 წლის განმავლობაში. საცხოვრებელი ბინის კაპიტალური შეკეთებისთვის გაწეული ხარჯი შეადგენს 6485 ლარს. ამდენად, დადასტურებულია მოპასუხის კუთვნილი სადავო ქონების გაუმჯობესების ფაქტი, ხოლო ამ გაუმჯობესებით უძრავი ქონების მიღება მიუთითებს მესაკუთრის გამდიდრებაზე.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა არაკეთილსინდისიერი/არამართლზომიერი მფლობელის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნისათვის განსაზღვრული ყველა ფაქტობრივი წინაპირობა, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შე-

საბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ; მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 6485 ლარის გადახდა.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

34. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი უძრავ ქონებაზე განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში (6485 ლარი) დაკმაყოფილდა სრულად, შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა დაეკისროს აღნიშნული მოთხოვნის მიხედვით სარჩელზე, ასევე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება ჯამში 778,2 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე წ ი ტ ა :

1. ნ. ნ-ძისა და ე. კ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ნ-ძისა და ე. კ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. პ. პ-ნს ნ. ნ-ძისა და ე. კ-ვას სასარგებლოდ დაეკისროს 6485 ლარის გადახდა;
5. პ. პ-ნს (რ/ფ პასპორტი: ...) ნ. ნ-ძისა (რ/ფ პასპორტი: ...) და ე. კ-ვას (რ/ფ პასპორტი: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 778,2 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განეული ხარჯის ანაზღაურების სახით;
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პ ი თ მ ი კ რ ა დ ი ტ ო რ ი ს გ ა ნ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს სა უ ჯ ო პ ლ ა ზ ი

გ ა ლ ა ნ ე წ ე პ ი ტ ი ლ ა ზ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ას-1367-2021

9 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

1. 2007 წლის 1 მარტს მ. ვ-ძემ (შემდგომში „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) იჯარის ხელშეკრულება დადო დ. ბ-რთან (შემდგომში „მოსარჩელე“), რომლის მიხედვით, მოპასუხე გახდა მოსარჩელის სახელზე რიცხული ორი უძრავი ქონების (შემდგომში „სა-იჯარო ქონება“) მეიჯარე.

2. მოპასუხე სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდა საიჯარო ობიექტების გვერდით არსებულ (იმ დროისთვის მოსარჩელის ფაქტობრივ

მფლობელობაში არსებულ) მიწის ნაკვეთებს.

3. 2010 წელს საიჯარო ქონების მესაკუთრე გახდა მოსარჩელის მე-უღლე, ს. თ-ი.

4. მოპასუხესა და მოსარჩელის მეუღლეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისად, გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა დუშეთის რაიონის ... მდებარე ორი უძრავი ქონება – ერთი 10 000 აშშ დოლარად, ხოლო მეორე – 7000 აშშ დოლარად. ნასყიდობის თანხა, 17 000 აშშ დოლარი მყიდველის მიერ გადახდილია.

5. 2011 წლის 18 ივლისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 10 000 აშშ დოლარი, ერთი წლით.

6. 2011 წლის 19 ივლისს მოპასუხემ მოსარჩელეს გადაურიცხა 11 694 აშშ დოლარი.

7. მოსარჩელის მოთხოვნა

7.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა 10 000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

7.2. მოსარჩელის განცხადებით, 2011 წლის ივლისში მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით გადაწყდა, რომ მოპასუხე მოსარჩელის მეუღლისგან შეიძენდა ორ უძრავ ქონებას, 36 000 აშშ დოლარად. ამ მიზნით, მოპასუხემ საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმა სს „ს. ბ-თან“ და მის სახელზე გამოიყო კრედიტი, 75 000 აშშ დოლარი, საიდანაც თანხის ნაწილი, 48 068.3 აშშ დოლარი, ბანკმა მიმართა მის წინაშე მოპასუხის ვალდებულების დასაფარად, ხოლო რეალურად, კრედიტორს ბანკისგან გადაეცა 26 931.7 აშშ დოლარი (საიდანაც 2.5%, ანუ 673.3 აშშ დოლარი იყო თანხის გატანის საკომისიო). ამდენად, მოპასუხეს ქონების შესაძენად საკმარისი თანხა არ ჰქონდა, აკლდებოდა 10 000 აშშ დოლარი. 2011 წლის 18 ივლისს მოპასუხესა და მოსარჩელის მეუღლეს შორის გაფორმდა ორი ნასყიდობის ხელშეკრულება, ორ უძრავ ქონებაზე, ხოლო ქონების გასაყიდ ფასად ხელშეკრულებაში მიეთითა შემცირებული თანხა, ნაცვლად შეთანხმებული 36 000 აშშ დოლარისა, 17 000 აშშ დოლარი. ნასყიდობის საფასურის აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, იმავე დღეს, 2011 წლის 18 ივლისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 10 000 აშშ დოლარი ერთი წლით. აღნიშნული თანხის გადახდით, მოპასუხე სრულად დაფარავდა ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ნასყიდობის თანხას. შესაბამისად, 2011 წლის 18 ივლისს სესხის ხელშეკრულება რეალურად წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის წინაშე იმ ვალის გადახდის ვალდებულების აღიარებას, რომელიც მას

წარმოეშვა მოსარჩელის მეუღლის მიმართ ნასყიდობის საფასურის სრულად გადაუხდელობის გამო.

8. მოპასუხის პოზიცია

8.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2011 წლის 18 ივლისის სესხის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებაა. მოსარჩელის მითითება, თითქოს მის მეუღლესთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებებით მოპასუხეს ევალეობდა 36 000 აშშ დოლარის გადახდა, სიმართლეს არ შეესაბამება. ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხა, 17 000 აშშ დოლარი მოპასუხეს გადახდილი აქვს ხელშეკრულებების სანოტარო წესით დადასტურებამდე (რაც ხელშეკრულებებშივეა მითითებული). ამასთან, მოპასუხემ მიუთითა მის მიერ მოსარჩელისთვის 11 694 აშშ დოლარის გადახდის მიზნობრიობაზეც და აღნიშნა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა მოპასუხის მიერ შეძენილი ორი უძრავი ქონების მიმდებარედ არსებული ქონების სალევალიზაციოდ გადასახდელ თანხას, რომლის ლევალიზების უფლება იმ დროისთვის მხოლოდ მოსარჩელეს ჰქონდა. ვინაიდან იმ დროისთვის მოსარჩელეს არ გააჩნდა მისი გადახდის შესაძლებლობა, მან შესთავაზა მოპასუხეს, ნოტარიულად გაეფორმებინათ სესხის ხელშეკრულება აღნიშნულ თანხაზე. ამასთან, დაპირდა, რომ ქონების დაკანონების შემდეგ, აუცილებლად მიჰყიდდა მას ამ ქონებას. ამდენად, მოსარჩელემ აღნიშნული თანხა წინასწარ, გარანტიის სახით გადაახდევინა მოპასუხეს, რათა მისგან მიეღო სამომავლოდ ქონების შეძენის პირობა, ხოლო თუ აღნიშნული პირობა დაირღვეოდა, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოეთხოვა თანხის დაბრუნება.

9. შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია

9.1. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ, მოითხოვა გადარიცხული თანხის, 11 694 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში – 30 635 ლარის, მოსარჩელისთვის დაკისრება.

9.2. შეგებებული სარჩელის ავტორის განცხადებით, მან მოსარჩელეს დაპირებული თანხა გადაურიცხა იმ მიზნით, რათა საიჯარო ქონების გვერდით არსებული მიწის ნაკვეთის ლევალიზება მოეხდინა და შემდეგ მიეყიდა მისთვის. ამასთან, როგორც მას მოსარჩელე დაპირდა, თანხის გადარიცხვისთანავე გაუფორმებდა ქონებას და გააუქმებდა სესხის ხელშეკრულებას, თუმცა მან არც სესხის ხელშეკრულება გააუქმა და პირიქით, სცადა მითითებული ხელშეკრულება უსაფუძვლო გამდიდრებისთვის გამოეყენებინა.

10. შეგებებული სარჩელის მოპასუხის პოზიცია

10.1. შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა მოსარჩელემ, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისთვის გადარიცხული 11 694 აშშ დოლარი მოპასუხესა და მოსარჩელის მეუღ-

ლეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა იყო.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოპასუხის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 26 662.32 ლარის გადახდა.

12. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

12.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, შეგებებული სარჩელის უარყოფისა და მის მიერ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი მოპასუხისთვის 10 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

13.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

13.3. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 56-ე, 319-ე, 477-ე მუხლებზე და დაასკვნა, რომ არსებობდა კავშირი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებასა და მოპასუხესა და მოსარჩელის მეუღლეს შორის გაფორმებულ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებს შორის. მოპასუხის მითითება, რომ მოსარჩელისთვის გადარიცხული 11 694 აშშ დოლარი წარმოადგენდა სამომავლოდ შესაძენი უძრავი ქონების ლეგალიზებისთვის საჭირო თანხას საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობდა მოსარჩელისთვის გადარიცხული თანხის უკან დაბრუნების საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 18 ივლისის სესხის ხელშეკრულება რეალურად წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ არსებული იმ ვალდებულების აღიარებას, რომელიც მას მოსარჩელის მეუღლის წინაშე გააჩნდა ორი უძრავი ქონების ნასყიდობის საფასურის სრულად გადაუხდელობის გამო, შესაბამისად, სარჩელი 10 000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულ

ლიყო.

14. მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის იმ სახით დაკმაყოფილების მოთხოვნით, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა.

14.2. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების მიღებისას უსაფუძვლოდ დაეყრდნო მოსარჩელისა და მისი მეუღლის ახსნა-განმარტებებს, რითაც ხელი შეუწყო მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრებას.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

15.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებაში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სა-

სამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

17. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

18. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, შეაფასებს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას.

19. კასატორის მოსაზრებით, სადავო საკითხის (სესხის თანხის, 10 000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება) გადაჭრისას სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად დაეყრდნო მოსარჩელისა და მისი მეუღლის ახსნა-განმარტებებს. შესაბამისად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დააკისრა მოპასუხეს 10 000 ლარი, რითაც მოსარჩელე უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

20. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანა მდგომარეობს სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირებასა და იმის დადგენაში თუ, რის საფუძველზე, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზეა დამყარებული მოთხოვნა. მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში კი, სასამართლომ უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ იურიდიულ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოძიებული ნორმა (ან ნორმები) უნდა შეიცავდეს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც დავის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებაა და იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ დადგინდეს ნორმის წინაპირობები (მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა), რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას. საბოლოოდ, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. პროცესის მონაწილე მხარე კი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნა მეორე მხარის მიმართ, ვალდებულია, სულ მცირე, მიუთითოს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა ადგენს (შეიცავს). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ საქმე №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი; საქმე №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასა-

მართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, ხელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდაცვებელ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე სარჩელით ითხოვს მოპასუხისთვის 10 000 აშშ დოლარის დაკისრებას მხარეთა შორის არსებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა განმარტავს, რომ ნამდვილი სასესხოსამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა შორის არ არსებობდა. 2011 წლის 18 ივლისის სესხის ხელშეკრულება, რეალურად, წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის წინაშე იმ ვალის გადახდის ვალდებულების აღიარებას, რომელიც მას მოსარჩელის მეუღლის მიმართ ნასყიდობის საფასურის სრულად გადაუხდელობის გამო წარმოეშვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსარჩელე მოპასუხეს სთხოვს იმ ფულადი ვალდებულების შესრულებას, რომელიც მას მოსარჩელის მეუღლის მიმართ ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში წარმოეშვა. თავის მხრივ, მოპასუხე უარყოფს მასსა და მოსარჩელის მეუღლის მიმართ რაიმე სახის დავალიანების არსებობას და აცხადებს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ღირებულება, 17 000 აშშ დოლარი მას სრულად აქვს გადახდილი.

22. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებულ პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, უპირველესად, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი სახე უნდა განისაზღვროს და ამის შემდეგ შეფასდეს მხარეთა უფლება-მოვალეობები. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მართებულ განმარტებაზეა დამოკიდებული, თუ რა მოთხოვნები და უფლებები აქვს მოსარჩელეს, რათა ამ უკანასკნელის სარჩელის საფუძვლიანობა შეფასდეს.

23. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავოა მხარეთა შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით, გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, უნდა შეფასდეს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

ბის შესაბამისობა ნასყიდობის ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სსკ-ის 477-ე მუხლი) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

24. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მინოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამრიგად, ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე – მყიდველს გააჩნია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

25. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, მოსარჩელემ (გამყიდველმა) ხელშეკრულების დადებისა და ვალდებულების არსებობის ფაქტი უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ (მყიდველმა), ვალდებულების შესრულების ფაქტი, ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც გამორიცხავს შესრულებას ან აძლევს შესრულების დაყოვნების (შესრულების გადადების) უფლებას.

26. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები სამართლებრივად ვერ ამართლებს მოთხოვნას და ვერ ადასტურებს მის მიმართ მოპასუხის ვალდებულების არსებობას, ვინაიდან ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე გადაუხდელი თანხის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ გამყიდველმა შეუძლია წაუყენოს მყიდველს, ხოლო როგორც საქმის მასალებით დგინდება, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ამ სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა. როგორც თავად მოსარჩელე ადასტურებს, ნასყიდობის ხელშეკრულება მოპასუხესთან გაფორმებული ჰქონდა მის მეუღლეს (და არა თვითონ). ამრიგად, იმ შემთხვევაშიც, კი თუ დადგინდება, რომ მოპასუხემ, როგორც ქონების შემძენმა, მოსარჩელის მეუღლეს (გამყიდველს) სრულად არ გადაუხადა ქონების ნასყიდობის თანხა, ამ თანხის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლება-მოთხოვნა პირია არა მოსარჩელე, არამედ თავად ქონების გამყიდველი (მოსარჩელის მეუღლე), ხოლო მოსარჩელე მითითებული სარჩელის ფარგლებში ვერ იდავებს მეუღლის დარღვეული უფლების აღსადგენად.

27. ამასთან, ასეც რომ არ იყოს, პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება – უძრავი ქონების ნასყიდობის თანხის მყიდველის მიერ გადაუხდელობა – არ დასტურდება.

28. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამარ-

თლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება, რაც წარდგენილი სარჩელის უსაფუძვლობაზე მეტყველებს.

29. რაც შეეხება მოპასუხის, როგორც შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნას მის მიერ მოსარჩელისთვის გადახდილი 11 694 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილშიც წარდგენილი მოთხოვნა საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებებზე მითითებით: როგორც საქმის მასალებით დგინდება და არც მხარეები ხდიან სადავოდ, მითითებული თანხა (11 694 აშშ დოლარი) მოსარჩელეს ნამდვილად მიღებული აქვს მოპასუხისგან. მოსარჩელის განცხადებით, ეს თანხა მის მეუღლესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა იყო, ხოლო შეგებებული სარჩელის ავტორი კი განმარტავს, რომ 11 694 აშშ დოლარი მან მოსარჩელეს სამომავლოდ შესაძენი უძრავი ქონების ლეგალიზებისთვის გადაურიცხა, ხოლო ვინაიდან მოსარჩელეს არ მოუხდენია ამ ქონების ლეგალიზება, მითითებული თანხის მიღებით იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

30. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნის – 11 694 აშშ დოლარის მოსარჩელისთვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და ამავე კოდექსის 979.1 მუხლი (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით).

31. შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა, ან შემდგომ შეწყდა. შესრულების უკან მოთხოვნისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა; მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შეძენა; შესრულებისათვის სა-

მართლებრივი საფუძვლის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სამართლებრივ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გამართლებლობა.

32. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ: „უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე“ ... უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას“ (მდრ. სუსგ-ები №ას-1193-1122-2015, 31.05.2016; №ას-74-71-2016, 25.05.2016; 225-215-2016, 25.05.2016, №ას-184-171-2015, 20.05.2016; №ას-390-390-2018, 15 მაისი, 2018 წელი).

33. მოცემულ შემთხვევაში 11 694 აშშ დოლარის მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის გადაცემა მხარეთა შორის სადავო არ არის, ისინი შესრულების სამართლებრივ საფუძველზე დავობენ. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულება სსკ-ის 102.1. მუხლიდან გამომდინარე შეგებებული სარჩელის ავტორის მტკიცების ტვირთია, უფრო ზუსტად კი, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს გადაცემით სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო და რომ ეს ვალდებულება, ფაქტობრივად, არ არსებობს. ვალდებულების არარსებობა კი, ნიშნავს შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას. ამასთან, მოპასუხემ (მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის მოპასუხემ) პოზიტიურად უნდა დაასაბუთოს საწინააღმდეგო, კერძოდ, რა არის შესრულების სამართლებრივი საფუძველი, მისი აზრით, რისთვის მიიღო შესრულება (იხ. სუსგ საქმე №ას-494-474-2016, 8 ივნისი, 2017 წელი).

34. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შეგებებული სარჩელის ავტორი აცხადებს, რომ მან მოსარჩელეს 11 694 აშშ დოლარი გადასცა სამომავ-

ლოდ შესაძენი უძრავი ქონების ლეგალიზებისთვის, თუმცა როგორც საქმის მასალებით დგინდება, მხარეთა შორის ამ სახის შეთანხმება არ მომხდარა და საქმეში ასევე არ მოიპოვება სადავო ქონებაზე განხორციელებული ლეგალიზაციის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შეგებებულ სარჩელზე წარდგენილ შესაგებლის შინაარსს, სადაც მოსარჩელე მოპასუხისგან მიღებული თანხის მიღების მიზნობრიობას განმარტავს. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ შეგებებული სარჩელის ავტორმა მას ფული გადასცა ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, რომელიც დადებული იყო მის მეუღლესა და მოპასუხეს შორის. ამრიგად, მოსარჩელე სადავო თანხის მიღებას კვლავ მისი მეუღლის მიერ დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას უკავშირებს. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე გადანყვეტილებით საკასაციო სასამართლომ უკვე იმსჯელა მითითებული ურთიერთობიდან გამომდინარე მოსარჩელის (შეგებებული სარჩელის მოპასუხის) როლზე და დაასკვნა, რომ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ფარგლებში მოსარჩელე საკუთარი მეუღლის ნაცვლად ვერ მოითხოვდა გადაუხდელი ნასყიდობის საფასურის ანაზღაურებას, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ 11 694 აშშ დოლარის, როგორც ნასყიდობის თანხის, მოსარჩელისთვის გადაცემის ვალდებულებაც არ არსებობდა და იგი, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული თანხა, მოსარჩელემ უკან უნდა დააბრუნოს. ამრიგად, მოპასუხის შეგებებული სარჩელი მოსარჩელისთვის 11 694 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადან-

ყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით, 412-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. დ. ბ-ს მ. ვ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 11 694 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
6. დ. ბ-ის მიერ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში გადახდილი ბაჟი დარჩეს ბიუჯეტში;
7. დ. ბ-ს (...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს 2 559.58 ლარის გადახდა;
8. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსკვისი საპარტოლაზრივი სიკაეთის ხალყოზის ჟედეგები

გადანყვეტილვა საქართველოს სახალით

№ას-21-2022

28 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქორიაშვილი,
რ. ნადარაია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზი-
ანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი: სასარჩელო მოთხოვნა

1. დ. კ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩე-
ლე“ ან „I საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლო-
ში მ. ქ-ას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“ ან
„II საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკა-
ნონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის, ქ. თბილისში, ... მდებარე, ბინა
N48-ის (ს/კ №...) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სადა-
ვო უძრავი ნივთი“), გამოთხოვა, გამოთავისუფლება და მოპასუხისთვის
სარჩელის შეტანის მომენტიდან არსებული ზიანის – 4 900 ლარის,
ასევე სარჩელის შეტანიდან, 19.08.2020 წლიდან, გადანყვეტილების აღ-
სრულებამდე – ყოველთვიურად ბინის ქირის, 700 ლარის, დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სარე- ზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.04.2021 წლის გადანყვე-
ტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხის უკანონო მფლობე-
ლობიდან გამოთხოვილი იქნა სადავო უძრავი ნივთი და თავისუფალი
გადაეცა მესაკუთრეს. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკის-
რა უძრავი ნივთით სარგებლობისათვის, ზიანის სახით – 4 900 ლარის,
ხოლო სარჩელის შეტანის დღიდან – 19.08.2020 წლიდან, სასამართლოს
გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 700 ლარის გადახ-
და.

3. გადანყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუ-
ხემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადანყვეტილებით – სარჩე-

ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.11.2021 წლის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა სადავო უძრავი ნივთი და თავისუფალი გადაეცა მოსარჩელეს. სარჩელი ზიანის ანაზღაურების სახით 4900 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. სადავო უძრავი ნივთი მოსარჩელის საკუთრებაა.

4.2. მას არამართლზომიერად ფლობს მოპასუხე.

4.3. შპს „ა.ბ.გ-ის“ აუდიტორული დასკვნით თანახმად, სადავო უძრავი ნივთის ყოველთვიური ქირის საფასური შეადგენს 700 ლარს.

4.4. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 170-ე, 172-ე მუხლებზე და განმარტა, რომ არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. მოსარჩელე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრეა, რაც შეეხება ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, რომ მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო ნივთზე მისი მფლობელობის მართლზომიერება.

4.5. სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრის პრეტენზიის გამო ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას. ვინაიდან არსებობს სსკ-ის 170-ე-172-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო უძრავი ნივთის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნა მართებულად დააკმაყოფილა.

4.6. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების სახით 4900 ლარის და გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 700 ლა-

რის დაკისრების ნაწილში მოკლებულია არგუმენტირებულ მსჯელობას.

4.7. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მოითხოვდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებას, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბინის მესაკუთრედ აღრიცხვის შემდეგ, მას საშუალება ექნებოდა, გაექირავებინა საცხოვრებელი ფართი. სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი, პალატა მიიჩნევს, რომ დავის გადანაცვების მიზნებისთვის აუცილებელია, შეფასდეს ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებული ელემენტები შესრულებულია თუ არა.

4.8. თუ მოსარჩელემ მისი კუთვნილი უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობის გამო დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, ვერ ისარგებლა ქონებით, მას უფლება აქვს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. სწორედ აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სსკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებს აუდიტის დასკვნაზე, რომლითაც შეფასებულია უძრავი ქონების ქირის თვიური ფასი, თუმცა, პალატა ითვალისწინებს ქვეყანაში შექმნილ ეპიდსიტუაციას, ამ პირობებში საკმაოდ შენელებულ სამოქალაქო ბრუნვასა და მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში უძრავი ქონების გაქირავების (მით უფრო – სარჩელით მოთხოვნილ ფასად) ალბათობა საკმაოდ დაბალია და არც ის გარემოება დგინდება უტყუარად, რომ მოსარჩელეს ქონების შეძენისას მისი გაქირავებით კომერციული მოგების მიღების მიზანი ამოძრავებდა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო საჩივრების მოთხოვნა:

5. სააპელაციო სასამართლოს გადანაცვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადანაცვეტილებით – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. გადანაცვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე მოპასუხემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადანაცვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

7. ამავე სასამართლოს 28.03.2022 წლის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადანყევტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

9. დადგენილია და საკასაციო საჩივრებით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

9.1. სადავო უძრავი ნივთი აღრიცხულია მოსარჩელის საკუთრებად (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: თბილისის სააღსრულებო ბიუროს 20.01.2020 წლის განკარგულება);

9.2. მას არამართლზომიერად ფლობს მოპასუხე;

9.3. შპს „ა.ბ.გ-ის“ აუდიტორული დასკვნის თანახმად, სადავო უძრავი ნივთის ყოველთვიური ქირის საფასური შეადგენს 700 ლარს.

10. უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ყველა ის ფაქტობრივი წინამძღვარი, რომელიც მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელია. საეინდიკაციო სარჩელი ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ მესაკუთრეს, რომელსაც ჩამოერთვა მფლობელობა, შეუძლია ნივთი მოითხოვოს მფლობელისაგან, რომელიც არაკეთილსინდისიერად აკავებს ნივთს. საკუთრების უფლებამ ნივთზე სრული ბატონობა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ფაქტობრივი ბატონობა – მფლობელობის სახით. ცხადია, მესაკუთრეს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად აქვს მფლობელობის უფლება (და თუკი მოხდება საკუთრების მფლობელობის ჩამორთმევა, მას შეუძლია არაუფლებამოსილ მფლობელს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება (იხ.: თამარ ზარან-

დია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ. 245).

11. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება (სუსგ. №ას-914-2019, 25.07.2019წ.; სუსგ. №ას-246-246-2018; 20.03.2018წ.).

12. სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ სადავო უძრავი ნივთი აღრიცხულია მოსარჩელის სახელზე. სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფიცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

13. როგორც აღინიშნა, მოპასუხე წარმოადგენს სადავო უძრავი ნივთის მფლობელს. რაც შეეხება ფლობის უფლებას, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესზე და აღნიშნავს, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

14. ამდენად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურსამართლებრივ შედეგს გამოიწვევს. მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დაადასტურა საკუთრების უფლების არსებობა სადავო ქონებაზე. მოპასუხეები ფლობენ სადავო უძრავ ნივთს. შესაბამისად, სწორედ მოპასუხეებს ეკისრებათ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მათი მფლობელობა მართლზომიერია (სუსგ. №ას-1579-2019, 17.12.2019წ.).

15. სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრის პრეტენზიის გამო, ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას. რადგან განხორციელებულია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა, მოსარჩელეს უფლება აქვს, მფლობელობის შეწყვეტა და ნივთის გადაცემა მოითხოვოს (სუსგ. №ას-887-2019, 27.12.2019წ.).

16. ამდენად, სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ. არ არსებობს მოპასუხის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს მოპასუხის საკასაციო საჩივარს, ვინაიდან ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

17. არც შეეხება მოსარჩელის საკასაციო საჩივარს, მის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისთვის ზიანის სახით 4900 ლარის, ასევე – სარჩელის შეტანის დღიდან – 19.08.2020 წლიდან, გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად, 700 ლარის დაკის-

რების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება. ამ კუთხით საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ: მოპასუხის სააპელაციო საჩივრით სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი იყო გადანყვეტილების კანონიერების შემოწმება სრულად (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ასევე, ზიანის სახით 4900 ლარის და გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად, 700 ლარის დაკისრების თაობაზე); სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს ზიანის სახით როგორც 4900 ლარის, ისე გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად, 700 ლარის დაკისრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მსჯელობას; როგორც სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერით დგინდება, სააპელაციო სასამართლოს 02.11.2021 წლის სხდომაზე სასამართლომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ასევე ზიანის სახით 4900 ლარის და გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად, 700 ლარის დაკისრების თაობაზე მოთხოვნები განიხილა, რის შემდეგაც გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას ნათლად და არაორაზროვნად განმარტა აღნიშნული (ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ზიანის სახით მხოლოდ 4900 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაზე მითითება უსწორობის გასწორების საფუძველია და არა საკასაციო სასამართლოს მიერ 19.08.2020 წლიდან, გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად, 700 ლარის დაკისრების ნაწილში წარდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვის დამაბრკოლებელი საპროცესო გარემოება.

18. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე/გამდიდრების გათანაბრებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

19. მოპასუხის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სადავო უძრავი ნივთის ფლობის გამო, საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 982.1 მუხლი, რომელიც ადგენს ქცევის შემდეგ წესს: პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი (შდრ. სუსგ №ას-197-186-2017, 30.05.2017წ.; №ას-685-639-2017, 22.12.2017წ.).

20. სსკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ განსახილველი ნორმით გათვა-

ლისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან (იხ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013წ.; №ას-1204-2018, 25.01.2019წ., პ.19). თუკი მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება აქვს, ამოიღოს ეს ქონება ხელმოყოფისაგან. სწორედ აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სსკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმოყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა (სუსგ №ას-685-639-2017, 22.12.2017წ.).

21. ამრიგად, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევისას უნდა შეფასდეს სსკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი მიიღწევა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების კუმულაციურად არსებობისას: მოსარჩელე უნდა იყოს სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრე; მოპასუხე ნივთს უნდა ფლობდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; ადგილი უნდა ჰქონდეს მოპასუხის გამდიდრებას მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისის ხარჯზე (შდრ. სუსგ №ას-197-186-2017, 30.05.2017წ., პ.17). მხოლოდ მითითებული გარემოებების გამოკვლევის შედეგად შეიძლება დასკვნის გამოტანა, არსებობს თუ არა საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების/გამდიდრების გათანაბრების საფუძველი.

22. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები

უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელიმე მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავ ეკოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთაჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, საჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს (სუსგ №ას-1465-2020, 18.03.2021წ., პ.48).

23. საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს მოპასუხის საკასაციო საჩივარს. შესაბამისად, მოსარჩელის უფლება სადავო უძრავი ნივთის ვინდიცირებაზე, ისევე, როგორც მოპასუხის მფლობელობის არამართლზომიერება, დადგენილია.

24. სსკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მიღწევადობის წინაპირობებიდან უნდა გაირკვეს, გამდიდრდა თუ არა მოპასუხე მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისის ხარჯზე. ამისთვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რა მომენტიდან მიიჩნევა მოპასუხე არამართლზომიერ მფლობელად (რა მომენტიდან არა აქვს მის მფლობელობას სამართლებრივი საფუძველი და ეწინააღმდეგება მესაკუთრის ნებას). სწორედ არამართლზომიერი მფლობელობის პერიოდის ხანგრძლივობით არის შესაძლებელი საუბარი სსკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის მქონე პირის უფლებაში ჩარევასა და აუნაზღაურებელი ზიანის/დაზოგილი სიმდიდრის გათანაბრებაზე. გამდიდრების ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს, ანუ კრედიტორს (სუსგ №ას-479-2020, 14.12.2021წ.).

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურება, ანუ გამდიდრების გათანაბრება, უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას მოჰყვეს დარღვეული ქონებ-

რივი ბალანსის აღდგენა და არა პირუკუ შედეგი – დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (სუსგ №ას-504-2019, 13.03.2020წ.).

26. მოსარჩელის მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით წარმოდგენილია შპს „ა.ბ.გ-ის“ 05.03.2020 წლის აუდიტორული დასკვნა, რომლითაც სადავო უძრავი ნივთის (113,87 კვ.მ ბინა) ყოველთვიური ქირა განსაზღვრულია 700 ლარით. მოსარჩელის სამართლებრივი პრეტენზიის დასადასტურებლად მითითებული მტკიცებულების საპირწონე ფაქტების დადასტურების ვალდებულება მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, თუმცა მოპასუხემ ვერ უზრუნველყო იმგვარ გარემოებებზე მითითება/მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც ზემოაღნიშნულ დასკვნას გააქარწყლებდა ან/და ზიანის სახით მოთხოვნილი თანხის სხვაგვარ გაანგარიშებაზე მსჯელობას შესთავაზებდა სასამართლოს. კვალიფიციური შედაგების არარსებობის პირობებში კი, სასამართლო, რომელიც შეზღუდულია მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, საკუთარი ინიციატივით არ/ვერ განახორციელებს ამ გარემოების კვლევას.

27. რაც შეეხება ბინის შესაძლო გაქირავების ფაქტის მტკიცების შესახებ მსჯელობას, პალატა მიუთითებს საკასაციო სასამართლოს დასკვნაზე ერთ-ერთ საქმეზე, კერძოდ: თუ პირს ბინა საცხოვრებლად არ სჭირდება, მისი გაქირავება უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებული და აპრობირებული ფორმაა (იხ. სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016 წ., პ.51). შესაბამისად, საკასაციო პალატას საფუძვლიანად მიაჩნია მოსარჩელის მსჯელობა, რომ მას საკუთრების განკარგვის შეუძლებლობის გამო წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

28. რაც შეეხება გარემოებას, რა მომენტიდან არა აქვს მოპასუხის მფლობელობას სამართლებრივი საფუძველი და მფლობელობა ეწინააღმდეგება მესაკუთრის ნებას, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს საცხოვრებელი ფართის დაუყოვნებლივ დაცლის მოთხოვნა წაუყენა 09.03.2020 წლის წერილით და მისცა ერთკვირიანი ვადა მის დასაცვლელად. იქვე განუმარტა ფართის დაუბრუნებლობის შემთხვევაში სარჩელით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენების შესახებ. წერილი ადრესატს ჩაჰპარდა 10.03.2020 წელს. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის მფლობელობა მოსარჩელის ნებას ეწინააღმდეგება ამ ვადის გასვლის შემდეგ, 18.03.2020 წლიდან და მოპასუხეს უნდა დაეკისროს სარჩელის აღძვრამდე გასულ პერიოდზე ხუთი თვის ბინის ქირის, 3500 ლარის გადახდა, ასევე, ყოველთვიურად 700 ლარის გადახდა 19.08.2020 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

29. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვი-

თონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 3500 ლარის გადახდა და ყოველთვიურად 700 ლარის გადახდა 19.08.2020 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-6 პუნქტები) დარჩეს უცვლელად (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

30. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, უნდა შეიცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება:

30.1. ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილებით არ კმაყოფილდება მოპასუხის საკასაციო საჩივარი, არ არსებობს II საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები და იგი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ამ ნაწილში გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟზე (გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი).

30.2. საკასაციო საჩივრის წარმოდგენის მომენტში განსაზღვრული დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით (სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის, 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები) მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. საკასაციო სასამართლოში მიღებული შედეგის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების/გამდიდრების გათანაბრების ნაწილში დაკმაყოფილდა 91.3%-ით. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მხოლოდ ნაწილის – 1175,94 ლარის ანაზღაურება.

30.3. მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახ-

და გადავადებული ჰქონდა. მოპასუხის მოთხოვნა, საკასაციო სასამართლოში მიღებული შედეგის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა 8.69%-ით. შესაბამისად, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო საჩივარზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 55,96 ლარის, ხოლო მოპასუხეს – 588,04 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ქ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. დ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.11.2021 წლის გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
4. დ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
5. მ. ქ-ას დ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 3500 ლარის გადახდა და ყოველთვიურად 700 ლარის გადახდა 2020 წლის 19 აგვისტოდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.11.2021 წლის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-6 პუნქტები) დარჩეს უცვლელად.
7. მ. ქ-ას დ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 1175,94 ლარის ანაზღაურება.
8. მ. ქ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 588,04 ლარის გადახდა.
9. დ. კ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს მ. ქ-ას სააპელაციო საჩივარზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 55,96 ლარის გადახდა.
10. დ. კ-ს (პ/ნ: ...) უკან დაუბრუნდეს მის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 756 ლარიდან (საგადახდო დავალება №..., გადახდის თარიღი 27.07.2020წ.) ზედმეტად გადახდილი 427 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...

11. დ. კ-ს (პ/ნ: ...) უკან დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1710 ლარიდან (საგადახდო დავალება №..., გადახდის თარიღი 15.12.2021წ.) ზედმეტად გადახდილი 905 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...

12. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსკვისი სამართლებრივი სიკაეთის ხელყოფის შედეგები

გადანყვანილობა საქართველოს სახელმწიფო

№ას-821-2022

20 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა.მ. და გ. კ-იამ“ (შემდეგში – მოსარჩელე, შეგვებებული სარჩელის მოპასუხე) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში პ. ა-ძის მიმართ (შემდეგში – მოპასუხე, შეგვებებული სარჩელის მოსარჩელე) შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. პ. ა-ძეს შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს საიჯარო დავალიანების გადახდა, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს – 7230.58 ლარს;

1.2. პ. ა-ძეს შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებით არამართლზომიერი სარგებლობისათვის – 12 744.79 ლარის გადახდა.

2. მოპასუხე პ. ა-ძემ ძირითად სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი შესაგებლით, სარჩელი ცნო ქირის თანხის დავალიანების დაკისრების ნაწილში, ხოლო არამართლზომიერად ქონების ფლობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ არასდროს უსარგებლია არამართლზომიერად.

მიერად მესაკუთრის ქონებით, შესაბამისად მას არანაირი თანხის გადახდა არ უნდა დაეკისროს;

2.1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მოპასუხის მხარეს მესამე პირმა – შპს „მ.ა.ც.გ-მა“ დაადასტურა, რომ 2019 წლის იანვრიდან ფაქტობრივად იგი ფლობს იჯარის საგანს და მას ამის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

3. პ. ა-ძემ შპს „ა.მ. და გ. კ-ისა“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი წარადგინა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

3.1. შპს „ა.მ. და გ. კ-ისა“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, მოსარჩელე პ. ა-ძის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ – 481 821.21 ლარის გადახდა, რაც გამოიანგარიშება საიჯარო ქონების გაუმჯობესების შედეგად მის გაზრდილ ღირებულებას – 489 051.79 ლარს (რომლითაც გამდიდრდნენ მოპასუხეები) გამოკლებული – 7230.50 ლარი, ე.ი. ის თანხა, რომელიც პირვანდელი მოსარჩელის მიერ იქნა მოთხოვნილი პ. ა-ძის მიმართ და რომლის ვალდებულებაც აღიარა პ. ა-ძემ.

4. შეგებებული სარჩელით მოპასუხეებმა – შპს „ა.მ. და გ. კ-იამ“ და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ პ. ა-ძის შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით, შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე პ. ა-ძეს მოსარჩელე შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ქირის – 7230.58 ლარისა და ზიანის – 2000 ლარის გადახდა; მოპასუხე პ. ა-ძეს მოსარჩელე შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 276.91 ლარის გადახდა; პ. ა-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა.მ. და გ. კ-იამ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

7. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 აპრილის განჩინებით, შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვე-

ტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1.1. ელექტრონული აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, 2012 წლის 06 მარტს, შპს „ს.მ.ბ-ოს“ და ო. ა-ძეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოიჯარეს დროებით სარგებლობაში, იჯარის წესით გადაეცა კომპანიის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ... ქ. №5-ში მდებარე 2630 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობა საერთო ფართობით 3044.82 კვ.მ. და №2 შენობა საერთო ფართობით 238.95 კვ.მ. (სულ 3283.77 კვ.მ.) საკადასტრო კოდი ...

– ხელშეკრულების 3.1. პუნქტის შესაბამისად საიჯარო ქონებით სარგებლობის ვადად განისაზღვრა 3 წელი. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 27 12.39 ლარის ოდენობით. საიჯარო ქირა არ მოიცავს კომუნალურ გადასახადებს, რომელსაც მოიჯარე იხდის ცალკე.

– იჯარის ხელშეკრულების 1.2. პუნქტის თანახმად, მოიჯარე იჯარის საგანზე საკუთარი სახსრებით განახორციელებს მიმდინარე აუცილებელ სარემონტო სამუშაოებს და მისი საქმიანობისათვის აუცილებელ სხვა ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებს (ტელეფონი, ინტერნეტი, დენისა და წყალგაყვანილობა) რომლის ღირებულებაც არ იქნება მოთხოვნილი საიჯარო ურთიერთობების დასრულების შემდგომ.

– იჯარის ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, იჯარის საგანი წარმოადგენს და რჩება მეიჯარის საკუთრებაში.

– ხელშეკრულების 4.4. პუნქტის თანახმად, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდგომ მოიჯარის საკუთრებაში რჩება ყველა ის გაუმჯობესება, რაც მოიჯარემ მოახდინა საკუთარი და მასთან გათანაბრებული სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფაც შეიძლება იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად.

8.1.2. შპს „ს.მ.ბ-ოს“, ო. ა-ძესა და პ. ა-ძეს შორის უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2013 წლის 25 ივნისის შეთანხმებით, მოიჯარედ ნაცვლად ო. ა-ძისა განისაზღვრა პ. ა-ძე და იჯარის ხელშეკრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელად.

8.1.3. 2013 წლის 09 სექტემბერს, შპს „ა.მ. და გ. კ-იასა“ (უძრავი ქონების ახალი მესაკუთრე) და პ. ა-ძეს შორის დაიდო შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რის საფუძველზეც მეიჯარედ შპს „ს.მ.ბ-ოს“ ნაცვლად განისაზღვრა შპს „ა.მ. და გ. კ-ია“. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელი.

8.1.4. მოიჯარის განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 15 მაისს, დაიდო შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რის საფუძველზეც შემცირდა საიჯარო ფარ-

თი (ნაცვლად 3287.77 კვ.მ. გახდა 1492.99 კვ.მ.). შესაბამისად, შეიცვალა საიჯარო ქირაც და ნაცვლად 2712 ლარისა განისაზღვრა 1232 ლარით დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელი.

8.1.5. მოიჯარის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 20 ოქტომბერს დაიდო შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რის საფუძველზეც შემცირდა საიჯარო ქირა და ნაცვლად 1232 ლარისა განისაზღვრა 1000 ლარით დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელი.

8.1.6. მოიჯარე მთელი საიჯარო პერიოდის განმავლობაში არარეგულარულად იხდიდა საიჯარო ქირას და წარმოეშვა დავალიანება. მოიჯარის მიერ აღიარებულ იქნა დავალიანება, თუმცა სრულად არ იქნა დაფარული.

8.1.7. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ხელშეკრულების დასრულების დღისთვის, მოიჯარის საიჯარო ქირის დავალიანება შეადგენდა – 7230.58 ლარს.

8.1.8. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ და მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შპს „ა.მ. და გ. კ-იამ“ ერთმანეთში აწარმოეს მიმონერა, სადავოდ გამხდარი უძრავი ნივთის, კომპანიის სანესდებო კაპიტალიდან ამოღების, სახელმწიფოსთვის გადაცემისა და გაყიდვის შესახებ.

8.1.9. 2019 წლის 12 სექტემბერს, შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სანესდებო კაპიტალში და შესაბამისად საკუთრებაში არსებული სადაოდ გამხდარი უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა), მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში, სანესდებო კაპიტალიდან ამოიღო მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და ქონება დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებაში. სადავო ნივთზე მესაკუთრის ცვლილება უსასყიდლოდ განხორციელდა. სახელმწიფოს სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციის მომენტისთვის პ. ა-ძის სახელზე იჯარის უფლება რეგისტრირებული აღარ იყო.

8.1.10. 2019 წლის 01 აპრილს, შპს „ა.მ. და გ. კ-იამ“ იმ დროისათვის ჯერ კიდევ შპს „...“-ის სახელწოდების მქონე კომპანიას წერილობით აცნობა, რომ „მიმდინარე წლის 13 მარტის ფ/პ გ. ლ-ის და შპს „...“-ის ერთობლივ განცხადებასთან დაკავშირებით, მათი კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა საიჯარო ხელშეკრულებაში ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

– 11.04.2019 წელს, შპს „...“-მა შპს „ა.მ. და გ. კ-იას“ გადასცა შემდეგი შინაარსის წერილი: „მიმდინარე წლის პირველი აპრილის №02/182 თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ და კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ შპს „...“ როგორც 04.01.2019 წელს ჩატარებულ აუქციონში გამარ-

ჯვებული ფ/პ გ. ლ-ის გარდა, ერთადერთი მონაწილე პირი მზადაა ჩაენაცვლოს გამარჯვებულს, რაზეც წერილობითი თანხმობა თავად გ. ლ-მაც განაცხადა.

8.1.11. პ. ა-ძემ მესაკუთრის ყოველგვარი თანხმობის გარეშე, მისთვის იჯარით გადაცემული უძრავი ქონება გადასცა სხვა პირს, კერძოდ, ამჟამად ქონებას ფლობს შპს „მ.ა.ც.გ-ი“, რითაც ქონების მესაკუთრეს წაერთვა შესაძლებლობა აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაეცა ქონება. 2018 წლის 31 დეკემბერს ამოწმურა ვადა პ. ა-ძისა შპს „მ.ა.ც.გ-ი“-ს შორის დადებულ იჯარის ხელშეკრულებას და უკვე ყოფილი მოიჯარე ვალდებული იყო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მესაკუთრისათვის დაებრუნებინა ქონება.

8.1.12. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა გ. ლ-მა განცხადებით მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების მოშლა, რადგან ქონება არ იყო გამოთავისუფლებული, ვერ მოხდა მოიჯარეზე უძრავი ნივთის გადაცემა და ამ უკანასკნელმა დაკარგა ინტერესი ხელშეკრულებისადმი. 2019 წლის 09 ივლისს, მხარეთა შეთანხმებით მოიშალა 2019 წლის 08 იანვრის ხელშეკრულება და მოხდა მისი რეგისტრაციის გაუქმება საჯარო რეესტრში.

8.2. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ქონებრივ უფლებებში, კერძოდ, საკუთრების უფლებაში ჩარევის ფაქტი დადგენილად მიიჩნია, რაც გამოიხატა მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონებით კანონიერი საფუძვლის გარეშე სარგებლობაში. სააპელაციო პალატის შეფასებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ მართალია, საქმის განხილვის დროს და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ ამჟამად საიჯარო ქონებას ფლობდა მესამე პირი, თუმცა აღნიშნული არ ცვლიდა მოპასუხე პ. ა-ძის ვალდებულებას, რომ საიჯარო ხელშეკრულების დასრულების დროისათვის მოეხდინა გადაცემული ქონების მესაკუთრისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარება.

8.3. სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს 2018 წლის 31 დეკემბერს ამოწმურა იჯარის ხელშეკრულების ვადა, თუმცა იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფართს. უდავო ფაქტს წარმოადგენდა, რომ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა გ. ლ-მა განცხადებით მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების მოშლა, რადგან ქონება არ იყო გამოთავისუფლებული, შესაბამისად, ვერ მოხდა მოიჯარეზე უძრავი ნივთის გადაცემა და ამ უკანასკნელმა დაკარგა ინტერესი ხელშეკრულებისადმი. 2019 წლის 09 ივლისს, მხარეთა შეთანხმებით მოიშალა 2019 წლის 08 იანვრის ხელშეკრულება და მოხდა მისი

რეგისტრაციის გაუქმება საჯარო რეესტრში. სწორედ აღნიშნულის გამო მოითხოვა მოსარჩელემ ზიანის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და მიიჩნია, რომ ზიანის (ქონების არამართლზომიერი ფლობის გამო) სახით მოპასუხე პ. ა-ძეს მართებულად დაეკისრა 2000 ლარის გადახდა.

8.4. პალატამ აქვე მიუთითა საკასაციო სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმადაც, განცდილი ზიანის ანუ დაზოგილი სიმდიდრის (გამდიდრების) ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს. ზიანის ანაზღაურება, ანუ გამდიდრების გათანაბრება, უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას მოჰყვეს დარღვეული ქონებრივი ბალანსის აღდგენა და არა პირუკუ შედეგი – დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ. სუსგ №ას-504-2019, 13.03.2020 წ.) და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ წინამდებარე საქმეზე სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად მართებულად შეაფასა ისინი, სწორად გამოიყენა მატერიალური (სსკ-ის 979-ე, 982-ე) ნორმები და მართებულად შეასრულა ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პირობებში, საჭირო იყო საქმის გარემოებათა დადგენისა და მხარეთათვის დაკისრებული მტკიცებულების ტვირთის შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისათვის.

8.5. სააპელაციო პალატის მითითებით, კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აუცილებელი იყო მხარეებს სასამართლოსთვის წარმოედგინათ დასაბუთებული და არა ზოგადი პოზიციები; ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, მხოლოდ ზოგადი მითითებების საფუძველზე, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა სააპელაციო საჩივარი.

9. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა.მ. და გ. კ-იამ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

9.1. კასატორის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9.1.1. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში ერთი მხრივ, დადგენილად მიიჩნევს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ქონებრივ უფლებებში ჩარევის ფაქტს და იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას მასზედ, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო, თუმცა, მეორე მხრივ, არ ასა-

ბუთებს თუ რატომ აკისრებს მოპასუხეს მხოლოდ 2000 ლარს, ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 12744.79 ლარისა. კასატორის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ საქმის განხილვის დროს საიჯარო ქონებით მესამე პირი სარგებლობდა, არ ცვლის მოპასუხე პ. ა-ძის ვალდებულებას – საიჯარო ხელშეკრულების დასრულების დროისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაებარებინა უძრავი ქონება მესაკუთრისთვის.

9.1.2. ასევე, კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლო მსჯელობას მასზედ, რომ მათი მხრიდან არ იყო წარმოდგენილი დასაბუთებული პოზიციები. აღნიშნულის საპირისპიროდ, კასატორი მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნა იყო დასაბუთებული და გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სრულყოფილად არ გამოუკვლევია წარდგენილი მტკიცებულებები.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 07 ივლისის განჩინებით, შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე სასამართლოს 2023 წლის 13 აპრილის განჩინებით, შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეინახა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამტკიცებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რა-

მაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება- დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის გამო მიყენებული ზიანის – 12744.79 ლარის დაკისრების წინაპირობების შემოწმება. აღნიშნული მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, მხოლოდ 2000 ლარის გადახდა დაეკისრა, რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით.

14. საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ საქმეზე №ას-251-2018, 08.02.2022 წ.).

15. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონ-

მდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (იხ. სუსგ-ები საქმეებზე: №ას-1163-2018, 08.02.2019წ.; №ას-495-2020, 23.10.2020წ.).

16. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მისი კუთვნილი უძრავი ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის გამო მიყენებული ზიანის ანაზაურების შესახებ მოთხოვნას იმ ფაქტობრივ გარემოებებზე აფუძნებდა, რომ მოპასუხე პ. ა-ძეს 2018 წლის 31 დეკემბერს ამოწურა იჯარის ხელშეკრულების ვადა და იგი ვალდებული იყო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მესაკუთრისათვის დაებრუნებინა ქონება, თუმცა, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოპასუხე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფართს. იმავდროულად, პ. ა-ძემ მესაკუთრის ყოველგვარი თანხმობის გარეშე, მისთვის იჯარით გადაცემული ქონება გადასცა სხვა პირს, რითაც ქონების მესაკუთრეს წაერთვა შესაძლებლობა, რომ ქონება გადაეცა აუქციონში გამარჯვებული პირისათვის, რის გამოც, ამ უკანასკნელმა დაკარგა ინტერესი ხელშეკრულებისადმი და განცხადებით მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების მოშლა.

17. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982.1 (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი) მუხლიდან გამომდინარეობს (შდრ. სუსგ-ები საქმეებზე: №ას-197-186-2017, 30.05.2017წ.; №ას-685-639-2017, 22.12.2017წ.).

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ როდესაც მოსარჩელე მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო კარგავს გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობას, მას უფლება აქვს ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან და სწორედ აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა (შდრ. სუსგ

№ას-685-639-2017, 22.12.2017წ.).

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია განმარტებული, რომ „ვინაიდან განსახილველ საქმეში სწორედ მიღებული სარგებლის უკან დაბრუნების ობიექტური შეუძლებლობა იკვეთება, ქონებრივი წონასწორობის აღდგენის მიზნით ხელმყოფს (მოპასუხეს) ეკისრება, რომ მის მიერ დაზოგილი სიკეთე – მოცემულ შემთხვევაში დაზოგილი ქირა (რომელსაც იგი გადაიხდიდა, თუკი მესაკუთრესთან ან სხვასთან, სამართალურთიერთობაში იქნებოდა) აუნაზღაუროს მესაკუთრეს, რომელმაც ვერ მიიღო შესაბამისი სარგებელი და განიცადა ქონებრივი დანაკლისი“ (იხ. სუსგ-ები საქმეებზე: №ას-1399-2020, 08.04.2021წ.; №ას-519-2020, 17.03.2021წ.; №ას-1100-2020, 23.12.2020წ.; №ას-852-796-2017, 22.09.2017წ.; №ას-308-293-2013, 30.05.2017წ.; №ას-197-186-2017, 30.05.2017წ.; №ას-472-448-2013, 05.12.2013წ.).

20. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი მიიღწევა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების კუმულაციურად არსებობისას: მოსარჩელე უნდა იყოს სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრე; მოპასუხე ნივთს უნდა ფლობდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; ადგილი უნდა ჰქონდეს მოპასუხის გამდიდრებას მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისის ხარჯზე (შდრ. სუსგ №ას-197-186-2017, 30.05.2017წ., პ.17). მხოლოდ მითითებული გარემოებების გამოკვლევის შედეგად შეიძლება დასკვნის გამოტანა – არსებობს თუ არა საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების/გამდიდრების გათანაბრების საფუძველი (იხ. სუსგ საქმე №ას-479-2020, 14.12.2021წ.).

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი გარემოება/სამართლებრივი წინაპირობა და დადგენილად მიიჩნიეს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ქონებრივ უფლებებში, კერძოდ, საკუთრების უფლებაში ჩარევის ფაქტი, რაც გამოიხატა მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონებით კანონიერი საფუძვლის გარეშე სარგებლობაში. ამ მიმართებით, სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ მოპასუხეს 2018 წლის 31 დეკემბერს ამოეწურა იჯარის ხელშეკრულების ვადა, თუმცა იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფართს; უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა, რომ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა – გ. ლ-მა განცხადებით

მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების მოშლა, რადგან ქონება არ იყო გამოთავისუფლებული, შესაბამისად, ვერ მოხდა მოიჯარეზე უძრავი ნივთის გადაცემა და ამ უკანასკნელმა დაკარგა ინტერესი ხელშეკრულებისადმი; 2019 წლის 09 ივლისს, მხარეთა შეთანხმებით მოიშალა 2019 წლის 08 იანვრის ხელშეკრულება და მოხდა მისი რეგისტრაციის გაუქმება საჯარო რეესტრში.

22. აღსანიშნავია, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი წინაპირობები საკასაციო პალატის შეფასების საგანს არ წარმოადგენს, რამეთუ მათ სანინააღმდეგოდ, მოპასუხე პ. ა-ძის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რაც აპელანტს კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების იურიდიული პასუხისმგებლობის წინაპირობებს დადასტურებულად მიიჩნევს და მხოლოდ მოსარჩელე შპს „ა.მ. და გ. კ-იის“ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მარტოოდენ დაკისრებული თანხის ოდენობის მართლზომიერებას შეაფასებს.

23. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ქონებრივ უფლებებში, კერძოდ, საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო (რაც გამოიხატა მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონებით კანონიერი საფუძვლის გარეშე სარგებლობაში), აუქციონში გამარჯვებულმა პირმა – გ. ლ-მა განცხადებით მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების მოშლა ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვის გამო და მხარეთა შეთანხმებით, მოიშალა 2019 წლის 08 იანვრის ხელშეკრულება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი უნდა დაანგარიშდეს 08.01.2019 წ.-დან (აუქციონში გამარჯვებულ პირთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან) სარჩელის წარდგენამდე პერიოდისათვის, ყოველთვიური საიჯარო ქირის – 3785 ლარის გათვალისწინებით (შესაბამისი დღეების რაოდენობაზე დაანგარიშებით), რამეთუ საქმის მასალებით ირკვევა, რომ ელექტრონული აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, გ. ლ-თან 2019 წლის 08 იანვარს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით, ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 3785 ლარით დღგ-ს ჩათვლით. საქმეში წარმოდგენილია თანხის ბრუნვის ისტორია, რომლის მიხედვით, იანვრის თვეში (08.01.2019 წ.-დან) ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 2930.32 ლარი, თებერვლის თვეში – 3785 ლარი, მარტის თვეში – 3785 ლარი და აპრილის თვეში (სარჩელის წარდგენამდე) – 2018. 67 ლარი, სულ ჯამში 12518.99 ლარი, რაც წარმოადგენს მოსარჩელისათვის აუქციონში გამარჯვებულ პირთან – გ. ლ-თან გაფორმებული ხელშეკრულების მოშლის გამო მიყენებულ ზიანს, რისი

ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს მოპასუხე პ. ა-ძეს.

24. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამაქარწყლებელი რაიმე რელევანტური მტკიცებულება, რაც საკასაციო პალატას ზიანის სახით მოთხოვნილი თანხის სხვაგვარი დაანგარიშებისა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრული ოდენობის გაზიარების შესაძლებლობას მისცემდა.

25. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით არამართლობრივი სარგებლობის გამო, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ოდენობასთან მიმართებით, წარმოდგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედეგება). შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსკ-ის 393-ე მუხლი), რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე ნაწილში, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

26. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

27. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 აპრილის განჩინება, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება პ. ა-ძისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 2000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების სახით – 12518.99 ლარის დაკისრების თაობაზე.

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს

სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. შესაბამისად, შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად, მოპასუხე პ. ა-ძეს მოსარჩელე შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 1539.17 (592.48+420.75+525.94) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 აპრილის განჩინება, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება პ. ა-ძისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 2000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ (...) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. პ. ა-ძეს (...) შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის ანაზღაურების სახით – 12518.99 ლარის გადახდა;

5. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი პ. ა-ძისათვის ქირის სახით 7230.58 ლარის დაკისრების შესახებ;

6. პ. ა-ძეს (...) შპს „ა.მ. და გ. კ-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 1539.17 (592.48+420.75+525.94) ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დელიქტური ვალდებულება

სარჩოს გადაანგარიშება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-349-349-2018

18 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბ. გ-ძე (შემდგომში – „მოსარჩელე“, „დაზარალებული“ ან „პირველი კასატორი“) მუშაობდა შპს „ს. რ-ის“ (უფლებამონაცვლე – სს „ს. რ-ა“) (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „მეორე კასატორი“) ფილიალის – „ს. რ-ის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ (შემდგომში – „ფილიალი“) რუსთავის სადგურში მატარებლის შემდგენლის თანაშემწედ.

2. მოსარჩელემ 1987 წლის ოქტომბერში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო სანარმოო ტრავმა, რის გამოც მოპასუხისგან იღებს სარჩოს, 1987 წლიდან დღემდე.

3. მოსარჩელეს 2010 წლის 01 აპრილიდან დაუდგინდა მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი მიღებული შრომითი დასახიჩრების გამო, უვადოდ, 100%-ით პროფესიული შრომის უნარის ხარისხის დაკარგვით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხე მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩოს სახით უხდის 217,60 ლარს.

5. მოპასუხის ფილიალის სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შემავალი სადგური „რიონის“ საშტატო განრიგის მიხედვით, მატარებლის შემდგენლის თანაშემწის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2012 წლის აგვისტოდან 2012 წლის ოქტომბრამდე შეადგენდა 360 ლარს, ხოლო 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, შეადგენს 500 ლარს.

6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ

და მოითხოვა მისთვის 2016 წლის 01 ნოემბრიდან ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდის დაკისრება, საგადასახადო კოდექსით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით; ასევე, მიუღებელი სარჩოს გადახდის დაკისრება 13 837,6 ლარის ოდენობით, საგადასახადო კოდექსით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით.

7. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (გადაწყვეტილების პირველი პუნქტი); მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი სარჩოს სხვაობის ანაზღაურება 13 837,6 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით (გადაწყვეტილების 1.1. ქვეპუნქტი); მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2016 წლის 01 ნოემბრიდან 2028 წლის 29 მაისამდე ყოველთვიური სარჩოს გადახდა 500 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით (გადაწყვეტილების 1.2. ქვეპუნქტი).

9. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები. მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; ხოლო, მოპასუხემ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

12. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე განიცდიდა ქონებრივ დანაკლისს, ვინაიდან უბედური შემთხვევის გამო ის ვეღარ მუშაობდა დაკავებულ თანამდებობაზე თავისი პროფესიით და ვერ იღებდა იმ შეღავათებსა და უპირატესობას, რასაც მიიღებდა ანალოგიურ, თანაბარ პირობებში მყოფი მუშაკი, კერძოდ, კი ხელფასს 500 ლარის ოდენობით. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებებში, პრეზუმირებული იყო, რომ მოსარჩელე იმუშავებდა საპენსიო ასაკის მიღწევამდე.

13. სააპელაციო პალატის მითითებით, იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მოსარჩელეს ყოველთვიურად უზდიდა სარჩოს 217,60 ლარის ოდენობით, ხოლო მატარებლის შემდგენლის თანაშემწის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2012 წლის ოქტომბრიდან შეადგენდა 500 ლარს, 2012 წლის ოქტომბრიდან დაზუსტებული სარჩელის წარდგენამდე – 2016 წლის ნოემბრამდე დროის მონაკვეთში მოსარჩელის მიერ მიღებულ და მისაღებ თანხებს შორის სხვაობა შეადგენდა 13 837,60 ლარს.

14. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩოს სახით მისაღები ოდენობა, მისი შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის (100%) გათვალისწინებით, უნდა განსაზღვრულიყო ყოველთვიურად – 500 ლარით, ვინაიდან მატარებლის შემდგენლის თანაშემწის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო დაზუსტებული სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2016 წლის 01 ნოემბრისათვის შეადგენდა 500 ლარს, რაც ამჟამადაც უცვლელი იყო, თუმცა 2028 წლის 29 მაისამდე (მოსარჩელის დაბადების თარიღია 1963 წლის 29 მაისი), ანუ იმ დრომდე, რა დრომდეც იარსებებდა ვარაუდი იმისა, რომ მოსარჩელე იმუშავებდა ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში (საპენსიო ასაკის მიღწევამდე).

15. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება უნდა განსაზღვრულიყო უვადოდ და არა საპენსიო ასაკის მიღწევამდე, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, არ არსებობდა აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ პირი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ სანარმოში ვერ შეასრულებდა შრომით მოვალეობებს და, შესაბამისად, მასზე ვერც სახელფასო ცვლილებები და სხვა შეღავათები გავრცელდებოდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე და 992-ე მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება უნდა შემოფარგლულიყო კანონით განსაზღვრული შრომისუნარიანობის (საპენსიო) ასაკამდე.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მხარეებმა წარადგინეს საკასაციო საჩივრები. პირველმა კასატორმა მოითხოვა განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მეორე კასატორმა განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

17. პირველმა კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების ნაწილობრივ გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

17.1. სარჩოს მიღების ვადის საპენსიო ასაკამდე შეზღუდვა ეწინა-

აღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის განჩინებაზე, საქმე №ას-173-162-2017; ასევე, იმავე სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებაზე, საქმე №ას-826-773-2017;

17.2. მოსარჩელე დაბადებულია 1963 წლის 29 მაისს, ანუ არის 54 წლის, შესაბამისად იგი არ არის საპენსიო ასაკს მიღწეული და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მას უნდა მიეცეს ყოველთვიური სარჩოს მიღების უფლება რაიმე ვადის მითითების ან შეზღუდვის გარეშე.

18. მეორე კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

18.1. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლები;

18.2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 01 მარტი №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ყოველთვიური სარჩო გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება;

18.3. სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ დანაწესს და ადგენს პირველადი მდგომარეობის აღდგენის საშუალებას სარჩოს დანიშვნის გზით. დასახელებული სამართლებრივი ნორმა პირდაპირ ადგენს ასეთ შემთხვევაში, რა მეთოდით უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ხოლო მასზე ამავე მუხლის პირველი ნაწილის გავრცელება, როგორც განსხვავებული მოწესრიგება, დაუშვებელია. მუშაკის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სარჩოს გადაანგარიშების გზით პრობლემის არაეფექტური და არაზუსტი გადაწყვეტაა. აღნიშნული საკითხის სირთულიდან არსებობს გამოსავალი, რაც კანონმდებელმაც გაითვალისწინა. მეტიც, კანონმდებელმა საერთოდ გააუქმა სარჩოს უპირობოდ გადაანგარიშების წესი, ვინაიდან, შეუძლებელია მიუღებელი შემოსავლის მთელი ცხოვრების მანძილზე წინასწარ ზუსტად განსაზღვრა. კანონი ლოგიკურად დარჩა საკითხის მოწესრიგების იმგვარ ფორმაზე, როგორიცაა სარჩოს გამოანგარიშება და დანიშვნა იმ ოდენობიდან, რა ოდენობითაც დაზარალებული იღებდა ხელფასს ზიანის მიყენების დროს და მას ეს სარჩო ერიცხება ცხოვრების ბოლომდე. ასეთ

შემთხვევაში, როგორც ერთი მხარის, ისე მეორე მხარის უფლებების მოსალოდნელი შეზღუდვა დაყვანილია მინიმალურ დონეზე. ამდენად, არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. იმავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

22. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი და ზარალეულისათვის დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებისა (გაზრდის) და მიუღებელი სარჩოს ანაზღაურების მართლზომიერება; ასევე, სარჩოს დაკისრების ხანგრძლივობა, კერძოდ, ის საკითხი თუ რა დრომდე არის სანარმო ვალდებული გადაუხადოს დაზარალეულს კომპენსაცია.

23. პირველი კასატორი დავობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩოს მიღების ვადის საპენსიო ასაკამდე შეზღუდვის ნაწილში ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. რაც შეეხება მეორე კასატორს, მისი პრეტენზია კანონის არასწორ გამოყენებას ემყარება. მისი განმარტებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სარჩოს გადაანგარიშების შესაძლებლობას, შესაბამისად, სა-

დავო საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლები, არამედ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 01 მარტის №45 დადგენილებით).

24. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მეორე კასატორის მითითებას და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული წესის მოქმედება, ვინაიდან მოსარჩელე არ წარმოადგენს ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ დახმარების მიმღებ პირს.

25. შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხს აწესრიგებს ორგანული კანონი – საქართველოს შრომის კოდექსი, რომლის 44-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული დანახსი მითითებითაა, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ ნორმებში უნდა იქნეს მოძიებული.

26. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსი ზიანის ანაზღაურების ორ წესს ადგენს: ა) სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან ნაწარმოები მეორადი მოთხოვნები და ბ) დელიქტური ვალდებულებები, თუმცა, დაზარალებული პირის უფლებრივი რესტიტუციის განსაკუთრებული თვისებიდან გამომდინარე, კანონი მათ თანაარსებობას დასაშვებად მიიჩნევს, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება, ასევე, სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (იხ. სუსგ საქმე №ას-1180-1141-2016, 31 მარტი, 2017 წელი).

27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება; ხოლო, მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნა-

რი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის ამგვარი ფორმულირების მიზანია დაზარალებულის მდგომარეობის აღდგენა იმგვარად, რომ მივიღოთ ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა. თეორიულად, განხორციელდეს ე.წ რესტიტუცია, რაც პრაქტიკულად დაზარალებულის იმ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს, რომელიც ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობისას იქნებოდა სახეზე. სადავო შემთხვევაშიც, სარჩოს გადაანგარიშების მიზანს დაზარალებულისათვის იმ მატერიალური დანაკლისის შევსება წარმოადგენს, რაც დაზარალებულმა მიიღო დაზიანების (უბედური შემთხვევის) გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობაშია მისაღები ზოგადი კრიტერიუმი დაზარალებულის მხრიდან (დელიქტის არარსებობის პირობებში) აქტიური შრომისუნარიანობის შესახებ. რაც შეეხება იმავე მუხლის მე-2 ნაწილს, იგი მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია შეფასდეს, რა დრომდეა ვალდებული საწარმო გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია. ამდენად, შეფასებას საჭიროებს გარემოება, რომელიც პირის დასაქმების პერიოდს უკავშირდება (იხ. სუსგ საქმე №ას-52-48-2017, 26 ოქტომბერი, 2018 წელი).

29. საგულისხმოა თავად უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) მოთხოვნის ფარგლებიც. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკის თანახმად, პრეზუმირებულია, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, დასაქმებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული საწარმო აენაზღაურებინა მისთვის ხელფასი, რომ არ დამდგარიყო სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამასთან, საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ, მართალია, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში დაზარალებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა, თუმცა დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც

ეკისრება საწარმოს (იხ. სუსგ საქმე №1216-1141-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №1220-1145-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №ას-1180-1141-2016, 31 მარტი, 2017 წელი).

32. ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, დასაქმებულის სა-სარგებლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულება საწარმოს ეკისრება და-ზარალებულის სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო, დაკისრებული სარჩო ხელფასის ზრდის შესაბამისად გადაანგარიშებას ალარ ექვემდებარე-ბა მას შემდეგ, რაც დაზარალებული საპენსიო ასაკს მიაღწევს (იხ. სუსგ საქმე №ას-1216-1141-2015, 03 ივნისი, 2016 წელი, №ას-1220-1145-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №ას-799-766-2016, 08 მაისი, 2017 წელი; №ას-1180-1141-2016, 07 აპრილი, 2017 წელი).

33. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე მუშაობ-და მოპასუხის ფილიალის რუსთავის სადგურში მატარებლის შემდგენ-ლის თანაშემწედ; მან 1987 წლის ოქტომბერში სამსახურებრივი მოვა-ლეობის შესრულებისას მიიღო საწარმოო ტრავმა, რის გამოც 2010 წლის 01 აპრილიდან დაუდგინდა მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებ-ლობის შეზღუდვის სტატუსი, უვადოდ, 100%-ით პროფესიული შრო-მის უნარის ხარისხის დაკარგვით; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხე მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩოს სახით უხდის 217,60 ლარს; დადგენილია, ასე-ვე, რომ მატარებლის შემდგენლის თანაშემწის ყოველთვიური თანამ-დებობრივი სარგო 2012 წლის აგვისტოდან 2012 წლის ოქტომბრამდე შეადგენდა 360 ლარს, ხოლო 2012 წლის ოქტომბრიდან შეადგენს 500 ლარს; ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხე დაბადებულია 1963 წლის 29 მაისს, შესაბამისად მას საპენსიო ასაკისათვის ჯერ არ მიუღწევია.

34. ზემოაღნიშნული განმარტებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სარჩოს გადაანგარიშების (გაზრდის), ასევე მიუღებელი სარჩოს ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობე-ბი, შესაბამისად, ამ ნაწილში მართებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი. სარჩოს ოდენობასთან დაკავშირებით კი მეორე კასატორს შედავება არ წარმო-უდგენია.

35. რაც შეეხება სარჩოს გადახდის ხანგრძლივობას, ზემოაღნიშნუ-ლი მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს პირ-ველი კასატორის პრეტენზიას, რომ სარჩოს მიღების ვადის საპენსიო ასაკამდე შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს პრაქტიკას (შედარებისთვის იხ. სუსგ საქმე №ას-812-763-2015, 29 იანვარი, 2016 წელი; №ას-1304-1224-2015, 05 თებერვალი, 2016

ნელი; №ას-742-710-2016, 25 ნოემბერი, 2016 წელი; №ას-1180-1141-2016, 07 აპრილი, 2017 წელი; №ას-826-773-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი; №ას-1742-2018, 27 დეკემბერი, 2018 წელი).

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყევტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყევტილება.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყევტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადანყევტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყევტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი, აგრეთვე მე-3 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადანყევტილებების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი, 1.2 ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადანყევტილება; სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2016 წლის 1 ნოემბრიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდა 500 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით; ხოლო, მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყევტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღ-

ნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

41. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება ჯამში შეადგენდა 17 226,4 ლარს (13 837,6 ლარს დამატებული მოთხოვნილ სარჩოს ოდენობასა (500 ლარი) და უკვე დანიშნულ სარჩოს ოდენობას (217,60) შორის სხვაობა – 282,4 ლარი X 12 თვეზე = 3 388,8 (სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)).

42. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 516,79 ლარის (17 226,4 ლარის 3%) გადახდა; სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის (დავის საგნის – 3 388,8 ლარის 4% შეადგენს 135,55 ლარს, თუმცა, სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო სასამართლოში შეადგენს დავის საგნის 4%, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა) გადახდა და საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის (დავის საგნის – 3 388,8 ლარის 5% შეადგენს 169,44 ლარს, თუმცა, სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო სასამართლოში შეადგენს დავის საგნის 5%, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა) გადახდა.

43. ამგვარად, საბოლოო ჯამში, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 966,79 ლარის გადახდა.

44. რაც შეეხება მეორე კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, ვინაიდან მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს მის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ბ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი, აგრეთვე მე-3 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი, 1.2 ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ბ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად;
4. სს „ს. რ-ას“ ბ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 2016 წლის 1 ნოემბრიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდა 500 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით;
5. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
6. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
7. სს „ს. რ-ას“ (ს/კ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 966 (ცხრაას სამოცდაექვსი) ლარისა და 79 (სამოცდაცხრამეტი) თეთრის გადახდა;
8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დანაშაულის შედგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გადანაშაულებას საქართველოს სახელმწიფო

№ას-199-2020

28 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: დანაშაულის გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ (შემდგომ – მერია, მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ნ-ძის (შემდგომ – პირველი მოპასუხე), თ. ფ-ძისა (შემდგომ – მეორე მოპასუხე), მ. ჯ-ძის (შემდგომ – მესამე მოპასუხე), ჰ. ო-ისა (შემდგომ – მეოთხე მოპასუხე) და ვ. ე-ძის (შემდგომ – მეხუთე მოპასუხე) მიმართ ზიანის – 184 751.08 ლარის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენითა და ამავე სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განაჩენით მოპასუხეები ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 210 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (660, 43 250.3, 111 972.78, 20 868 და 8000 ლარის ეპიზოდები), რაც გულისხმობს თაღლითობას, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებას ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ჯგუფურად ისეთი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებასა და გამოყენებას, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი. განაჩენითვე დგინდება, რომ მერიისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი 184 751.08 ლარია, რომელიც მოპასუხეებს არ აუნაზღაურებიათ.

3. განაჩენით დადასტურებულია მოპასუხეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით მერიისათვის ზიანის – 184 751.08 ლარის მიყენების ფაქტი, შესაბამისად, დამტკიცებულად მიიჩნევა სა-

ქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ სსკ-ის) 992-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ იშუამდგომლა ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით დადგენილი გამარტივებული წესით.

მოპასუხეთა შესაგებელი

4. მოპასუხეებმა – ბ. ნ-ძემ, თ. ფ-ძემ და მ. ჯ-ძემ (ასევე ერთობლივად მოხსენიებული როგორც აპელანტები) ერთობლივად წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ განაჩენის არსებობა არ ნიშნავს მსჯავრდებულების მიმართ ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურებას, რადგან განაჩენი გამოტანილია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე.

5. არც გამოძიების მასალებში და არც სხვაგან არ მოიძებნება მტკიცებულება, რომ ზიანის მიყენების ფაქტი რეალობას შეესაბამება და შესყიდული საქონელი კომპანიაში არ შესულა. გამოძიებამ ჩაატარა სასაქონლო-მატერიალური მარაგების კომპლექსური და სრული ექსპერტიზა. ინვენტარიზაციის შედეგად არ გამოვლინდა საქონლის დანაკლისი, რაც პირდაპირ ადასტურებს, რომ ყველა ეპიზოდთან მიმართებით გამოძიების მიერ დადგენილი ყალბი საბუთისა და ნივთების მითვისების ფაქტები მცდარია.

6. მოპასუხეებმა მიუთითეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. მათი მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო არა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის მიღების დღიდან, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს 2009 წლიდან, დაზარალებულის დაკითხვიდან. ამდენად, სსკ-ის 1008-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა სარჩელის წარმოდგენის დროისთვის ამოწურულია.

7. მეოთხე და მეხუთე მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენიათ და არც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად 184 751.08 ლარის გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

9. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ბ. ნ-ძემ, თ. ფ-ძემ და მ. ჯ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11. სააპელაციო სასამართლომ მერიის სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული ზიანის ანაზღაურებას. თუ იგი ითხოვს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გამარტივებული წესით, მაშინ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა ზიანის მიმყენებლის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოიცა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო, იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მოითხოვს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას საერთო სასარჩელო წესით, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

12. პალატამ განმარტა, რომ გამარტივებული წესით საქმის განსახილველად აუცილებელია მოსარჩელის შუამდგომლობა და სარჩელზე მოპასუხის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დართვა. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი გამარტივებული წესით განხილული არ იყო, რაც განაპირობა მოსარჩელის მიერ სარჩელში ბაჟის გათავისუფლების საფუძველად სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის მითითებამ (რომლის თანახმად, ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე), ნაცვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო არა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, არამედ იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

13. უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება თანამოპასუხეებად დასახელებული პირების მიმართ 2009 წლის 15 მაისს დაიწყო და 2009 წლის 3 აგვისტოს

დასრულდა, 2009 წლის 30 ივლისს, საქმეზე მერია დაზარალებულად იქნა ცნობილი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის ივლისში უკვე ცნობილი იყო, მან კი სასამართლოს სარჩელით 2018 წლის 2 აპრილს მიმართა. შესაბამისად, პალატამ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია.

14. პალატამ მიუთითა, რომ იმ პირობებშიც კი, თუ სარჩელი ხანდაზმულად არ იქნებოდა მიჩნეული, მოთხოვნას წარმატების პერსპექტივა არ ექნებოდა, რადგან განაჩენით ზიანის ოდენობა დადგენილი არ იყო. როდესაც ზიანის ოდენობა განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით არ არის დადგენილი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ ნაწილში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე. პალატამ მიუთითა, რომ საქმეში არ არსებობდა იმგვარი მტკიცებულება, რომელიც საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ მტკიცების სტანდარტს დაძლეოდა და ზიანის ოდენობის ფაქტს დაადასტურებდა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

15. ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

16. კასატორის მტკიცებით, მერიამ 2015 წლის 6 აპრილისა და 2016 წლის 19 მაისის განაჩენის საფუძველზე სარჩელი 2018 წლის 2 აპრილს აღძრა და მოითხოვა სარჩელის გამარტივებული წესით განხილვა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს საქმის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ არ უშუამდგომლია. სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელემ ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველად არ მიუთითა სსსკ-ის 46-ე მუხლის 1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (ბაჟისაგან გათავისუფლება დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელზე), ეწინააღმდეგება როგორც სსსკ-ის 309(17) მუხლის პირველ ნაწილს, ისე – უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. გარდა იმისა, რომ მოსარჩელემ სარჩელში პირდაპირ მიუთითა გამარტივებული წესით განხილვის თაობაზე, სამართლებრივ საფუძველშიც შესაბამისი ნორმები მოიშველია. არაარსებითია, მოსარჩელემ რომელი ნორმის საფუძველზე მოითხოვა ბაჟისაგან გათავისუფლება. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, საქმე გამარტივებული წესით განეხილა.

17. ამასთან, მოპასუხეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების ფაქტი, ვერ გახდება ვერც სარჩელის გამარტივებული წესით განხილვაზე და ვერც დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, თუნ-

დაც იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დაზარალებულს არ აქვს უფლება, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს

მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

21. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

22. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998.1 (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებული გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

23. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი) (სუსგ №ას-769-737-2016, 20.06.2018წ.; სუსგ №ას-176-163-2015, 04.10.2016წ.; სუსგ №ას-1426-2018, 11.04.2019წ.).

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, V კარს დაემატა ახალი XXXIV³ თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შე-

სული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დადასტურებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

25. 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმებული იქნა სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, თუმცა სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის, ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. „საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდე-

ბა, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი)“ (შდრ. სუსგ №ას-638-605-2014, 22 აპრილი, 2016).

26. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელსაც დაურთო სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი და იშუამდგომლა სარჩელის გამარტივებული წესით განხილვა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ, რაკი მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველად მიუთითა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი (ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე) და არ მიუთითა სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელზე), არ არსებობდა საქმის გამარტივებული წესით განხილვის წინაპირობები. პალატა განმარტავს, რომ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვა მოსარჩელე მხარის დისპოზიციური უფლებაა და სარჩელის ამ წესით განხილვაზე მხარემ უნდა იშუამდგომლოს, ხოლო კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სასამართლო ვალდებულია, საქმე გამარტივებული წესით განიხილოს (იხ. სუსგ №ას-1319-1245-2012, 22 ოქტომბერი, 2012.). გამარტივებული წარმოებით საქმის განსახილველად კი, კანონი მოსარჩელეს მხოლოდ იმას ავალდებულებს, რომ შუამდგომლობას თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, რითაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის პირველი ნაწილი).

27. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობა მხოლოდ ზიანის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს გააჩნია და სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის (ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დას-

ტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) შესაბამისად, მათ სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე ხელახლა არ ადგენს. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამ სპეციალური წარმოების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აღარ უნევს ზიანის მიყენების ფაქტის, ე.ი. თავად მიყენებული ზიანის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის კვლევა. თუკი ზიანი დანაშაულის შედეგად დადგა, ყველა აღნიშნული გარემოება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დასტურდება.

28. ზიანის მიყენების ფაქტისა და მისი ოდენობის დასამტკიცებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენი და ამავე სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განაჩენი. განაჩენის მიხედვით, მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატა, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლნენ სხვის ნივთს ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით და სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ჯგუფურად დაამზადეს და გამოიყენეს ყალბი საგადასახადო დოკუმენტაცია (რომელიც არ არის ფასიანი ქალაქი). შესაბამისად, გამოვლინდა დელიქტის ერთ-ერთი მთავარი პირობა – მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი დანარჩენი სამი ელემენტიც, კერძოდ: ზიანი – მოსარჩელემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა – განაჩენის მიხედვით, შპს „ო.ლ.კ-ას“ ანგარიშზე თბილისის მერიის კუთვნილი თანხები მოტყუებით ჩარიცხეს და ამ თანხებს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თაღლითურად დაეუფლნენ; 2009 წლის 30 ივლისს №092090215 სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის მერია; ბრალეულობა; მიზეზშედეგობრიობა – მოსარჩელის ზიანი გამოიწვია მოპასუხეთა ქმედებამ.

29. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, აღნიშნულთან მიმართებით მსჯელობას შესაძლებელია, შეიცავდეს თავად განაჩენი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, სხვა შემთხვევებში, ზიანის გაანგარიშება დასაშვებია უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტით (სსსკ-ის 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (სუსგ №ას-1322-2018, 04.04.2019). საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ წარმოდგენილი განაჩენებით ზიანის ოდენობა არ დგინდებოდა. საკა-

საციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენილად მიჩნევისათვის მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ხელმძღვანელობა ისე გამოიციხა, რომ მტკიცებულება ყოველმხრივ და სრულად არ შეაფასა.

30. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – *Carmel Saliba v. Malta*, N24221/13, §73, 29 ნოემბერი 2016; §73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, *Hiro Balani v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, §28, Series A N303-B; §28), შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – *Buzescu v. Romania*, N61302/00, §67, 24 მაისი 2005, §67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – *Donadze v. Georgia*, N74644/01, §35, 7 მარტი, 2006.).

31. პალატა მიუთითებს, რომ განაჩენში მოცემულია კონკრეტული გაანგარიშება და მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანის ზუსტი ოდენობა, კერძოდ, განაჩენის მიხედვით, დგინდება, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელეს მიაყენეს 184 751.08 (660, 43 250.3, 111 972.78, 20 868 და 8000 ლარის ეპიზოდები) ლარის ზიანი. რაც შეეხება გაანგარიშებას, მაგ: განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ: „2007 წლის 28 ივნისს, შპს „ო.ლ.კ-ამ“ №4007/30-016 და №4007/30-017 ხელშეკრულებების საფუძველზე, საგადასახადო ანგარიშფაქტურით სერია ბბ-70 №075543, სასაქონლო ზედნადებით №10, სასაქონლო ზედნადების დანართით №1, მიანოდა რა შემსყიდველს 262055.7 ლარის მარაგ-ნაწილები, ბ. ნთან შეთანხმებით ჰ. ო-მა და ვ. ე-ძემ ზემოხსენებული ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადებები და ამავე თარიღით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლებშიც დამატებით დაფიქსირდა 43250.3 ლარის ღირებულების რეალურად არარსებული მარაგ-ნაწილების ფიქტიური მიწოდება, რისი განხორციელებაც შეუძლებელი იყო, რადგან იმ პერიოდისათვის შპს „ო.ლ.კ-ას“ ნაშთად არ ერიცხებოდა მიწოდებულად დაფიქსირებული საქონელი, არც მათი იმპორტი განუხორციელებია და არც ადგილობრივ ბაზარზე შეუსყიდია. აღნიშნული გაყალბებული დო-

კუმენტები შპს „თ. ა-ის“ მხრიდან ხელმოწერით დაადასტურა მ. ჯ-ემ. ხსენებული 43 250.3 ლარი მიწოდებული საქონლის საფასურთან ერთად, 2007 წლის 3 ოქტომბერს, საწარმოს ანგარიშიდან ჩირიცხა შპს „ო.ლ.კ-ას“ ანგარიშზე „ზ. ბ-ში“, რაც ბ. ნ-ძემ, ნ. ო-მა და მ. ჯ-ემ თაღლითურად მიისაკუთრეს და გაინაწილეს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს მერიას“. ზიანი მსგავსად არის გამოთვლილი ყველა სხვა ეპიზოდსა და მოპასუხესთან მიმართებით. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარდგენილი განაჩენებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება ის გარემოება, რომ მოპასუხეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად (6 ეპიზოდი) მოსარჩელეს მიაღდა მატერიალური ზიანი 184 751.08 ლარი. ზემოაღნიშნული გარემოება პრეიუდიციის რანგში რომც არ იქნეს განხილული, მოპასუხეს არ წარმოუდგენია განაჩენით დადასტურებული ფაქტების გამაქარწყლებელი სამართლებრივად ვარგისი რაიმე მტკიცებულება (იხ. სუსგ. №ას-94-2021; 6 ივლისი, 2021 წელი).

32. ამასთან, პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ გარემოებას ზიანის ოდენობა წარმოადგენდა. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც განაჩენი არ შეიცავდა მოპასუხეთა მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის შესაბამის გაანგარიშებას, განაჩენის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხეების მიერ მოსარჩელისთვის 10000 + 1 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი, რადგან დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისება იყო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად კი, ამავე კოდექსის 25-ე თავის მიზნებისათვის დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ განაჩენით მოპასუხეების მიერ მოსარჩელისთვის 10000 + 1 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდებოდა (იხ. სუსგ. №ას-1393-2019; 16 ნოემბერი, 2021 წელი).

33. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, პალატა განმარტავს, რომ საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულებს არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან (შდრ. სუსგ. №ას-1661-1558-2012; 4.02.2013 წელი, სადაც სასამართლომ ზიანის ოდენობა დადგენილად მიიჩნია განაჩენის საფუძველზე, რომლითაც დამტკიცებული იყო საპროცესო შეთანხმება). მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელი აკმაყოფილებს კანონის ფორმალურ მოთხოვნებს, შესაბამისად, რიგორც დელიქტური ქმედების შემადგენლობა, ისე – ზიანის ოდენობა დადგენილად მიიჩნევა, რაც შეეხება მოპასუხეებს, მათ, როგორც ალინისა, ოდენობასთან მიმართებით დასაბუთებული პრეტენზია არ წარ-

მოუდგენიათ, ხოლო განაჩენის კანონიერების გადასინჯვა სამოქალაქო საქმის განხილვის ფარგლებს სცდება.

34. მოპასუხე მხარემ შესაგებელში მოთხოვნის შემაფერხებელ გარემოებაზე – ხანდაზმულობაზე მიუთითა. დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნაზე ვრცელდება სსკ-ის 1008-ე მუხლით (დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ) დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადა. კასატორის პრეტენზია უკავშირდება ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისს, კერძოდ, მისი მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს ხანდაზმულობის ვადა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან უნდა აეთვალი. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას და განმარტავს, რომ 2010 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება, რომელიც აღარ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე), სახელმწიფოსათვის ან სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტისათვის დანაშაულით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების მიმართ, სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწყება, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თუ დაზარალებული ითხოვს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გამარტივებული წესით, მაშინ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა ზიანის მიმყენებლის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამოცემულ იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მოითხოვს დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას საერთო სასარჩელო (და არა გამარტივებული სამართალწარმოების წესით) წესით, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (იხ. სუსგ №ას-1322-2018; 4 აპრილი, 2019 წელი). ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა, მოცემულ შემთხვევაში, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან უნდა აითვალოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, დაზარალებულმა წარადგინა სისხლის სამართლის საქმეზე

გამოტანილი განაჩენი და მატერიალური ზიანის ანაზღაურება გამართივებული წესით მოითხოვა. განაჩენები, რომელთა საფუძველზეც დადგინდა სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობები, კანონიერ ძალაში 2015 წლის 6 აპრილისა და 2016 წლის 19 მაისს შევიდა, მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი 2018 წლის 2 აპრილს წარადგინა. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ წარდგენილი სარჩელი ხანდაზმული არ არის.

35. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს – მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ 184 751.08 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

36. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, რაკი მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, მოპასუხეებს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ სარჩელისა (სსსკ-ის მუხლი 39.3 ა.ბ) და საკასაციო საჩივრისათვის (სსსკ-ის მუხლი 39.3 გ.ბ) გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის – 13 000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ე შ ი ბ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბ. ნ-ძეს, თ. ფ-ძეს, მ. ჯ-ძეს, ჰ. ო-სა და ვ. ე-ძეს დაეკისროთ 184 751.08 ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ;

5. ბ. ნ-ძეს, თ. ფ-ძეს, მ. ჯ-ძეს, ჰ. ო-სა და ვ. ე-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 13 000 ლარის გადახდა;

6. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-932-2020

30 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, გარიგებათა ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. სს „ტ-მა“ (შემდგომ – ბანკი, მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ა-ვას (შემდგომ – ფილიალის მმართველი, პირველი მოპასუხე) ა. მ-ძის (შემდგომ – მეორე მოპასუხე), ლ. მ-ძის (შემდგომ – მესამე მოპასუხე), მ. ჯ-ძის (შემდგომ – მეოთხე მოპასუხე, ასევე – ერთობლივად მოპასუხეები, მონინალმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა გარიგებათა ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, პირველი და მეორე მოპასუხე შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთ

მილიონ აშშ დოლარს დეპოზიტის სახით განათავსებდა ბანკში, ხოლო ფილიალის მმართველი უზრუნველყოფდა ბანკის მხრიდან იმაზე მეტი სარგებლის დარიცხვას, ვიდრე ეს დროის მოცემულ მონაკვეთში, ბანკის მიერ (და, ზოგადად, საფინანსო ბაზარზე) იქნებოდა დადგენილი. სანაცვლოდ, მეორე მოპასუხე თავისივე დეპოზიტით თავდებად დაუდგებოდა პირველ მოპასუხეს, რათა ამ უკანასკნელს, თავისი ნათესავებისა და მეგობრების მეშვეობით, ბანკიდან კრედიტები მიეღო და მერე სარგებლიანად გამოეყენებინა. შედეგად, მოგებული დარჩებოდა ორივე მოპასუხე. ამგვარი შეთანხმება ეწინააღმდეგება საბანკო სფეროში მოქმედ წესებს. მათი უკანონო გარიგების გამო ბანკს მიადგა მატერიალური ზიანი. მეორე მოპასუხის დეპოზიტის განთავსების დღიდან – 2011 წლის 4 აპრილიდან ამ დეპოზიტის დახურვის დღემდე – 2014 წლის 4 აპრილამდე ბანკმა მეორე მოპასუხეს ყოველთვიური სარგებლის გადახდის გზით, სულ 316 273 აშშ დოლარი გადაუხადა. ამავე პერიოდში უკანონო შეთანხმების ფარგლებში, პირველ მოპასუხეზე (მისი ნათესავებისა და მეგობრების მეშვეობით) გაცემული საბანკო კრედიტებიდან ბანკმა პროცენტის (მათ შორის, საკომისიოს) სახით სულ 210 987 აშშ დოლარი მიიღო. აღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა, ანუ ზიანი, რაც მიადგა ბანკს, 105 286 აშშ დოლარია. შესაბამისად, პირველ და მეორე მოპასუხეს უნდა დაეკისროთ 105 286 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

3. 2012 წლის 8 ნოემბერს მეორე მოპასუხესა და მის შვილს, მესამე მოპასუხეს შორის დადებული გარიგება არის მოჩვენებითი და თვალთმაქცური. გარიგების მიზანი არ ყოფილა დეპოზიტის გადაცემა, გარიგების მიზანი იყო სასამართლო გადანაცვლებით დადგენილი მოთხოვნისაგან თავის დაღწევა და სასამართლო ყადაღისათვის გვერდის ავლა. ანაბრის მესაკუთრე ყოველთვის მეორე მოპასუხე იყო. მესამე მოპასუხის მიერ გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებები, სინამდვილეში არის მეორე მოპასუხესა და ბანკს შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებები, რამდენადაც მოქმედებს დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის იურიდიული ინტერესია, დადგინდეს, რომ მიუხედავად 2012 წლის 8 ნოემბრიდან 2013 წლის 4 აპრილამდე ბანკის დეპოზიტარად ფორმალურად მესამე მოპასუხის არსებობისა, სინამდვილეში დროის ამ მონაკვეთში ბანკის ნამდვილი დეპოზიტარი იყო მეორე მოპასუხე. ამ გარემოების დადგენას მნიშვნელობა აქვს მეორე და მესამე მოპასუხის მიმართ ბანკის მოთხოვნებისა და სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისათვის. ამდენად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 2012 წლის 8 ნოემბერს დადებული მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება და აღიარებულ იქნეს, რომ სადეპოზიტო ურთიერთო-

ბა მეორე მოპასუხესა და ბანკს შორის გაგრძელდა 2012 წლის 8 ნოემბრის შემდეგაც.

4. 2013 წლის აპრილში მეოთხე მოპასუხისათვის მესამე მოპასუხის მიერ დეპოზიტზე განთავსებული თანხების გადაცემა არის მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები, რაც ფარული გარიგების დასაფარად და გადასარჩენად გაფორმდა. ბანკსა და მეოთხე მოპასუხეს შორის არსებული ურთიერთობა და ამ უკანასკნელსა და ფილიალის მმართველს შორის ურთიერთობა უნდა შეფასდეს, როგორც მეორე მოპასუხესა და ბანკს შორის და მეორე მოპასუხესა და ფილიალის მმართველს შორის არსებული ურთიერთობა. ამ გარემოებების დადგენას მნიშვნელობა აქვს მეორე და მეოთხე მოპასუხესთან ბანკის მოთხოვნებისა და სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისათვის. ამდენად, ბათილად იქნეს ცნობილი 2013 წლის 4 აპრილს მეორე მოპასუხის მიერ ბანკიდან 379 204 აშშ დოლარისა და 420 000 აშშ დოლარის გატანის სალაროს გასავლის ორდერები და 2013 წლის 4 აპრილს მეოთხე მოპასუხის მიერ ბანკში 370 000 აშშ დოლარისა და 430 000 აშშ დოლარის შეტანის სალაროს შემოსავლის ორდერები და აღიარებულ იქნეს, რომ მეორე მოპასუხე 2013 წლის 4 აპრილის შემდეგაც იყო ბანკის დეპოზიტარი 2014 წლის 4 აპრილამდე.

მოპასუხეთა პოზიცია:

5. პირველმა მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საპროცენტო განაკვეთები 2011-2013 წლებში მიღებულ იქნა ბანკის სატარიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ფილიალის მმართველი კი, ამ გადაწყვეტილებაზე ხელმომწერ პირს არ წარმოადგენს. ბანკს ზიანი არ განუცდია.

6. მოპასუხეებმა წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით არ ცნეს და განმარტეს, რომ არ არსებობდა რაიმე სახის უკანონო შეთანხმება და ბანკთან დადებული ანაზრის ხელშეკრულებები იყო ნამდვილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 19 თებერვლის განჩინებით –სააპელაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. პალატის მითითებით, მოსარჩელე პირველი და მეორე მოპასუხისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრებას მოითხოვდა მათ მიერ უკანონო გარიგებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, რაც ანაბარზე მალალი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით გამოიხატა. 2012 წლის 4 აპრილის სატარიფო საკითხის ფორმის თანახმად, ფიზიკური პირებისათვის, კომიტეტის მიერ დადგინდა მეორე მოპასუხის ანაბარზე დასარიცხი წლიური 12% და 2013 წლის 2 აპრილის სატარიფო საკითხის ფორმის თანახმად, კომიტეტის მიერ დადგინდა მეოთხე მოპასუხის ანაბარზე დასარიცხი წლიური 12%. კომიტეტის ეს გადაწყვეტილებები დამონმებულია შესაბამისი უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, რომელთაგან არცერთს არ წარმოადგენს არც პირველი და არც მეორე მოპასუხე. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თაობაზე მათი მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოსარჩელის მხრიდან დადასტურებული არ არის. სარგებლის ოდენობა განსაზღვრულია თვით მოსარჩელე ბანკის სატარიფო კომიტეტის მიერ. ამდენად, პალატის მითითებით, დგინდებოდა, რომ სარგებლის ოდენობა განისაზღვრა არა მოპასუხეთა მიერ, არამედ თავად მოსარჩელე ბანკის სატარიფო კომიტეტის მიერ. შესაბამისად, აპელანტმა ვერ დაადასტურა მოპასუხეთა მხრიდან ზიანის (105 286 აშშ დოლარის) მიყენების ფაქტი.

11. აპელანტის მტკიცებით, მესამე და მეოთხე მოპასუხის სახელზე ფორმალურად გაიცა ანაბარი. მეორე მოპასუხე ანაბრის არსებობის მთელ პერიოდში (04.04.11-დან 04.04.14-მდე) იყო ანაბრის მესაკუთრე, ხოლო მესამე და მეოთხე მოპასუხე ფორმალური მეანაბრეები იყვნენ (04.04.13-დან 04.04.14-მდე). ანაბრების ფორმალურად გადაცემით კი, დაიფარა ბანკის ფილიალის ყოფილ დირექტორსა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული კერძო გარიგება, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი თავისი დეპოზიტით თავდებად დაუდგებოდა პირველ მოპასუხეს ბანკიდან სესხის მიღებაში, სანაცვლოდ კი, უზრუნველყოფდა ბანკის დეპოზიტზე იმაზე მეტი პროცენტის დარიცხვას, ვიდრე ეს დროის მოცემულ მონაკვეთში ბანკში იყო დადგენილი. ეს მტკიცება პალატამ არ გაიზიარა, რადგან, როგორც დაადგინდა, სარგებლის ოდენობა განისაზღვრა თავად მოსარჩელე ბანკის სატარიფო კომიტეტის მიერ. ამასთან, ის გარემოება, თუ ვისგან მიიღო საანაბრე თანხა მეოთხე მოპასუხემ, ვერ შეცვლიდა საბანკო ურთიერთობებში მეანაბრის სამართლებრივ მდგომარეობას.

კასატორის მოთხოვნა:

12. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ თავდებობის სანაცვლოდ პირველ მოპასუხეს უნდა უზრუნველყო, ბანკის მიერ მეორე მოპასუხის დეპოზიტზე იმაზე მეტი პროცენტის და-

რიცხვა, ვიდრე ეს დროის მოცემულ მონაკვეთში ბანკში იყო დადგენილი. პირველ წელს (04.04.2011-04.04.2012) მეორე მოპასუხეს დეპოზიტზე ერიცხებოდა წლიური 10%, დეპოზიტის მეორე წელს (04.04.2012-04.04.2013) – წლიური 12%, ხოლო დეპოზიტის მესამე წელს (04.04.2013-04.04.2014) – წლიური 12%, მაშინ, როდესაც შესაბამისი დროისათვის ბანკში დადგენილი წლიური სადეპოზიტო ტარიფები იყო შესაბამისად: 9%, 8,5%, და 7,5%. მართალია, აღნიშნული მაღალი პროცენტები ბანკის სატარიფო კომიტეტმა დაამტკიცა, მაგრამ მნიშვნელოვანია ფილიალის მმართველის წვლილი იმაში, თუ რატომ მიიღო ბანკის სატარიფო კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება. სატარიფო კომიტეტის ოქმები ნათელს ხდის იმას, თუ რატომ მიანიჭა ბანკმა მეორე მოპასუხეს ესოდენ მაღალი სარგებელი. პირველი მოპასუხე, რომელიც მეორე მოპასუხის თავდებობით (ე.წ. „ქეშქოვებით“) ბანკიდან მისი ნათესავების მეშვეობით კრედიტებს იღებდა, მიღებულ კრედიტზე ბანკს წლიურ 16%-ს უხდიდა. ფილიალის მმართველი არწმუნებდა ბანკის სატარიფო კომიტეტს, რომ მეორე მოპასუხისათვის 12%-ის გადახდა ბანკისათვის მომგებიანი იყო, რადგან ბანკი მეორე მოპასუხისათვის თავდებობით 16%-იან სესხებს გასცემდა. საქმეში წარმოდგენილ თავდებობის ხელშეკრულებებში, რომელსაც ხელს ბანკის მხრიდან პირველი მოპასუხე და, მეორე მხრივ, მეორე მოპასუხე აწერენ, პირდაპირ წერია, რომ ბანკის მიერ გაცემულ კრედიტს (ვისზეც არ უნდა ყოფილიყო იგი გაცემული პირველი მოპასუხის მეუღლეზე, ქვისლსა თუ სიდედრზე), ბანკის სასარგებლოდ წლიური 16% ერიცხებოდა. აქედან გამომდინარე, საკრედიტო კომიტეტი რწმუნდებოდა იმაში, რომ მაღალი პროცენტის მინიჭება ბანკისათვის ხელსაყრელი იყო. ფილიალის მმართველის ამ განზრახვას ადასტურებს მის მიერვე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში. ამდენად, სასამართლოს უნდა დაესკვნა, რომ სატარიფო კომიტეტმა მეორე მოპასუხეს მაღალი ტარიფი დაუწესა მხოლოდ ფილიალის მმართველის ძალისხმევით, როცა მან ბანკი დაარწმუნა იმაში, რომ დეპოზიტზე 12%-ის დანესების სანაცვლოდ, დეპოზიტზე არსებული თანხის გამოყენებით ბანკი კრედიტს 16%-ად გასცემდა.

13. სასამართლოს დასკვნა, რომ – რაკი მეორე მოპასუხის დეპოზიტზე სარგებლის ოდენობა განსაზღვრა ბანკის სატარიფო კომიტეტმა, ამიტომ, მეორე და მესამე მოპასუხეს შორის უკანონო გარიგება არ არსებობს, დაუსაბუთებელია. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საფუძვლით ბანკის მეორე და მესამე სასარჩელო მოთხოვნების უარყოფა. მე-2 და მე-3 სასარჩელო მოთხოვნებში მითითებულ გარიგებათა მოჩვენებითობისა და თვალთმაქცურობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია,

რაც გადანყვეტილების დაუსაბუთებლობას ადასტურებს. სასამართლოს მსჯელობა, რომ ვისგან მიიღო საანაბრე თანხები მეოთხე მოპასუხემ ვერ შეცვლის საბანკო ურთიერთობებში მეანაბრის, მხარის სამართლებრივ პოზიციას, მცდარია.

14. სადავო გარიგებები მოჩვენებითია (ანუ მათი მიზანი არ ყოფილა მეორე მოპასუხის მიერ დეპოზიტის შვილისა და რძლისათვის გადაცემა, ანუ ანაბარზე საკუთრების უფლების რეალური გადაცემა, არამედ ისინი მხოლოდ მოსაჩვენებლად იქნა დადებული) და, ამავდროულად, გარიგებები თვალთმაქცურია (მათ უნდა დაეფარათ მეორე მოპასუხის რეალური მეანაბრეობა). გარიგების მოჩვენებითად და თვალთმაქცურად აღიარების შემთხვევაში გამოირიცხება დასკვნა, რომ მოჩვენებითი გარიგების მხარემ (ამ შემთხვევაში მეოთხე მოპასუხემ) თანხები მიიღო. რა იყო მოჩვენებითი გარიგებების დადების საფუძველი? ეს იყო კრედიტორ ა-ის ფინანსური პრეტენზიები მეორე მოპასუხის მიმართ. 18.10.2012 წლის სააღსრულებო ფურცელი მეორე მოპასუხის ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესახებ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბანკში მის დეპოზიტს დაკარგვის საფრთხე შეექმნა. ამიტომაც, 12.11.2012 წლის მოთხოვნის უფლების დათმობის მოჩვენებითი ხელშეკრულებით მეორე მოპასუხემ ანაბარზე მოთხოვნის უფლება შვილს – მესამე მოპასუხეს დაუთმო. 19.11.2013 წლის სააღსრულებო ფურცელი ადასტურებს იმას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.02.2013 წლის გადანყვეტილება საქმეზე №2/13352-12 კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 30 სექტემბერს. ეს მტკიცებულება საქმისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ხსნის, თუ რა გახდა მესამე მოპასუხისაგან მეოთხე მოპასუხის სახელზე ანაბრის თვალთმაქცური გარიგების მეშვეობით გადატანის საფუძველი. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ზემოაღნიშნული მტკიცებულებანი და არგუმენტები, რითიც დაარღვია სსსკ-ის 105.2 მუხლი.

15. გარდა ამისა, გაუგებარი რჩება სააპელაციო სასამართლომ დაადგინა თუ არა ბანკის იურიდიული ინტერესი დავის საგნის (მეორე და მესამე სასარჩელო მოთხოვნების) მიმართ. სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც დავის საგნის მიმართ ბანკის იურიდიული ინტერესი უარყო, ხოლო, მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ ბანკის სარჩელი მე-2 და მე-3 სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის (და არა იურიდიული ინტერესის არარსებობის) გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა კასატორის არგუმენტების გაცნობის შემდეგ მიდის დასკვნამდე, რომ ამ კუთხით მას დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარუდგენია.

18. მოსარჩელეთა მოთხოვნა იმ ზიანის ანაზღაურებაა, რომელიც მათ მიადგათ პირველი და მეორე მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. ეს სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), ამავე კოდექსის 998-ე მუხლის (1. თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. 2. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლების დანაწესიდან.

19. კანონით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი).

20. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მეორე მოპასუხისათვის ანაზღაურე ტარიფი – წლიური 12% ბანკის სატარიფო კომიტეტმა დაადგინა, ისევე, როგორც მეოთხე მოპასუხის ანაზღაურე. კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილებები დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, რომელთაგან არცერთს არ წარმოად-

გენს ფილიალის მმართველი. რაკი სარგებლის ოდენობა განსაზღვრულია თვით მოსარჩელე ბანკის სატარიფო კომიტეტის მიერ, არ დასტურდება მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

21. პალატა განმარტავს, რომ „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლზომიერი ქმედება კი, არა მარტო სამართლის ნორმათა მოთხოვნების დაცვას გულისხმობს, არამედ ზოგად მოვალეობას, რომ პირმა თავისი ქმედება/ურთიერთობა ადამიანებისა და საგნების მიმართ ისე წარმართოს, რომ არავინ და არაფერი დააზიანოს. ამდენად, გულისხმიერების სტანდარტის დარღვევისა და სავალდებულო ქცევის წესიდან გადახვევის საფუძველზე ქმედება შესაძლოა, მართლსაწინააღმდეგოდ მივიჩნიოთ. შედეგის მართლწინააღმდეგობისაგან განსხვავებით, როდესაც მართლწინააღმდეგობას განაპირობებს აბსოლუტური უფლების უშუალო დარღვევა, თავად ქმედების მართლწინააღმდეგობისათვის განმსაზღვრელია ზიანის მიმყენებლის ვალდებულების ფარგლები – სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, შეესრულებინა ან თავი შეეკავებინა გარკვეული მოქმედებისაგან, რათა თავიდან აეცილებინა ზიანი.

22. იმ პირობებში, როდესაც პროცენტის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება პირველი მოპასუხის უფლებამოვალეობებში არ შედიოდა და ის რამდენიმე კაცისაგან ჩამოყალიბებულმა კომიტეტმა (რომლის წევრი არ იყო ფილიალის მმართველი) მიიღო, ცხადია, მოპასუხეს ბრალად ვერ შეერაცხება იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მას არ მიუღია და ვერც ამ გადაწყვეტილების შედეგად დამდგარ ზიანზე ვერ იქნება პასუხისმგებელი.

23. რაც შეეხება სადავო გარიგებათა მოჩვენებითობის საფუძვლით ბათილობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითია გარიგება, როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამომვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი, ე.ი. ახდენენ გარეგნულად გამოხატულის მიღწევის სიმულაციას. მოჩვენებით გარიგებას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი, ის დადებულია მოსაჩვენებლად და, მეორე, მხარეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის განზრახვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს (შდრ: სუსგ №ას-976-908-2017, 22 იანვარი, 2018 წელი, პპ: 24-26).

24. მოჩვენებითი გარიგების მიზანი, როგორც წესი, მესამე პირის

მოტყუებაა. ეს მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ისე სახელმწიფოც. სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). სავალდებულო არ არის მოჩვენებითი გარიგების მიზანი ყოველთვის იყოს მესამე პირის მოტყუება. მოჩვენებითი გარიგებად მიჩნევისათვის გადამწყვეტია ფაქტი, რომ მხარეებს არა აქვთ გარიგებაში მითითებული შედეგის განზრახვა, მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებული ფასის გადახდა. თუ შეძენილი უძრავი ქონებით არ სარგებლობენ, ეს არ არის საკმარისი საფუძველი ამ გარიგების მიჩნევისათვის მოჩვენებითად.

25. მტკიცების ტვირთი მოჩვენებითი გარიგებების შემთხვევაში აწევს იმ პირს, ვინც ამტკიცებს, რომ არსებობს მოჩვენებითი გარიგება ანუ, მას ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება. სასამართლოსათვის აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქციური გარიგების შესახებ შეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. მაშასადამე, სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული საფუძვლით გარიგების მოჩვენებითობის ინტერესი შესაძლებელია ჰიპოთეტურად გააჩნდეს იმ პირს, რომლის მოტყუებასაც მიზნად ისახავს გარიგებაში მონაწილე მხარე.

26. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილია იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ქმნის გამოყენებული ნორმის (სსკ-ის 56.1 მუხლის) შემადგენლობას, ვინაიდან, როგორც განიმარტა, მოჩვენებითია გარიგება, როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე (მოქმედებდნენ შეთანხმებით), რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მოჰყვებს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი. აქედან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, იმის თაობაზე, რომ ამ საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლების მქონეა არა თავად გარიგებაში ნების გამომვლენი მხარე, არამედ პირი, რომლის უფლებაც ირღვევა ამგვარი ნების შეთანხმებული გამომვლენის შედეგად.

27. განსახილველ საქმეზე, როგორც თავად მოსარჩელე უთითებს, მეორე მოსარჩელემ მოჩვენებითი გარიგებები გააფორმა სხვა – მესამე პირის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებისათვის თავის ასარიდებლად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია ამ გარიგების ბათილობის ინტერესი. ცალკე მსჯელობის საგანია, დასტურდებოდა თუ არა რელევანტური მტკიცებულებებით ბათილობის საფუძ-

ვლად მითითებული გარემოებები, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიულ მიზანს, სხვათა უფლებების დაცვა, მათი იურიდიული ინტერესის განხორციელებადობა წარმოადგენს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არა ყოველგვარი საფუძვლითაა შესაძლებელი გარიგების ბათილად ცნობა (შდრ. სუსგ №ას-794-2020 24 დეკემბერი, 2020 წელი; №ას-1470-2018 15 თებერვალი, 2019 წელი).

28. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ გარიგებების მოჩვენებითად და თვალთმაქცურად მიჩნევას მნიშვნელობა აქვს მეორე და მეოთხე მოპასუხეთა მიმართ ბანკის მოთხოვნებისა და სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისათვის. როგორც სარჩელის, ისე საკასაციო საჩივრის შინაარსიდან დგინდება, რომ ამაში კასატორი მოიაზრებს, სწორედ, ე.წ. ფარული გარიგებებით ბანკისათვის მიყენებულ ზიანს, რაც დეპოზიტზე მაღალი პროცენტების დარიცხვით გამოიხატა (ბანკის პირველი სასარჩელო მოთხოვნა). როგორც დადგინდა, ბანკის მითითებული ზიანისათვის პასუხისმგებელი არ იყო არც პირველი და არც მეორე მოსარჩელე, ამდენად, ამ მიმართებითაც ბანკის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 19 თებერვლის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად
დამღგარი ზიანის ანაზღაურება**

**გადანყვეთილება
საქართველოს სახელით**

№ას-969-2020

30 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქუჩი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით მ.ა.ღ.ის (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი გ. პ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან აპელანტი) წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 7 469 ლარის გადახდა დაეკისრა.

2. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა ავტომობილის საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანის ხარჯის – 161 ლარის და სამედიცინო დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარჯის 508 ლარის გადახდა.

4. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. მოპასუხე, ავტოსატრანსპორტო საშუალებით „NISSAN LEAF“, სახელმწიფო ნომრით ..., 2018 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 09:20 საათზე, მოძრაობდა თბილისში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩაზე, ილია ჭავ-

ჭავჭავის გამზირის მხრიდან გაბაშვილის ქუჩის მიმართულებით, ავტომანქანის მობრუნებისას წინა მარჯვენა ნაწილში შეეჯახა საპირისპიროდ მოძრავ ავტომანქანას „TOYOTA AQUA“, სახელმწიფო ნომრით ..., (შემდეგში: ავტომანქანა ან ავტომობილი), რომელსაც მართავდა მოსარჩელე (ირანის მოქალაქე), შედეგად მოსარჩელე დაეჯახა ლითონის ფურცლის ღობეს, იგი გადაყვანილ იქნა შპს „ს.ხ. სახელობის კლინიკაში“;

4.2. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი მოპასუხე და მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითარი, თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოიძეა შეწყდა;

4.3. ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) ავტოსადგომზე, ევაკუატორის მომსახურების ხარჯი – 161 ლარი მოსარჩელემ აანაზღაურა;

4.4. მოსარჩელის ჯანმრთელობის შესახებ ცნობის თანახმად, გამოკვლევის შედეგად პაციენტს, დაუდგინდა მაჯისა და მტევნის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა. მარცხნივ – მაჯისა და მტევნის სხვა ნაწილების დაჟეჟილობა, წინამხრის სხვა ზედაპირული ტრავმა; მარჯვნივ – წინამხრის სხვა ზედაპირული ტრავმა. მარცხენა ზედა კიდურის ფიქსატორით იმობილიზაციასა და მარჯვენა ზედა კიდურის მოსვენებითი რეჟიმისა და კიდურების განტვირთვაზე მიეცა რეკომენდაციები. მკურნალობის ხარჯი – 450 ლარი, ჭრილობის შეხვევა-დამუშავებისთვის – 20 ლარი, ნაკერების მოხსნისთვის – 20 ლარი და მედიკამენტების ღირებულება – 18 ლარი მოსარჩელემ აანაზღაურა.

5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრით სადავო არაა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე (აპელანტი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 999-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირია, საჩივარში მხოლოდ დაკისრებული ზიანის ოდენობაა შედავებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საკვლევ გარემოებათა წრეს, დაკისრებული და მოთხოვნილი ზიანის ოდენობის მართებულობის შეფასება წარმოადგენდა.

6. სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზ-

ლაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

7. მოპასუხე არ უარყოფს ფაქტს, რომ 2018 წლის 18 ოქტომბერს ნამდვილად მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, სადაც მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა დაზიანდა, თუმცა მან შესაგებელში მიყენებული ზიანის ოდენობა გახადა სადავოდ და ასევე განაცხადა, რომ მისთვის, როგორც სტუდენტისთვის მოთხოვნილი თანხის გადახდა შეუძლებელი იყო.

8. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის სამართლიანი გადანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, მოსარჩელეს ზიანის ოდენობის უტყუარად დადასტურების ვალდებულება ეკისრებოდა, აღნიშნული იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიადგა. ამიტომ, კრედიტორი ვალდებულია კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით მოახდინოს ზიანის მოცულობის შესაძლებელი მინიმალიზაცია. დანაკლისის განსაზღვრის სტანდარტი საბაზრო ღირებულების შეფასების კრიტერიუმით შემოიფარგლება.

9. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელთან ერთად, მტკიცებულების სახით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაა წარმოდგენილი, სადაც მითითებულია, რომ ავარიის შედეგად მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანაზე მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა 6800 ლარს შეადგენს. საქმის მასალებში საგზაო შემთხვევის დათვალიერების ოქმი, დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სურათები, ექსპერტიზის დასკვნა ან/და სხვა ისეთი რელევანტური მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა შეესწავლა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მოსარჩელის მანქანაზე მიყენებული დაზიანებები, საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის.

10. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალებში არსებული არც ერთი დოკუმენტით არ დგინდება ავტოავარიის შედეგად, თუ რა დაზიანებები მიადგა მოსარჩელის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას და რა იყო მიყენებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად საჭირო საბაზრო ღირებულება. შესაბამისად, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ იკვეთება, კერძოდ, ცალსახად არ დგინდება, რომ დადგენილებაში მითითებული დაზიანების ღირებულება ავარიის შედეგად იყო გამოწვეული.

ამასთან ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების პრინციპიდან გამომდინარე (სსკ-ის 115-ე მუხლი) დაზარალებულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ზიანის ოდენობა გონივრულ ოდენობამდე შემცირდეს, მათ შორის, ზიანის აღმოსაფხვრელად არ მიმართოს ბაზარზე არსებულ ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ კომპანიას.

11. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით სსკ-ის 992-ე, 999-ე და 408-ე მუხლების სამართლებრივი დისპოზიციები განსახილველ შემთხვევაშიც რელევანტურია, ამიტომ მათ შინაარსს სასამართლო ხელახლა აღარ განმარტავს. ამ მიმართებითაც მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უნდა დგინდებოდეს, რაც განკუთვნადი მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს. საქმის მასალებში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ სატრანსპორტო საშუალება საჯარიმო სივრცეში იქნა გადაყვანილი, ხოლო დაზიანებული ავტომანქანის მძღოლის (მოსარჩელეს) ჯანმრთელობას ზიანი მიაღდა. გარდა აღნიშნული მტკიცებულებებისა, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იქნა ქვითარი, რომლითაც დადგინდა, რომ 2018 წლის 18 ოქტომბრის ოქმით სპეციალურად დაცული (საჯარიმო) ავტოსადგურზე მოსარჩელის მართვის ქვეშ მყოფი ა/მანქანა მოთავსდა. ამავე მტკიცებულებით მოსარჩელის მიერ ევაკუატორით მომსახურების სერვისზე 161 ლარის გადახდის ფაქტი დასტურდება.

12. კლინიკაში მოსარჩელემ მკურნალობის ღირებულების საფასური 450 ლარი, ჭრილობების შეხვევა-დამუშავებისთვის 20 ლარი, ნაკერების მოხსნისთვის 20 ლარი, ასევე მედიკამენტების შეძენისთვის 18 ლარი, გადაიხადა.

13. ზემოაღნიშნულის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მხრივ მოსარჩელემ მასზე დაკისრებული მტკიცებების ტვირთი ნაწილობრივ დასძლია, წარმოადგინა რელევანტური მტკიცებულებები, რომლითაც მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დადგინდა, რაც მოპასუხისთვის 405 ლარისა და 161 ლარის დაკისრების წინაპირობა მართებულად გახდა.

14. მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

15. კასატორის მითითებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, სადავო არ გაუხდია სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა ავტომობილისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობის ნა-

ნილში. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა არამართებულია და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად ვერ გამოდგება.

16. კასატორის მტკიცებით, ავტოსაგზაო შემთხვევის ჩადენაში მოპასუხის მიმართ ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის დაკისრება, ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად სცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიიღო არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასებისა და მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე.

სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

19. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

20. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალი არიან

მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს –ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი –ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64) – შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.

21. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცებულების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენება, რომლებიც თანასწორად უზრუნველყოფს მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების რეალიზაციას.

22. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას მოპასუხის არაკვალიფიციური შედავების თაობაზე და მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლოს წინამდებარე გადანყვეტილების მე-5 და მე-7 პუნქტებში ასახული მსჯელობა გადანყვეტილების მე-9 და მე-10 პუნქტში ასახულ სამართლებრივ დასკვნას ეწინააღმდეგება და არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან.

23. საკასაციო სასამართლო ზემოთ მოხმობილი მტკიცების ტვირთის დაძლევის თაობაზე სამართლებრივი მსჯელობის გათვალისწინებით განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დადგენილია, მოპასუხე მას სადავოდ არ ხდის (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი, იგი არ ეთანხმება ზიანის ოდენობას, თუმცა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების (სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება) საწინააღმდეგოდ, სადაც ზიანის ოდენობაა მითითებული, მოპასუხეს არც ერთი მტკიცებულება არ წარუდგენია, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა, რომ იგი სტუდენტია და თანხის გადახდას ვერ შეძლებს. სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების მიხედვით: „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები“. სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017 წ.). მოპასუხის არაკვალიფიციური შედავება მარტოოდენ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების უარყოფას მოიცავს, რასაც არ ახლავს დასაბუთება, თუ

რა ფაქტებსა და გარემოებებს უპირისპირებს მოპასუხე მოსარჩელის პრეტენზიებს, ამ პირობებში კი მოპასუხის არასაკმარისი შედაგება და მართოდენ ზეპირი ახსნა-განმარტება ვერ გადაწონის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას ზიანის ოდენობის დადგენის თაობაზე, რაც კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 999.1, 408.1, 409-ე მუხლებია. ამასთან, მოსარჩელემ მოთხოვნის წინაპირობების საფუძველიანობა შესაბამისი მტკიცებულებებით დაადასტურა, რაც ვერ გააქარწყლა მოპასუხემ (სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1361-2018, 28.06.2021წ; №ას-630-2019, 30.09.2020წ; №ას-1464-2018, 30.04.2020წ; №ას-1280-2019, 30.10.2019წ.).

25. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედაგებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი N5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სასამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდაგებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპ-

როცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადანაცველისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

26. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანაცვეტილება გაუქმდეს და ახალი გადანაცვეტილებით მოსარჩელის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდეს.

27. სსსკ-ის 53.3 მუხლის საფუძველზე მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრება სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რადგან მოსარჩელე მისი გადახდისაგან გათავისუფლებული იყო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ.ა.ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის გადანაცვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანაცვეტილება;
3. მ.ა.ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხე გ. პ-ს (პ/ნ ...) მოსარჩელე მ.ა.ლ-ის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს 7 469 (შვიდი ათას ოთხას სამოცდაცხრა) ლარის გადახდა.
5. გ. პ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს, მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის და საკასაციო სასამართლოებში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 597,52 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად
დამღვარი ზიანის ანაზღაურება**

**გადანყვეთილება
საქართველოს სახელმით**

№ას-1567-2022

27 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „თ.ე. კ-ამ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ნ. ჩ-ძის მიმართ, ზიანის – 4 327 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ, ასევე, იშუამდგომლა მოპასუხისთვის 602 ლარის ოდენობით ექსპერტიზის ღირებულების (საპროცესო ხარჯის) დაკისრების თაობაზე.

2. მოსარჩელის განმარტებით, 2021 წლის 6 ოქტომბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, რომელიც მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული, დაზიანდა კომპანიის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის შეკეთების ხარჯმაც 4 327 ლარი შეადგინა.

3. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო; ამასთან, მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლებმა სატელეფონო ნომრები გაცვალეს, თუმცა ნ. ჩ-ძეს არავინ დაუკავშირდა, ხოლო მის ზარებს მეორე მხარე არ პასუხობდა. სასამართლოს მთავარ სხდომაზე კი, მოპასუხემ აღნიშნა, რომ ავტომობილის შეკეთების ხარჯი, დაახლოებით, 800 ლარის ღირებულების იქნებოდა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ნ. ჩ-ძეს შპს „თ.ე. კ-ის“ სასარგებლოდ ზიანის – 800 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 9,24 ლარის და ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებლად გაწეული ხარჯის – 111,24 ლარის გადახდა დაეკისრა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 2021 წლის 6 ოქტომბერს, თბილისში, ... ქუჩაზე მოძრაობისას მოპასუხის მართვის ქვეშ მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება (მარკა/მოდელი – „TOYOTA LANDCRUISER PRADO 2.7 2015“, სახელმწიფო ნორმით – „...“) შეეჯახა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას (მარკა/მოდელი – „TOYOTA COROLLA“, სახელმწიფო ნორმით – „...“), რომელსაც ავტოსაგზაო შემთხვევისას მართავდა მოსარჩელესთან შრომით ურთიერთობაში მყოფი, უფლებამოსილი პირი – ლ. მ-ია;

5.2. სსიპ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ავტოსაგზაო შემთხვევაზე პასუხისმგებელ პირად მიიჩნია მოპასუხე – 2021 წლის 6 ოქტომბერს გამონერილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის საფუძველზე, ნ. ჩ-ე დაჯარიმდა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის შესაბამისად, 250 ლარით.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. 2021 წლის 6 ოქტომბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანაზე მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრა მოსარჩელის მიერ დამოუკიდებლად; ავტომობილის შეკეთებამდე მოპასუხეს არ მისცემია საშუალება, მოეხდინა დაზიანებული ავტომობილის ალტერნატიული შეფასება ან/და ჩაბმულიყო ზიანის ოდენობის დადგენის პროცესში; მოსარჩელემ ვერ დაადასტურა რეალური ზიანის დადგენის მიზნით მოპასუხესთან გამჭვირვალე კომუნიკაციის არსებობის ფაქტი, ან რომ მოპასუხემ საკუთარი ნებით თქვა უარი პროცესში ჩართულობაზე;

6.2. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ზიანის ოდენობა 800 ლარს შეადგენდა. ხსენებული გარემოების დადგენისას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მოპასუხის განმარტებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ წარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 11 ნოემბრის დასკვნა, რომლითაც დაზიანებულ ავტომობილზე მიყენებული ზიანის ოდენობა განსაზღვრული იყო 5 017 ლარით. მოსარჩელემ, ასევე, წარადგინა შპს „ტ.ც.თ-ას“, როგორც ავტორიზებული შემკეთებლის, 2021 წლის 26 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის შესაბამისადაც, დაზიანებულ ავტომობილზე მიყენებული ზიანი 4 327 ლარს შეადგენდა. სასამართლომ დასახელებული მტკიცებულებები სათანადოდ არ მიიჩნია, რადგან ექსპერტიზის დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილ იქნა ავტოსაგზაო შემთხვევიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ – 2021 წლის 11 ნოემბერსა და 2021 წლის 26 ნოემბერს. მოსარჩელეს კი

არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ ამ დროის განმავლობაში დაზიანებული ავტომობილის სარგებლობა იყო შეჩერებული (მაგ. ავტომობილის დაცულ ავტოსადგომზე გადაყვანის მტკიცებულება) და ავტოსაგზაო შემთხვევიდან მისი შეფასების პერიოდამდე შეუძლებელი იქნებოდა მისთვის კვლავ ზიანის მიყენება.

7. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოპასუხემ სადავოდ არ გახადა ზიანის ანაზღაურების წინაპირობების ერთობლიობაში არსებობა, ხოლო ზიანის ოდენობა 800 ლარს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მხოლოდ 800 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება შპს „თ.ე. კ-ამ“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შპს „თ.ე. კ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავოდ არ იყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე მუხლებით გათვალისწინებული, ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა, მოპასუხემ მხოლოდ ზიანის ოდენობა გახადა სადავოდ.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 11 ნოემბრის დასკვნაზე, რომლის თანახმად, დაზიანებულ ავტომობილზე მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენდა 5 017 ლარს. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომობილის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მისი ძარის გადაკრულობის უკანა მარცხენა ნაწილზე აღინიშნებოდა ავარიული ხასიათის მექანიკური დაზიანების კვალი, კერძოდ, დეფორმირებული იყო უკანა პანელი, უკანა მარცხენა ფრთა; დაზიანებული იყო უკანა მარცხენა ფრთის მაშუქი, უკანა ბამპერის მარცხენა სამაგრი, მაშუქის სამაგრი, უკანა მარცხენა საშხეფური. დასკვნის თანახმად, აღნიშნული ავტომანქანა იყო შპს „ტ.ც.თ-ას“ საგარანტიო მომსახურებაზე, რის გამოც გათვალისწინებულ იქნა დამკვეთის მიერ მიწოდებული, შპს „ტ.ც.თ-ას“ პრეისკურანტის ფასები, რომელთა დასახელება, ღირებულებების გათვალისწინებით იქნა მითითებული. ჯამში შესაცვლელი დეტალის ღირებულებამ შეადგინა – 2 327 ლარი, ხოლო ცვეთის გათვალისწინებით

– 2 257 ლარი, ამასთან, ავტომობილზე ჩასატარებელი აღდგენითი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 760 ლარი, ე.ი. სულ ჯამში 5 017 ლარი.

12. სააპელაციო პალატამ, ასევე, მიუთითა შპს „ტ.ც.თ-ას“ მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლის შესაბამისად, დაზიანებულ ავტომობილზე მიყენებული ზიანის ოდენობა 4 327 ლარს შეადგენდა.

13. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელის განმარტებით, ავტომობილი 2021 წლის 30 აგვისტოს შეიძინა სალიზინგო კომპანია სს „ბ. ლ-ის“ მეშვეობით შპს „ტ.ც.თ-ასგან“. მას ავტომობილთან ერთად გადაეცა საგარანტიო და სერვის ნიგნაკი. საგარანტიო წესების და პირობების თანახმად, რეკომენდებული იყო, ავტომობილი შეკეთებულიყო მხოლოდ „ტოიოტას“ ავტორიზებულ დილერთან, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, საგარანტიო პრეტენზია არ დაკმაყოფილებულიყო. მოსარჩელემ 2021 წლის 1 დეკემბერს, დამატებითი განმარტების მიღების მოთხოვნით, მიმართა შპს „ტ.ც.თ-ას“, არაავტორიზებულ სერვის ცენტრში ავტომობილის შეკეთების შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნებოდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, გავრცელდებოდა თუ არა საგარანტიო პირობები სატრანსპორტო საშუალებაზე. შპს „ტ.ც.თ-ას“ 2021 წლის 7 დეკემბრის პასუხის თანახმად, არაავტორიზებულ სერვის ცენტრში ავტომობილის შეკეთება შეიძლება გამხდარიყო საგარანტიო პრეტენზიების უარყოფის საფუძველი.

14. სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასებისას, აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილი იყო ავტოსაგზაო შემთხვევიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ – 2021 წლის 11 ნოემბერსა და 26 ნოემბერს; არ დასტურდებოდა, რომ მათში მითითებული სათადარიგო ნაწილების და სახარჯი მასალების გამოყენების აუცილებლობა არსებობდა კონკრეტულად 2021 წლის 6 ოქტომბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად; გარდა ამისა, ავტომანქანის შეკეთება მოხდა მოსარჩელესა და შპს „ტ.ც.თ-ას“ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, რომელსაც მესამე პირებისათვის მბოჭავი ძალა ვერ ექნებოდა; უფრო მეტიც, მოსარჩელის მიერ ავტომანქანის შეკეთებამ მოპასუხეს მოუსპო შესაძლებლობა, თავად განეხორციელებინა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის შეფასება. ასეთ პირობებში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უფრო სარწმუნო იყო მოპასუხის განმარტება ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ოქტომბრის განჩინება შპს „თ.ე.კ-ამ“ საკასაციო

ნესით გაასაჩივრა.

16. კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდებოდა როგორც ავტომანქანის შპს „ტ.ც.თ-აში“ შეკეთების აუცილებლობა, ისე განუვლი ხარჯის ოდენობა; მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა არა წარდგენილ წერილობით მტკიცებულებებზე, არამედ მოპასუხის განმარტებაზე. საკასაციო საჩივრის მიხედვით, გარდა იმისა, რომ მოპასუხის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტება არ უნდა გამხდარიყო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხეს შესაგებელში, ასევე, მოსამზადებელ სხდომაზე სათანადო შედავება არც წარუდგენია. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და, მართალია, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების დადგენისთვის აუცილებელ მტკიცებულებებზე მიუთითა, მაგრამ არასათანადოდ შეაფასა ისინი. აქედან გამომდინარე, კასატორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, ასევე, მოპასუხისთვის საპროცესო ხარჯის დაკისრებას ითხოვს.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 20 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2023 წლის 29 მაისის განჩინებით – მიჩნეულ იქნა დასაშვებად; მხარეებს განემარტათ, რომ საჩივარი განიხილებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია და-

ზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. შესაბამისად, პირისთვის ზიანის მიყენება ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია. „სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის №ას- 1376-2019 განჩინება). გარდა ზიანის არსებობისა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისთვის, აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობისა და სამართალდამრღვევის ბრალეულობის დადასტურება. ამასთან, ვინაიდან „სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს, ბრალის მიუხედავად, ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელთაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ივნისის №ას- 1361-2018 განჩინება).

21. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ რადგან ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობის დადასტურებას, მნიშვნელოვანია, შეფასებულ იქნეს მსგავს საქმეებზე მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი. მტკიცების ტვირთს კი აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამ-

ტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტებული, რომ მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ივნისის №ას-1361-2018 და 2019 წლის 22 მარტის №1298-2018 განჩინებები, 2021 წლის 25 ივნისის №ას-1198-2019 გადაწყვეტილება).

22. ზიანის ანაზღაურების დავებში, მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ისე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის №ას-1365-2019 და 2015 წლის 17 აპრილის №ას-406-383-2014 განჩინებები). ზიანის ოდენობის ზუსტ განსაზღვრას კი დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა ნონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშეება; ადეკვატურობა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის №ას-1376-2019 განჩინება).

23. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ თუკი მოსარჩელე სასამართლოში წარადგენს ზიანის მიყენების ფაქტის დამადასტურებელ და ზიანის ოდენობის განმსაზღვრელ მტკიცებულებებს, ასეთ პირობებში მოპასუხემ უნდა წარადგინოს საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები; თუმცა მოპასუხემ შედავება და მტკიცებულებების წარდგენა უნდა განახორციელოს დროულად. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის

მიხედვით, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. სამოქალაქო სამართალწარმოებისას კი მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენას გააჩნია არა მხოლოდ პროცესუალური დანიშნულება და ემსახურება არა უბრალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავიდან აცილებას, არამედ „მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ნოემბრის №ას-334-2021 გადაწყვეტილება). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლიდან გამომდინარე კი, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.

24. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადასტურებულია 2021 წლის 6 ოქტომბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შპს „თ.ე.კ-ის“ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების ფაქტი. მოპასუხენ. ჩ-ძე სადავოდ არ ხდის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისა და მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს. ამდენად, არსებობს ზიანის ანაზღაურების ყველა წინაპირობა.

25. რაც შეეხება ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობას, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ კასატორის (მოსარჩელის) მიერ წარმოდგენილია როგორც ექსპერტიზის დასკვნა, ისე ხარჯის რეალურად განევის დამადასტურებელი დოკუმენტი; კერძოდ,

სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 11 ნოემბრის დასკვნის თანახმად, დაზიანებულ ავტომობილზე მიყენებული ზიანის ოდენობა 5 017 ლარს შეადგენდა; შპს „ტ.ც.თ-ას“ მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად კი, დაზიანებულ ავტომობილზე მიყენებული ზიანის ოდენობამ 4 327 ლარი შეადგინა. ამრიგად, მოსარჩელემ უზრუნველყო ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, სააპელაციო პალატამ საქმის გადაწყვეტისას მიუთითა ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე და დაადგინა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნითა და მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული მოცემულობები, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულებები ზიანის ოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა, რადგან სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ დასტურდებოდა, რომ 2021 წლის 26 ნოემბერს (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას) განეული ხარჯი სწორედ 2021 წლის 6 ოქტომბრის ავტოსაგზაო შემთხვევას უკავშირდებოდა; ასევე, მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთებით მოპასუხეს მოესპო ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა; შპს „ტ.ც.თ-ასა“ და მოსარჩელეს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას მესამე პირებისთვის მბოჭავი ძალა არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა 4 327 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო მოპასუხის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტების გათვალისწინებით, ხარჯი 800 ლარით განისაზღვრა.

27. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ შეფასებებს, ვინაიდან არც შესაგებლით, არც სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მიერ განეული ხარჯის სწორედ სადავო ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაზიანების აღმოსაფხვრელად განევის ფაქტი; მოპასუხეს შესაგებელში და მოსამზადებელ სხდომაზე არც განეული ხარჯის ოდენობა გაუხდია სადავოდ, არ წარმოუდგენია კვალიფიციური შედავება, რომ მოთხოვნილი თანხა არ იყო ფაქტობრივი დაზიანებების შესაბამისი; ასევე, მართალია, მოპასუხე შესაგებელში წერდა, რომ სურდა ავტომანქანის შეკეთება, მაგრამ ვერ მოხერხდა მხარეთა სატელეფონო კომუნიკაცია, თუმცა, ერთი მხრივ, ეს გარემოება არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით, მეორე მხრივ კი, მოპასუხეს, ხსენებული მარტივი შედავების გარდა, არ აღუნიშნავს, რომ სურდა ექსპერტიზის ჩატარება, რაც დღეის მდგომარეობით შეუძლებელია.

28. აქედან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს საპ-

როცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაგებელსა და საქმის მოსამზადებელ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია განუღო ხარჯსა და ავტოსაგზაო შემთხვევას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი, არ მიუთითებია დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებასა ან ასეთის სურვილის არსებობაზეც კი, არ წარმოდგენია კვალიფიციური შედეგება, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სამართლოს განმარტებებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების ნაწილში. ამასთან, მართალია, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სამართლოს განმარტებას, რომ შპს „ტ.ც.თ-ასა“ და მოსარჩელეს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას მესამე პირებისთვის მბოჭავი ძალა არ გააჩნდა, თუმცა მსგავს განმარტებას დავის გადაწყვეტისთვის – სარჩელით მოთხოვნილი ზიანის ოდენობის შემცირებისთვის მნიშვნელობა ექნებოდა, თუ დადასტურდებოდა, რომ ფაქტობრივად განუღო ხარჯი, შპს „ტ.ც.თ-ასაში“ განუღო მომსახურების ღირებულება იყო გადაჭარბებული და შესაძლებელი იყო დაზიანების ნაკლები ხარჯით აღმოფხვრაც. მსგავსი მტკიცებულება კი საქმეში წარმოდგენილი არ არის და არც პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე ყოფილა სათანადოდ შედეგებული.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, მოპასუხეს კი სანინალმდეგო გარემოებებზე დროულად და კვალიფიციურად არ მიუთითებია და არც სათანადო მტკიცებულებები წარმოდგენია. მაშასადამე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამასთან, ვინაიდან სააპელაციო სამართლომ საქმეზე გამოიკვლია ყველა საჭირო მტკიცებულება და გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია საქმის გადანწყვეტისთვის აუცილებელი ყველა გარემოება, საკასაციო პალატა მხოლოდ მათ სამართლებრივ შეფასებას არ იზიარებს, არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საჭიროება და საქმეზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება – ნ. ჩ-ძეს შპს „თ.ე.კ-იის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზიანის – 4 327 ლარის ანაზღაურება.

30. რაც შეეხება საპროცესო ხარჯის განაწილებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,

თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, ხსენებული კოდექსის 37-ე და 44-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯებს განეკუთვნება სახელმწიფო ბაჟი და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები. ამდენად, ვინაიდან სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ჯამში – 300 ლარის და ექსპერტიზის ჩატარებისთვის განეული ხარჯის – 602 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. შპს „თ.ე. კ-იის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „თ.ე. კ-იის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. 6. ჩ-ძეს (პ/ნ ...) შპს „თ.ე. კ-იის“ (ს/კ ...) სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის – 4 327 ლარის ანაზღაურება;
5. 6. ჩ-ძეს (პ/ნ ...) შპს „თ.ე. კ-იის“ (ს/კ ...) სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ჯამში – 300 ლარის და ექსპერტიზის ჩატარებისთვის განეული ხარჯის – 602 ლარის გადახდა;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნაგებოჭიდან გამომდინარე მომეტაბული საზრთხით
გამონვეული ზიანი**

**გადანყვეტილბა
საქართველოს სახელით**

№ას-220-2024

28 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ს-ძემ (შემდგომ – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ე-ის (შემდგომ – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) მიმართ ზიანის, 6458.30 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხის ბინიდან მის უძრავ ქონებაში წყალი არაერთხელ ჩავიდა. წყლის ჩამოსვლის შედეგად გამოწვეული დაზიანებების შესაკეთებელი სამუშოების ღირებულება, 6458.30 ლარია, რაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს.

მოპასუხის შესაგებელი

3. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ წყალი უმნიშვნელოდ მართლაც ჩავიდა, მაგრამ არა იმდენი, მოსარჩელისათვის რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა.

4. მოპასუხის მითითებით, ერთადერთი, რაც ექსპერტიზამ დაადგინა, არის ის, რომ ჭერსა და კედლებზე არსებული ლაქები გამოწვეულია წყლის ჩადინებით. რაც შეეხება სხვა დაზიანებებს, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა არაერთი გარემოების გამო, ვერ მოხერხდა, რისი გათვალისწინებითაც, მისთვის 6458.30 ლარის დაკისრება, რომელიც მოსარჩელის ბინაში არსებული ყველა დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხაა, დაუსაბუთებელი და უკანონოა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 7 მარტის გადანყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილ-

და; მოპასუხეს დაეკისრა 6458.30 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯის, 200 ლარის, გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მოპასუხემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 992-ე და მე-1000 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელემ თავისი მტკიცებების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა (რომელიც ადასტურებს მოსარჩელის ბინაში არსებული დაზიანებების გამოწვევას მოპასუხის ბინიდან წყლის ჩადინებით. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: ბინის ფართში შეინიშნება არაერთი დაზიანება, კერძოდ: სამზარეულო ოთახისა და საბაზანოს ფართში კედელზე მოწყობილ კაფელზე აღინიშნება ბზარები, რამდენიმე ფილა გატეხილია, კედლები დეფორმირებულია და გაკრულ შპალერზე სინესტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური შეფერილობის ლაქებია, ასევე, სინესტისა და სისველისაგან დაზიანებული და აყრილია ლამინატის ფილები, ჭერზე აღინიშნება წყლის ჩამოდინების კვალი და შრობის შემდგომ სინესტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური შეფერილობის ლაქები. ქ. თბილისში, ... არსებული დაზიანებების აღმოფხვრისათვის საჭირო სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 6458.30 ლარი), რომლის საპირწონე ფაქტების დადასტურების ვალდებულება აპელანტის (მოპასუხის) მტკიცებების ტვირთს წარმოადგენდა, თუმცა მოცემული დავის ფარგლებში მან ვერ უზრუნველყო იმგვარ გარემოებებზე მითითება/მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ დასკვნას გააქარწყლებდა.

9. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არ არის წარმოდგენილი მოპასუხის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი მტკიცებულებები. საყურადღებოა, რომ საქმეში წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერზე ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირებულია წყლის ჩამოსვლის ფაქტი უხვად. ამასთან, საპატრულო პოლიციაში სატელეფონო ზარების აუდიოჩანაწერებითაც დგინდება წყლის დინების ხანგრძლივობა და მოსარჩელის მცდელობა, აღკვეთოს მომდინარე ზიანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინტანციის სასამართლოს

განმარტება იმის თაობაზე, რომ აპელანტის (მოპასუხის) მხოლოდ იმაზე მითითება, რომ შენობა ძველია და ისედაც დაზიანებულია, არ წარმოადგენს არსებით შედავებას მითითებული ფაქტების წინააღმდეგ.

10. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 408-ე და 409-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ დგინდება მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა და ამის შედეგად მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო, ვინაიდან, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, ... არსებული დაზიანებების აღმოფხვრისათვის საჭირო სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 6458.30 ლარი, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების სახით ეს თანხა მართებულად დაეკისრა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

11. ზემოაღნიშნული განჩინება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

12. კასატორის პრეტენზიის მიხედვით, საცხოვრებელ სახლში შეყვანილ წყალს, რომლის ხმარების შედეგად ნამდვილად შეიძლება დაზიანდეს მეზობლის ბინა, თავისი არსითა და მასშტაბით ვერ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ წყალი მიჩნეულ იქნეს მომეტებული საფრთხის წყაროდ, რისი გათვალისწინებითაც, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა დელიქტის ზოგადი ნორმა სსკ-ის 992-ე მუხლი და არა სსკ-ის მე-1000 მუხლი, რომელიც ამძიმებს კასატორის მდგომარეობას.

13. კასატორის მითითებით, საქმის მასალებით არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი 2021 წლის ოქტომბერში წყლის უმნიშვნელო ჩამოდინებასა და მოწინააღმდეგე მხარის ბინაში არსებულ დაზიანებებს შორის. ერთადერთი, რაც ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, არის ის, რომ ჭერზე აღინიშნება წყლის ჩამოდინების კვალი და შრობის შედეგად დარჩენილი სპეციფიკური ლაქები, შესაბამისად, დანარჩენი დაზიანებების მიზეზი ვერ დგინდება. რაც შეეხება დეფორმირებულ ლამინატს, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ზევიდან ჩამოსული წყლისა და არა მოსარჩელის ბინაში წყლის გაჟონვის შედეგია. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ შენობა ავარიულია და ყველა დანარჩენი დაზიანების მიზეზი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემოებით, როგორიცაა, შენობის ხანდაზმულობა და კედლების დაწევა, რისი გათვალისწინებითაც, გაუგებარია, რატომ უნდა გადაიხადოს კასატორმა მოწინააღმდეგე მხარის ბინის სრული რემონტის ღირებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივ-

რებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძველები და მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

16. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას სასამართლოების მხრიდან სამართლებრივი ნორმის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმიდან – სსკ-ის მე-1000 მუხლიდან, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (1. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერგიისაგან, ანდა ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. 2. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია, ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი. 3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებებით. 4. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა), ასე-

ვე, სსკ-ის 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებიდან.

17. პასუხისმგებლობა ნივთიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის ყოველთვის დგება ბრალის მიუხედავად. უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის მე-1000 მუხლი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობის წესს ამკვიდრებს და, განსხვავებით დელიქტური ვალდებულების ზოგადი დანაწესისაგან (სსკ-ის 992-ე მუხლი), ბრალის მიუხედავად, ადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუკი მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციას შედეგად მოჰყვა პირის ან ნივთის დაზიანება (იხ.: სუსგ საქმე №ას-543-518-2016, 23.12.2016წ.). საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას ადამიანის მიერ მასზე სრული კონტროლის შეუძლებლობის გამო. სსკ-ის მე-1000 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, პირი მოვალეა, აუანაზღაუროს დაზარალებულს მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებებით (იხ.: სუსგ №ას-40-37-2015, 24.12.2015წ.). ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს ზიანის დადგომის ფაქტი და ის, რომ ეს ზიანი სწორედ მოპასუხის ნაგებობიდან გამომდინარეობდა (იხ.: სუსგ №ას-90-90-2018, 11.05.2018წ.; №ას-1293-2020, 18.12.2020წ.; №ას-1177-2020, 22.01.2021წ.).

18. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, მოპასუხის ბინიდან მოსარჩელის უძრავ ქონებაში უზვი წყლის ჩამოსვლის ფაქტი, რის საფუძველზეც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოპასუხეს ზიანის, 6458.30 ლარის, გადახდა დააკისრეს, რასაც ეს უკანასკნელი იმ გარემოებაზე მითითებით ხდის სადავოდ, რომ საქმის მასალებით არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი წყლის ჩამოდინებასა და მოსარჩელის ბინაში არსებულ ყველა დაზიანებას შორის, რისი გათვალისწინებაც, მისთვის 6458.30 ლარის დაკისრება, რომელიც მოსარჩელის ბინაში არსებული ყველა დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხაა, დაუსაბუთებელი და უკანონოა.

19. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (წყლის ჩამოსვლის მიზეზებსა და ზარალის ოდენობასთან დაკავშირებით სისპილევან სამხარაულის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 16 ნოემბრის დასკვნის თანახმად, ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისი, ... და დადგინდა შემდეგი: ბინის ფართში შეინიშნება დაზიანებები, კერძოდ: სამზარეულო ოთახისა და სააბაზანოს ფართში კედელზე მოწყობილ კაფელზე აღინიშნება ბზარები, რამდენიმე ფილა – გატეხილია, კედლები დეფორმირებული, კედლებზე გაკრულ შპალერზე აღინიშნება სინესტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური შეფერილობის ლაქები, ასევე, სინესტისა და სისველისაგან აყრილი და დაზიანებულია იატაკზე მოწყობილი ლამინატის ფილები, ჭერზე აღინიშნება ზემოდან წყლის ჩამოდინების კვალი და შრობის შემდგომ სინესტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური შეფერილობის ლაქები. შენობა ხანდაზმული და ავარიულია, განიცდის ფიზიკურ ცვეთას. განმცხადებლის ბინაში არსებული დაზიანებების თვისობრიობის გათვალისწინებით, დგინდება, წყლის ჩადინების შემდგომი ლაქებით გამოწვეული დაზიანებები) მიიჩნევს, რომ ამ დასკვნით უტყუარად დგინდება წყლის ჩადინების შემდგომი ლაქებით გამოწვეული კედლის დაზიანებების არსებობა, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულება კასატორს არ წარუდგენია. რაც შეეხება წყლის ჩამოსვლის შედეგად მოსარჩელის კუთვნილ ბინაში ლამინატის ფილების დაზიანებას, პალატა ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერზე ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირებულია წყლის უხვად ჩამოსვლის ფაქტი, რომლითაც დგინდება წყლის დინების ხანგრძლივობა, მიუთითებს, რომ აღნიშნული ქმნის წყლის ჩამოდინების შედეგად იატაკზე მოწყობილი ლამინატის ფილების დაზიანების დასკვნის საფუძველს. ამასთან, ამ ნაწილში კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმად, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ზევიდან ჩამოსული წყლისა და არა მოსარჩელის ბინაში წყლის გაჟონვის შედეგია ლამინატის დაზიანება, დაუსაბუთებელია, ვინაიდან რაიმე მტკიცებულებით არ არის გამყარებული, მაშინ, როდესაც უდავოა გარემოებაა მისი უძრავი ქონებიდან მოწინააღმდეგე მხარის ბინაში წყლის არაერთხელ ჩასვლის ფაქტი. კედლებზე მოწყობილი გაბზარული/გატეხილი კაფელის ფილებთან დაკავშირებით კი პალატა მიიჩნევს, რომ წყლის ჩამოდინების შედეგად კაფელის გაბზარვა/გატეხვა არადამაჯერებელია, რადგან აღნიშნული საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნით არ დგინდება, პირიქით, დასკვნის თანახმად, ექსპერტიზით ტექნიკურად შეუძლებელია იმის დადგენა კედლებზე მოწყობილი კაფელის ფილე-

ბის გაბზარვა/გატეხვა გამოწვეულია წყლის ჩასვლით თუ შენობის ხანდაზმულობითა და კედლების დაწვეით, რამაც შესაძლებელია მოსარჩელის ბინაზე ფიზიკურად იმოქმედა.

20. საკასაციო პალატა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის სამართლიანი პრინციპის გათვალისწინებით, მას ზიანის ოდენობის უტყუარად დადასტურების ვალდებულება ეკისრებოდა, აღნიშნული იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმცემბლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიაღდა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან უტყუარად დგინდება მიზეზობრივი კავშირი წყლის ჩამოსვლასა და კედლებისა და იატაკის დაზიანებას შორის, სარჩელი ამ ნაწილში საფუძვლიანია და მართებულად დაკმაყოფილდა. რაც შეეხება კაფელის დაზიანებას, ვინაიდან, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ კედელზე დაზიანებული კაფელი წყლის ჩამოშვების შედეგია, აღნიშნული ამ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, შესაბამისად, საორიენტო სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის დასაკისრებულ თანხას უნდა გამოაკლდეს კედლებიდან დაზიანებული კაფელის დემონტაჟზე და კედლების კაფელის მოწყობაზე აუცილებელი თანხა, რაც მთლიანად შეადგენს 3307.13 ლარს ($116.27 + 2.02 + 525.72 + 1482.80 + 303.30 + 2.02 = 2432.13$ ლარი. ამ თანხის ზედნადების ხარჯი 10%, გეგმური მოგება 8%, დღგ 18% 875 ლარი), შესაბამისად, მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხა ნაცვლად დაკისრებული 6458.30 ლარისა შეადგენს 3151.17 ლარს ($6458.30 - 3307.13$).

21. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 3151.17 ლარის გადახდა.

22. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გა-

მოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი – 378 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. ნ. ე-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ნ. ე-ს დაეკისროს 3151.17 ლარის გადახდა ა. ს-ძის სასარგებლოდ;
5. ნ. ე-ს ა. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 378 ლარის, გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

ბანკინება საქართველოს სახელმით

№ას-200-2022

30 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. ქორჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ძაბუნძიძე,
თ. ძიმისტარაშვილი**

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ბ. ნ-ძის მიმართ, დანაშაულით მიყენებული ზიანის – 3 524 237 ლარის ანაზღაურების მოთხოვნებით.

სარჩელის საფუძვლები:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენით საქმეზე № 1/3893-09 ბ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ:

2.1.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ე“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 3250253 ლარის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რამაც თბილისის მერიას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი;

2.1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ბ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით; ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით განხორციელებულ მოქმედებაში, რითიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 16 764 ლარის მატერიალური ზიანი;

2.1.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის

„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ე. კ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი თანხის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში, რითიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 8 285 ლარის მატერიალური ზიანი;

2.1.4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ე. კ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით განხორციელებულ მოქმედებაში, რითიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 52 538 ლარის მატერიალური ზიანი;

2.1.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ინდ. მენარმე „გ. ქ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 101061 ლარის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რითიც თბილისის მერიას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი;

2.1.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ნ-ი“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 95336 ლარის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რამაც თბილისის მერიას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2.2. საქმეში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, №092090215 სისხლის სამართლის საქმეზე 2009 წლის 30 ივლისს დაზარალებულად იქნა ცნობილი თბილისის მერია. 2015 წლის 06 აპრილის №1/3893-09 განაჩენის თანახმად, ბ. ნ-ძის მიერ 2007-2009 წლებში სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, გაფლანგული იქნა სახელმწიფო შესყიდვებისათვის გათვალისწინებული ფულადი სახსრები, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა საზოგადოების პარტნიორი თბილისის მერიის სახით. ბ. ნ-ძის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით თბილისის მერიას ჯამურად მიადგა 3524237 ლარის მატერიალური ზიანი. ბ. ნ-ძეს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი არ აუნაზღაურებია.

2.3. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით დადგენილი ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესის შესაბამისად საქმის განხილვა.

მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელემ გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რაც დასტურდება 2009 წლის

დაზარალებულის დაკითხვის ოქმიდან, სადაც დაზარალებულის მიერ გაცხადებული ზიანის თანხები უცვლელად არის ასახული განაჩენის ტექსტში. ამავე შესაგებლით, მოპასუხე არსებითად შეედავა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობებსაც.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

7. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 06 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება განსასჯელ ბ. ნ-ძესთან.

7.2. განაჩენის თანახმად, ბ. ნ-ძის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში (შესაბამის ეპიზოდებში):

7.2.1. 2007 წლის 9 ნოემბერს, შ.პ.ს. „თ.ა“-ს მიერ 2.000.000 ლიტრი L-62 მარკის დიზელის სანვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო კომისიის 2007 წლის 17 დეკემბრის №3 ოქმით მიღებული დადგენილებით, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. „ე“, რომელმაც სატენდერო წინადადებაში დააფიქსირა, რომ 2.000.000 ლიტრ L-62 მარკის დიზელის სანვავს საწარმოს მიაწვდიდა საბაზრო ფასისათვის არარეალურად დაბალ ფასად – 2.920.000 ლარად, ანუ 1 ლიტრს – 1.46 ლარად. ბ. ნ-ძემ 2007 წლის 27 დეკემბერს, შ.პ.ს. „ე“-სთან გააფორმა №4007/30-026 ხელშეკრულება 2.920.000 ლარის ღირებულების L-62 მარკის დიზელის სანვავის შესყიდვაზე. ხელშეკრულებითა და №2 დანართით დაშვებული იქნა ტენდერით დაფიქსირებული ფასის კორექტირება, კერძოდ, ყოველ მიწოდებაზე სანვავის ღირებულება განისაზღვრა ე.წ. „პლაცის“, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებებისა და სატენდერო წინადადებების უცვლელი კოეფიციენტით – 1 ლიტრ სანვავზე 3.092 თეთრის ოდენობით.

7.2.2. დამატებით, 2008 წლის 25 იანვარს, შ.პ.ს. „თ.ას“ მიერ 15.200.00 კილოგრამი L-62 მარკის დიზელის საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო კომისიის 2008 წლის 28 თებერვლის №3 ოქმის დადგენილებით, კვლავ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ე“, რომელსაც ტენდერის პირობებით შ.პ.ს. „თ.ა“-სთვის 15.200.000 კილოგრამი L-62 მარკის დიზელის საწვავი უნდა მიეწოდებინა 27.892.000 ლარად, ანუ 1 კგ. საწვავი – 1.835 ლარად. ამ დროისათვის, შ.პ.ს. „თ.ა“-ს საწვადებო კაპიტალი შეადგენდა 69.386.207,5 ლარს, საწვავის შესასყიდი ღირებულება – 27.892.000 ლარს, რომელიც აღემატებოდა საწვადებო კაპიტალის – 10%-ს. ბ. ნ-ქმ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ქ. თბილისის მერიასთან შეუთანხმებლად, 2008 წლის 4 მარტს გააფორმა №4007/30-003 ხელშეკრულება 27.892.000 ლარის ღირებულების L-62 მარკის დიზელის საწვავის შესყიდვაზე. ფასნამატი 1 ლიტრ საწვავზე შეადგენდა 26.295 თეთრს, აღნიშნული 10-ჯერ აღემატებოდა ს.ს. „ვ.პ.ჯ“-ს მიერ ადრე შემოთავაზებულ წინადადებას, სადაც ფასნამატი შეადგენდა 2.629 თეთრს, რითაც გაძვირდა საწვავის ღირებულება. ხელშეკრულებით, დიზელის საწვავის ფასი უნდა განაზღვრულიყო ყოველ იმპორტირებულ პარტიაზე საიმპორტო საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებული პლაცის მიხედვით და იგი უცვლელი უნდა დარჩენილიყო ყოველ კონკრეტულ პარტიაზე პლაცის ცვლილების მიუხედავად.

7.2.3. შ.პ.ს. „ე“ არ იყო იმპორტიორი, წარმოადგენდა შუამავალს იმპორტიორსა და შ.პ.ს. „თ. ა-ს“ შორის, რაზეც შ.პ.ს. „თ. ა-ს“ ეცნობა 2008 წლის 20 და 27 მარტის წერილებით, თუმცა ბ. ნ-ქს არ უმსჯელია შ.პ.ს. „ე“-სთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობაზე. ტენდერში გაცხადებული პირობა – 15.200.000 კილოგრამი L-62 მარკის დიზელის საწვავის 27.892.000 ლარად მიწოდების შესახებ, რამაც ტენდერში შ.პ.ს. „ე“-ს გამარჯვებულად გამოცხადება განაპირობა, ხელშეკრულებაში უცვლელად ასახვის ნაცვლად შეიცვალა და დაფიქსირდა ისეთი პირობები, რამაც ე.წ. „პლაცისა“ და ვალუტის კურსის ცვლილებების შესაბამისად, დიზელის საწვავის ღირებულების ხელოვნურად გაზრდა გამოიწვია.

7.2.4. შ.პ.ს. „ე“-ს მიერ შ.პ.ს. „თ. ა-ზე“ 2008 წლის იანვრიდან 2009 წლის 6 მაისის ჩათვლით სულ მიწოდებული იქნა 17 683 379 კგ. დიზელის საწვავი 31 407 982 ლარად, რაც სატენდერო წინადადების სახით განცხადებულ ფასს აღემატება 595 982 ლარით. რიგ შემთხვევაში, საწვავი მიწოდებული იქნა ისეთი ფასებით, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა შესაბამისი პერიოდისათვის არსებულ საცალო ფასს, კერძოდ: 2008 წლის აპრილში, მაისში, ივნისში, ივლისში და 2009 წლის იანვარში

და აპრილში ერთობლიობაში მიწოდებული საწვავის ღირებულება 1424523 ლარით აღემატებოდა იმ დროისთვის არსებულ საცალო ფასს. შემსყიდველისათვის ხელშეკრულებებში აშკარად არახელსაყრელი პირობების ჩადებით, იმ პერიოდისათვის ჩამოყალიბებული საბითუმო ფასების გათვალისწინებით, შ.პ.ს. „ე“-ს მიერ მიწოდებული 17 683 379 კგ დიზელის საწვავის შეძენა, 31 407 982 ლარის ნაცვლად, დაუჯდებოდა 28 157 729 ლარი, ანუ 3 250 253 ლარით ნაკლები. ბ. ნ-ძის დანაშაულებრივი ქმედებით, საზოგადოების დებულების მოთხოვნათა უგულვებელყოფით, მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგულ იქნა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 3250253 ლარი, რამაც თბილისის მერიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

7.2.5. 2007 წელს შ.პ.ს. „თ. ა“-ს მიერ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად, მსუბუქი ავტომობილების შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „ბ“, რომელთანაც 2007 წლის 26 დეკემბერს გაფორმდა №4007/30 025 ხელშეკრულება 16 ერთეული მსუბუქი ავტომობილის შესყიდვაზე, ღირებულებით 223520 ლარი (ერთეულის ფასი 13 970 ლარი). გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შ.პ.ს. „ბ“-ს შ.პ.ს. „თ. ა“-სთვის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში – 2008 წლის 26 იანვრამდე უნდა მიეწოდებინა 2007 წელს გამოშვებული 16 ერთეული „ტატა“-ს მარკის მსუბუქი ავტომანქანა. ხელშეკრულების მიხედვით, მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრებოდა საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიწოდებული საქონლის ღირებულების 5%-ის ოდენობით. შ.პ.ს. „ბ“-მა ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, საქონლის 2008 წლის 26 იანვრამდე მიწოდება. ბ. ნ-ძემ, ნაცვლად იმისა, რომ ხსენებული ფირმისათვის დაეკისრებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, შ.პ.ს. „ბ“-თან ურთიერთობისას ბოროტად გამოიყენა მისთვის მინიჭებული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, იმოქმედა შ.პ.ს. „თ. ა“-ს კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ და მომწოდებლისათვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, შ.პ.ს. „ბ“-ს ერთ-ერთ დამფუძნებელს ჰ. ო-ს შესთავაზა, წერილით მიემართა შ.პ.ს. „თ. ა“-სთვის და ფინანსური პრობლემების მომიზეზებით მოეთხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადების გაგრძელება. თავის მხრივ, ბ. ნ-ძე ხსენებული წერილის საფუძველზე მომწოდებელთან გააფორმებდა ურთიერთშეთანხმების აქტებს და შედეგად, შ.პ.ს. „ბ“ თავს აარიდებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს. შეთანხმებისამებრ, ჰ. ო-ის მითითებით, შ.პ.ს. „ბ“-ს დირექტორმა ვ. ე-ძემ 2008 წლის 23 იანვარსა და 28 მარტს წერილებით მიმართა ბ. ნ-ძეს. ამ უკანასკნელმა, წერილების საფუძველზე, შ.პ.ს. „თ. ა“-ს

ინტერესების საზიანოდ, 2008 წლის 5 იანვარსა და 28 მარტს ვ. ე-ძეს-თან გააფორმა ურთიერთშეთანხმების აქტები, რომელთა საფუძველზეც შ.პ.ს. „ბ-ს“ შესაძლებლობა მიეცა, დაერღვია საქონლის მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები და თავი აერიდებინა 16 764 ლარის ოდენობის საჯარიმო სანქციებისათვის, რითაც ქ. თბილისის მერიას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა;

7.2.6. 2008 წლის 28 თებერვალს შ.პ.ს. „თ. ა-მა“ გამოაცხადა ტენდერი „დაფის“ მარკის ავტობუსების სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, სადაც ერთ-ერთ გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. „ე. კ-ი“, რომელთანაც იმავე წლის 12 მარტს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4007/30-007 ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ამ უკანასკნელს შ.პ.ს. „თ. ა“-სთვის უნდა მიეწოდებინა 364 842 ლარის საერთო ღირებულების მარაგ ნაწილები, მათ შორის, 60 კომპლექტი დგუში, ცილინდრი და რგოლები, ღირებულებით 15 060 ლარი. ამავე ხელშეკრულების 7.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მიმდინარეობისას ერთეულის დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვები იყო საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით, აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5% მეტი ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდისას, ასევე შემცირებისას. საქონლის მიწოდების პროცესში, დოლარის კურსი ლართან მიმართებაში გაიზარდა 8.12%-ით ანუ 1.526-დან 1.65-მდე, რის გათვალისწინებითაც საქონლის ერთეულის ღირებულება 251 ლარის ნაცვლად უნდა განსაზღვრულიყო 271 ლარით. შ.პ.ს. „ე. კ“-ს დირექტორმა ნ. მ-ძემ, ვალუტის კურსთა შორის ცვალებადობა გამოიყენა რა თავის სასარგებლოდ, ნაცვლად კუთვნილი 271 ლარისა, მოითხოვა არარეალურად გაზრდილი ფასი – 610 ლარი და 2008 წლის 20 ნოემბერს წერილით მიმართა ბ. ნ-ძეს, რომლითაც ხელშეკრულების 7.2 პუნქტის საფუძველზე, ითხოვა დგუშის, ცილინდრისა და რგოლების ერთეული კომპლექტის ღირებულების 251 ლარიდან 610 ლარამდე გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ბ. ნ-ძე ვალდებული იყო გადაემოწმებინა შ.პ.ს. „ე-მ“ კომპანიის დირექტორის ნ. მ-ძის მოთხოვნის საფუძველიანობა, 2008 წლის 27 ნოემბერს, ამ უკანასკნელთან ერთპიროვნულად გააფორმა ურთიერთშეთანხმების აქტი, რის საფუძველზეც დგუში-ცილინდრი-რგოლების ერთ კომპლექტში 271 ლარის ნაცვლად გადაუხადა 602,4 ლარი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასზე 240%-ით მეტი, რის შედეგადაც ბ. ნ-ძემ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგოდ, გაფლანგა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 8 285 ლარი, რამაც თბილისის მერიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა;

7.2.7. 2008 წლის 12 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №40007/30-007 ხელშეკრულებით, შ.პ.ს. „ე. კ“-ს შ.პ.ს. „თ. ა“-

სთვის სათადარიგო ნაწილები უნდა მიენოდეზინა 2008 წლის 31 დეკემბრამდე. 2008 წლის 15 დეკემბერს ბ. ნ-ძესა და ნ. მ-ძეს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტით აღნიშნულმა ვადამ გადაინია 2009 წლის 28 თებერვლამდე. მიუხედავად ამისა, საქონელი მიწოდებულ იქნა 6 დღის დაგვიანებით – 2009 წლის 6 მარტს. 2009 წლის 25 თებერვალს ბ. ნ-ძესა და ნ. მ-ძეს შორის კვლავ გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი, რომლის თანახმადაც საქონლის მიწოდების ვადა კვლავ გაგრძელდა, ამჯერად 2009 წლის 30 მარტამდე, მაგრამ საქონლის მიწოდება განხორციელდა 36 დღის დაგვიანებით და მიწოდებულ იქნა 2009 წლის 06 აპრილს. ამავე დროს, საერთოდ არ იქნა მიწოდებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 17370 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების მარაგნაწილები. ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, მოწოდებელს შემსყიდველისთვის უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობისთვის – პირგასამტეხლო 5% ის ოდენობით. ბ. ნ-ძემ შ.პ.ს. „ე. კ“-სთან ურთიერთობისას ბოროტად გამოიყენა მისთვის მინიჭებული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, იმოქმედა შ.პ.ს. „თ. ა“-ს კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ და უპირატესობა მიანიჭა შ.პ.ს. „ე. კ“-ს, რომლისგანაც ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის არ მოითხოვა პირგასამტეხლო – 52 538 ლარის ოდენობით, რითიც თბილისის მერიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა;

7.2.8. ბ. ნ-ძემ, განაგრძობდა რა დანაშაულებრივ საქმიანობას, 2008 წლის 26 აგვისტოს, 5 ნოემბერსა და 2009 წლის 12 თებერვალს, ინდ. მენარმე გ. ქ-თან, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააფორმა შესაბამისად №4007/10-173, №4007/10-2013 და №4007/30-078, ხელშეკრულებები „ბოგდანის“ მარკის ავტობუსის ძრავის ზეთის ფილტრების შეძენაზე. ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 47 830 ლარი. გარდა ამისა, ბ. ნ-ძემ 2009 წლის 22 აპრილს იმავე ინდ. მენარმესთან, გააფორმა №4007/30-011 სატენდერო ხელშეკრულება, 88000 ლარის ღირებულების ძრავის ზეთის ფილტრებისა და ჰაერის ფილტრების შეძენაზე. სულ 2008-2009 წლებში, ინდ. მენარმე გ. ქ-თან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ზეთისა და ჰაერის 5700 ცალი ფილტრის შესაძენად შ.პ.ს. „თ. ა“-ს გადასახდელი ჰქონდა 134750 ლარი, მაშინ როდესაც, რეალურად ბაზარზე იმ პერიოდისათვის აღნიშნულ საქონელზე მოქმედი ფასებით შ.პ.ს. „თ. ა“-ს უნდა გადაეხადა 33689 ლარი ანუ ბ. ნ-ძემ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგა 101061 ლარი, რამაც თბილისის მერიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა;

7.2.9. 2009 წლის 11 აპრილს, შპს „თ. ა“-ს მიერ გამართულ ტენდერში,

15.000.000 კილოგრამი გაზოილ-0,2% მარკის დიზელის სანვავის შესყიდვაზე, სატენდერო კომისიის 2009 წლის 29 აპრილის სხდომის №4 ოქმით მიღებული დადგენილებით, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. „ნ-ი.“, რომელმაც სატენდერო წინადადებაში დააფიქსირა, რომ 15.00.000 კილოგრამ გაზოილ-0,2% მარკის დიზელის სანვავს საწარმოს მიაწოდებდა 18.690.000 ლარად, ანუ 1 კილოგრამს – 1,264 ლარად. შ.პ.ს. „თ. ა“-ს გენერალურმა დირექტორმა ბ. ნ-ძემ 2009 წლის 8 მაისს შ.პ.ს. „ნ-ი“-თან გააფორმა №4007/30-023 ხელშეკრულება 15.000.000 კილოგრამი გაზოილ-0,2% მარკის დიზელის სანვავის მიწოდების შესახებ, ისეთი პირობებით, რამაც ე.წ. „პლაცისა“ და ვალუტის კურსის ცვლილებების შესაბამისად დიზელის სანვავის ღირებულების ხელოვნურად გაზრდა გამოიწვია. ხელშეკრულების №2 დანართის თანახმად ერთ კგ. სანვავის მკვეთრად გაზრდილმა ფასსამატმა შეადგინა 35,92 თეთრი. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „ნ-ი“-ს მიერ 2009 წლის მაისში განხორციელდა 374,633 კილოგრამი დიზელის სანვავის 496.193 ლარად, ანუ იმ პერიოდისათვის ბაზარზე ჩამოყალიბებულ საბითუმო ფასებთან შედარებით 95.334 ლარით მეტი ღირებულებით, რითაც ბ. ნ-ძის მიერ უგულვებელყოფილ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის შესახებ. ბ. ნ-ძის აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით, საზოგადოების დებულების მოთხოვნათა უგულვებელყოფით, გაფლანგულ იქნა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 95336 ლარი, რამაც თბილისის მერიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

7.3. 2015 წლის 6 აპრილის განაჩენით საქმეზე №1/3893-09 ბ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ:

7.3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ე“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 3250253 ლარის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რამაც თბილისის მერიას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი;

7.3.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ბ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით განხორციელებულ მოქმედებაში, რითიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 16 764 ლარის მატერიალური ზიანი;

7.3.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის

მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ე.კ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი თანხის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რითიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 8 285 ლარის მატერიალური ზიანი;

7.3.4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შპს „ე.კ“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით განხორციელებულ მოქმედებაში, რითიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 52 538 ლარის მატერიალური ზიანი;

7.3.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ინდ. მენარმე „გ. ქ“-ის ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 101 061 ლარის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რითიც თბილისის მერიას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი;

7.3.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (შ.პ.ს. „ნ-ი“-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი 95 336 ლარის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვაში, რამაც თბილისის მერიას მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

7.4. სისხლის სამართლის №092090215 საქმეზე ბ. ნ-ძის მიმართ, გამოძიება დაიწყო 2009 წლის 15 მაისს და დასრულდა 2009 წლის 3 აგვისტოს. 2009 წლის 30 ივლისს №092090215 საქმეზე დაზარალებულად ცნობილი იქნა ქალაქ თბილისის მერია. №092090215 საქმეზე სამოქალაქო სარჩელი განცხადებული არ ყოფილა.

7.5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი ხანდაზმულია.

8. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სააპელაციო პალატამ მისცა შემდეგი სამართლებრივი შეფასება:

8.1. განსახილველი დავა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას სახელმძღვანელოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი, რომელიც დელიქტიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნებისთვის სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას აწესებს, კერძოდ, დელიქტით გამონეწეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესა-

ხებ შეიტყო. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. სანი-ნალმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს.

8.2. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (2010 წლის პირველი ოქტომბერი) მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68¹-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულად მიიჩნეოდა სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად მიჩნეული შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო, იურიდიული პირი, ან ფიზიკური პირი. საპროცესო კოდექსი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს უკავშირებდა დაზარალებულის ნების გამოვლენას და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებდა დაზარალებულის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის შეტანის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსი დაზარალებულის სტატუსს უკავშირებდა ზიანის არსებობას, საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობით ასეთი პირი პროცესში დაზარალებულის სტატუსს იძენდა მხოლოდ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის შემდეგ. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გამოსცემდა გამომძიებელი ან პროკურორი, ხოლო განჩინებას კი – სასამართლო. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება (განჩინება) გამოტანილი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დენის დაწყების შემდეგ და მასში სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო აღნიშნული მიყენებული ზიანის სახე. პირი დაზარალებულად შეიძლება მიჩნეულიყო: წინასწარი გამოძიებისას; სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის; ასევე სასამართლო გამოძიებისას. სასამართლოში საქმის წარმოებისას დაზარალებულად ცნობის უფლება გააჩნდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და ისიც სასამართლო კამათის დაწყებამდე. პირის დაზარალებულად ცნობა არ იყო დამოკიდებული მის ნება-სურვილზე. შესაბამისი ზიანის სავარაუდო მიყენების ფაქტის დადგენისთანავე პროცესის მწარმოებელი ორგანო დაუყოვნებლივ ღებულობდა გადაწყვეტილებას პირის პროცესში დაზარალებულად მოწვევის შესახებ. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა – ინფორმაცია სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ; ამ ქმედებით ზიანის მიყენების ფაქტი; მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

8.3. დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ვადის ათვლა ზიანის შეტყობისა და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ფაქტობრივი იდენტიფიკაციის მომენტიდან დაიწყება, თუ ზიანის მიმცენებელი პირის ვინაობა საკმარისად განსაზღვრადია, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში არსებული წერილობითი მტკიცებულებებიდან აშკარად და არაორაზროვნად იკვეთება. ზიანის მიცენების ფაქტის (ანუ უფლების დარღვევის ფაქტის) და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობის შეტყობა ვადის ათვლის დაწყების კუმულატიურ წინაპირობებად უნდა იქნეს განხილული. მოცემულ დავაში უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სისხლის სამართლის №092090215 საქმეზე გამოძიება ბ. ნ-ძის მიმართ დაიწყო 2009 წლის 15 მაისს და დასრულდა 2009 წლის 3 აგვისტოს. ასევე, დადგენილია, რომ 2009 წლის 30 ივლისს სისხლის სამართლის №092090215 საქმესთან დაკავშირებით, თბილისის მერია ცნობილი იქნა დაზარალებულად. საქმეში წარმოდგენილი დაზარალებულის დაკითხვის ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ დაზარალებულისათვის (მოსარჩელისათვის) იმთავითვე ცნობილია როგორც ზიანის მიცენების ფაქტის, ასევე ზიანის მიმცენებელი პირებისა და ზიანის ოდენობის შესახებ. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მომართა 2017 წლის 29 დეკემბერს, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

9. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

9.1. სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ 2009 წლის 30 ივლისს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დაზარალებულად ცნობით მერიისათვის ცნობილი გახდა როგორც ზიანის მიცენების ფაქტის, ისე ზიანის მიმცენებელი პირებისა და ზიანის ოდენობის შესახებ და ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებაც უნდა დაუკავშირდეს სწორედ ხსენებულ თარიღს, ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის პირველ ნაწილს, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 აპრილის №ას-1322-2018 განჩინებას, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი წარდგენილი იქნა გამარტივებული წესით საქმის განხილვის მოთხოვნით, ხოლო სასამართლომ დაუსაბუთებელი უარი უთხრა მოსარჩელეს ხსენებული წესით საქმის განხილვაზე.

9.2. სასამართლომ მიუთითა 2009 წლის 30 ივლისს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც პროკურორს ავალეზდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენას სის-

ხლის სამართლის საქმის ფარგლებში, თუმცა მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ განაჩენის დადგომის დროს – 2015 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ხსენებული ჩანაწერი სამოქალაქო სარჩელის აღძვრის თაობაზე ამოღებული იყო, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით პირს შესაძლებლობა მიეცა, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელის განხილვა გამარტივებული წესით მოეთხოვა. ამდენად, განაჩენის დადგომის დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფლებას აძლევდა კასატორს, საქმის განხილვა მოეთხოვა ამავე წესით, რაზედაც უარი ზღუდავს მის უფლებას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და დადგინდა მისი განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამტკიცებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ერთადერთი პრეტენზია მიემართება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია. თავის მხრივ, როგორც სააპელაციო სასამართლოს, ისე საქალაქო სასამართლოს უარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სრულად

არის აგებული მოთხოვნის უფლების შემაფერხებელ შესაგებელზე, შესაბამისად, საკასაციო პალატაც საკუთარი მსჯელობის საზღვრებს შემოფარგლავს მარტოდენ ხანდაზმულობის საკითხით, ვინაიდან შესაგებლის სხვა ასპექტები (მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი) ქვემდგომ სასამართლოთა მხრიდან შეფასებას არ დაქვემდებარებია.

14.1. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

14.2. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ განსახილველი დავა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით, რომელიც, დელიქტიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნებისთვის ხანდაზმულობის ვადას აწესებს, კერძოდ, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა დაკავშირებულია დაზარალებულის მიერ ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შეტყობასთან.

14.3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, V კარს დაემატა ახალი XXXIV³ თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შე-

სული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, არამედ, დადასტურებულად ითვლება როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის, ისე დამდგარი შედეგისა და მიზეზობრივი კავშირის ელემენტები. აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14.4. 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმებული იქნა სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, თუმცა სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას ამოქმედდა განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (იხ. სუსგ. საქმეზე №ას-638-605-2014, 22.04.2016).

14.5. განსახილველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის №092090215

საქმეზე გამოძიება ბ. ნ-ძის მიმართ დაიწყო 2009 წლის 15 მაისს და დასრულდა 2009 წლის 3 აგვისტოს. დადგენილია, რომ 2009 წლის 30 ივლისს ქ. თბილისის მერია ცნობილ იქნა დაზარალებულად, შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანის, მისი ოდენობისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის აგვისტოს თვეში უკვე ცნობილი იყო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნაზე ვრცელდება სსკ-ის 1008-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადა. კასატორის პრეტენზია უკავშირდება ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისს, კერძოდ, მისი მტკიცებით, საპელაციო სასამართლოს ხანდაზმულობის ვადა უნდა აეთვალა არა მოსარჩელის დაზარალებულად ცნობის, არამედ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დადგომის დღიდან.

14.6. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას და განმარტავს, რომ 2010 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება, რომელიც აღარ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე), სახელმწიფოსათვის ან სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტისათვის დანაშაულით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების მიმართ, სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თუ დაზარალებული ითხოვს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გამარტივებული წესით, მაშინ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა ზიანის მიმყენებლის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემულ იქნა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მოითხოვს დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას საერთო სასარჩელო (და არა გამარტივებული სამართალწარმოების წესით) წესით, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (იხ. სუსგ. საქმეზე №ას-1322-2018, 04.04.2019).

14.7. კასატორის დაზარალებულად ცნობის ეტაპზე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი

პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლებას ანიჭებდა, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირს მიაჩნდა, რომ ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად, მას უფლება ჰქონდა, წარედგინა სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე საბრალდებო დასკვნის შედგენამდე. განსახილველ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა კასატორს პრაქტიკულად არ ჰქონია, ვინაიდან მისი დაზარალებულად ცნობა მოხდა 2009 წლის 30 ივლისს, ხოლო საბრალდებო დასკვნა შედგა (ე.ი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა მოისპო) 2009 წლის 03 აგვისტოს, ესე იგი, დაზარალებულის სახელით პროკურორის სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესით სარჩელის წარდგენის უფლება მიეცა არაგონივრულად მცირე დროის – სულ 3 დღის განმავლობაში, რაც არ შეიძლება განიხილებოდეს დაზარალებულის სამოქალაქო უფლების სასამართლო წესით ეფექტურად დაცვისათვის ინსტრუმენტად.

14.8. მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან უნდა აითვალოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, დაზარალებულმა წარადგინა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი და მატერიალური ზიანის ანაზღაურება გამარტივებული წესით მოითხოვა. განაჩენი, რომლის საფუძველზეც დადგინდა სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობები, კანონიერ ძალაში 2015 წლის 6 აპრილს შევიდა, მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი 2017 წლის 29 დეკემბერს წარადგინა. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ განსახილველი სარჩელი ხანდაზმული არ არის (იხ. სუსგ. №ას-239-2022, 15.07.2022წ; №ას-199-2020, 28.04.2022წ)

14.9. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის საერთო წესით წარდგენისას მოსარჩელეს ევალება მართლსაწინააღმდეგო ქმედების, დამდგარი ზიანის, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცება. მტკიცებულებათა სიმწირის პირობებში, მაღალია რისკი იმისა, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს. ზიანის გამომწვევი იმგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას, რომელიც ამავედროულად, სისხლის სამართლის დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართლადარღვევის შემადგენლობას ქმნის, სამართალდამცავი ორგანოები გამოძიებისა თუ ადმინისტრაციული მოკვლევის პირობებში მოიპოვებენ მტკიცებულებებს, რომელთა მოპოვებაც დაზარალებულისთვის არსებითად რთული, რიგ შემ-

თხვევებში კი შეუძლებელიც შეიძლება იყოს. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი გარკვეული არჩევანის თავისუფლებას უტოვებს დაზარალებულ პირს – მას შეუძლია სისხლის სამართლის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისგან დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი და მტკიცების ტვირთის საკუთარ თავზე აღების გზით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ან დაელოდოს დელიქტის შესახებ სასამართლო განაჩენის გამოტანას/სამართალდარღვევის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ცხადია, ამგვარი ლოდინი დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან – ფაქტობრივი თუ სამართლებრივი მიზეზებით, შესაძლოა, გამამტყუნებელი განაჩენი არც კი დადგეს (ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამართალდარღვევის შესახებ არ გამოიცეს), ხოლო დაზარალებულმა დაკარგოს უფლების იძულების წესით დაცვის შესაძლებლობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, თუმცა ამგვარ მოლოდინს საპირწონე სარგებელიც გააჩნია – განაჩენის/ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის არსებობა მნიშვნელოვანწილად უმსუბუქებს მტკიცების ტვირთს დაზარალებულს და ზიანის ანაზღაურების მარტივ მექანიზმს უზრუნველყოფს. უფლების დაცვის საშუალებებს შორის არჩევანის გაკეთების თავისუფლება დაზარალებულს ეკუთვნის, შესაბამისად, მარტოოდენ იმ მოსაზრებით, რომ მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა გააჩნდა საერთო სასარჩელო წესითაც, არ გამოირიცხება დაზარალებულის შესაძლებლობა, ისარგებლოს იმ სწრაფი და მარტივი პროცედურით, რომელიც განაჩენის გამოტანისა და კანონიერ ძალაში შესვლის ეტაპზე არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით შემოთავაზებული ნორმების სახით.

15.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

15.2. განსახილველ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო სასამარ-

თლომ, ისე პირველი ინსტანციის სასამართლომ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი სრულად დააფუძნა სარჩელის შემადგერხებელ შესაგებელს – ხანდაზმულობას, რასაც არ იზიარებს საკასაციო პალატა. ამავდროულად, მოპასუხის წერილობითი შესაგებლის გათვალისწინებით, მოთხოვნის გამომრიცხველი შეპასუხებით შედავებულია სასარჩელო მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებიც, რომელთა კვლევა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ უწარმოებიათ. ამდენად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებში, საქმის განმხილველმა სასამართლომ არსებითად უნდა შეაფასოს მოპასუხის შესაგებელი და ის კომპონენტები რომელიც ადგენს/გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას ან განსაზღვრავს მის ფარგლებს.

16. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი განწყვეტილების მიღებისას.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-558-2020

30 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, შემკვეთი, შემსყიდველი ან მერია) და შპს „ჯ.ქ.კ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მიმწოდებელი ან მენარდე) შორის 2013 წლის 4 ნოემბერს დაიდო №208 ხელშეკრულება (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება), რომლის საგანს ფოთში, ..., №16-ში და №21-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა წარმოადგენდა. სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადად – 2014 წლის 30 ივნისი განისაზღვრა.

1.1. მხარეთა შეთანხმებით, სამშენებლო სამუშაოების ხარისხს, საქართველოში მოქმედი ნორმები და შემსყიდველის მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა.

1.2. შეთანხმების 10.1 პუნქტით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადაში და ხარისხიანად შესრულებაზე კონტროლი, სივრცითი მონიტორინგი, არქიტექტურისა და მშენებლობის სახით, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ იკისრა.

2. ფოთში, ..., მდებარე №5 ბინა, ჯ. გ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე, მესაკუთრე ან მამკვიდრებელი) საკუთრება იყო.

3. მერიამ, ფოთში, ..., მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო (ფასადების მოპირკეთება და მანსარდის მოწყობა) სამუშაოები მენარდის მეშვეობით დაიწყო.

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის გამო, შემკვეთმა ხელშეკრულება შეწყვიტა და მენარდეს დააკისრა პირ-

გასამტეხლო – 117445,38 ლარი.

5. 2013 წლის დეკემბრიდან მენარდის მიერ წარმოებული და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შედეგად დაზიანდა საცხოვრებელ სახლში არსებული მობინადრეთა საკუთრებაში მყოფი ბინები, მათ შორის მოსარჩელის საცხოვრებელი ბინა, კერძოდ:

5.1. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 1 მაისის №002780518 დასკვნით – ქ. ფოთში, ... საცხოვრებელი სახლის გარე ფასადისა და სახურავის სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული, სახურავის მოწყობისას არ არის გათვალისწინებული СНиП2.04.01-85X, შენობის შიდა წყალსადენი და კანალიზაცია, პუნქტ № 17.18-ში მითითებული მოთხოვნები...

5.1.2. ამავე დასკვნის მიხედვით, ქ. ფოთში, ... მდებარე მოსარჩელის კუთვნილი საცხოვრებელი ბინისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება – 10 507,48 ლარია.

5.1.3. მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფართზე საკვამური მილის მოწყობის შესახებ შპს „მ-იის“ მიერ შესრულებული პროექტის მიხედვით, საკვამური მილის მოწყობის ღირებულება – 1210.53 ლარი, ხოლო გაწეული მომსახურების ანაზღაურება – 200 ლარია.

5.2. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2019 წლის 30 იანვრის №5000534419 დასკვნის თანახმად, ქ. ფოთში, ... მდებარე შენობის დაზიანებები გამომწვეულია უხარისხოდ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად.

6. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ 2018 წლის 5 ივნისს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

8. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა.

9. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასრგებლოდ ზიანის – 10507.48 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

11. მოპასუხემ საკასაციო საჩივრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

11.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად და არასრულყოფილად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც შედეგად მოჰყვა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება, ამასთან სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 24 თებერვლის განჩინებით, მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა მისი მემკვიდრე ი. ქ-ვა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კასატორი ან უფლებამონაცვლე).

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 ივნისის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. მოსარჩელის მოთხოვნაა იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა უხარისხოდ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად. ეს სამართლებრივი შედეგი სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია

ლია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს.

16. კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობაზე, კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე. განსხვავებით სახელშეკრულებო ვალდებულებისგან, რომელიც წარმოიშობა პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობიდან, დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი შედეგსა და ქმედებას შორის. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიმცენებელს) უნდა დაეკისროს, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, დელიქტურ ვალდებულებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ევალება, სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათანადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ამტკიცოს, რომ არსებობს სამივე ზემოაღნიშნული წინაპირობა (შდრ. სუსგ №ას-72-72-2018, 15.02.2018 №ას-809-776-2016, 04.04.2017).

17. განსახილველ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 002780518 დასკვნაზე, რომლის შინაარსით: ფოთში, დ. აღმაშენებლის ქუჩა №... საცხოვრებელი სახლის გარე ფასადისა და სახურავის სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული, სახურავის მოწყობისას არ არის გათვალისწინებული СНиП2.04.01-85*, შენობის შიდა წყალსადენი და კანალიზაცია ასევე პუნქტ №17.18-ში მითითებული მოთხოვნები...

ამავე დასკვნის მიხედვით, ფოთში, ... მდებარე მოსარჩელის კუთვნილი საცხოვრებელი ბინისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება – 10 507, 48 ლარია. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში არ წარდგენილა, მეტიც სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2019 წლის 30 იანვრის №5000534419 დასკვნით დამატებით, დასტურდება, რომ ფოთში, ... მდებარე შენობის დაზიანებები გამოწვეულია უხარისხოდ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, რომელიც მერიამ, მის მიერ შერჩეული მენარდის მეშვეობით დაინყო და განახორციელა.

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-

ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით დადასტურდება ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება, თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით), მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა.

მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. თუკი მხარე მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზებას თავს ვერ გაართმევს ეს გარემოება მხარისთვის არახელსაყრელ შედეგს გამოიწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას ან აღიარებას, არამედ, მაშინაც, როდესაც თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

18.1. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, მხარეები სრულიად თავისუფალი არიან, მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებს ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს

პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება დავას.

18.2. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა –სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი –მოპასუხემ. ამასთან ერთად, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და, პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს.

18.3. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის წარმომშობი ყველა გარემოება, ხოლო მოპასუხემ კი –ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოლინგი, ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდিকা“, თბ., 2003, გვ.64).

18.4. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება, რომ მოსარჩელის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა მოპასუხის მიერ (მოპასუხის დაკვეთით) შესრულებული სამუშაოების შედეგად დაზიანდა, უძრავი ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭიროა 10 507,48 ლარი, ზიანი გამოსწორებული არ არის და მოსარჩელის ქონების დაზიანება კვლავ გრძელდება.

საკასაციო პალატის დასკვნით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, მოპასუხის დაკვეთით და ზედამხედველობით, სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოთა უხარისხოდ ჩატარების ფაქტი შეიცავს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების-

თვის საჭირო ხარისხის ბრალეულობის შემადგენლობას და გამოკვეთილია ზიანის ანაზღაურების დაკისრების ძირითადი საფუძვლები (ზიანი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება, მიზეზობრივი კავშირი შედეგსა და ქმედებას შორის), რაც თავის მხრივ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ წინაპირობებს წარმოქმნის.

19. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხემ წარადგინა როგორც მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი, ისე შემაფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა).

19.1. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 128.1 მუხლზე რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელმა განსაზღვრა სამოქალაქო უფლების დაცვის გარკვეული ვადებით შეზღუდვის აუცილებლობა, რომელიც მყარ სამოქალაქო ბრუნვაზეა ორიენტირებული და მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლით მხარე კარგავს იმ სამართლებრივ ბერკეტებს, რომელთა საშუალებითაც მოთხოვნის იძულებით აღსრულების შესაძლებლობა ჰქონდა.

ამავე კოდექსის 1008-ე მუხლით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დინების დაწყების მომენტის განსაზღვრა, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია და მოწესრიგებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.

სსკ-ის 130-ე მუხლი (ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ) ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ბრალეულ არცოდნასაც ითვალისწინებს – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეცყო.

ნორმის აღწერილობითი ნაწილის მითითება – როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეცყო, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი, პრაქტიკულად, ერთმანე-

თის თანხვედრია და ორიენტირებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულების დარღვევის მიმართ. ამასთანავე, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე – უნდა შეეცყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.

19.2. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანი მოპასუხეს არ გამოუსწორებია და ი. ქ-ვას საცხოვრებელი სახლის დაზიანება კვლავ გრძელდება; მოსარჩელემ ზიანის აღმოფხვრისთვის აუცილებელი დანახარჯების მოცულობის შესახებ შეიტყო მხოლოდ საექსპერტო კვლევის (2018 წლის 01 მაისის №002780518 ექსპერტიზა) შედეგების მიღების შემდეგ. დასახელებული გარემოებები ერთობლიობაში ადასტურებს რომ სარჩელი ხანდაზმული არ არის, რასაც ვერ აქარწყლებს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტაცია.

20. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

22. კასატორი გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge